

მაცვალა მიქელაძე

თანამედროვე წოვათუშური ენის
შერწყმული და რთული წინადადების
სინტაქსი



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia



იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

მაყვალა მიქელაძე

თანამედროვე წოვათუშური ენის
შერწყმული და რთული წინადადების
სინტაქსი



გამომცემლობა „ჯინჯვრსალი“
თბილისი 2018

უაკ (UDC) 811.354.41'367.3
პ -745

სამეცნიერო პროექტი „საფრთხეში მყოფი ენები და მათი დოკუმენტირების სასიცოცხლო მნიშვნელობა (წოვათუშური ენის მაგალითზე)“ (გრანტი № 217850) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე მონოგრაფიაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project ‘**Endangered Languages and Vital Meaning of Their Documentation (according to the Tsovatush Language)**’ (Grant №217850) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

რედაქტორები: ვაჟა შენგელია, ქეთევან გიგაშვილი

რეცენზენტი: არსენ ბერთლანი

ოპერატორი: მარიამ ბერთლანი

© მაყვალა შიქელაძე

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2018

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-403-0

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გაგრძელებას 2015 წელს გამოცემული მონოგრაფიისა – „თანამედროვე წოვათუშური ენის მარტივი წინადადების სინტაქსი“. საანალიზო მასალა კვლევისათვის ავიღეთ ჩვენი პროექტების ფარგლებში გამოცემული წოვათუშური ტექსტების ორი კრებულიდან:

I. მ. მიქელაძე, ა. ბერთლანი, ქ. გიგაშვილი, მ. ცისკარიშვილი – წოვათუშური ტექსტები, ნაწ. I, თბ., 2011.

II. მ. მიქელაძე, ა. ბერთლანი, ქ. გიგაშვილი – წოვათუშური ტექსტები, ნაწ. II, თბ., 2014.

კრებულებში წარმოდგენილია სხვადასხვა ასაკის, განათლებისა თუ პროფესიის 35 რესპონდენტის თხრობის მასალები. ამათგან ჩვენს მონოგრაფიაში შესულია 21 რესპონდენტი; ესენი არიან: დავით არინდაული, არსენ ბერთლანი, მარიამ ბუქურაული, სიმონ გარსევანიძე, თამარ გრომოვა, კოტე ვეშაგურიძე, ეთერ იტოშვილი, სტეფანე ლაგაზიძე, იოსებ ლონგიშვილი, საბედა (არა) მაჩაბლიშვილი, მაყვალა მიქელაძე, რეზო ორბეთიშვილი, ტასო ორბეთიშვილი, ნატაშა უშარაული, შორენა უშარაული, მანანა უჯირაული, ივანე ქავთარიშვილი, ვასო ქოქორიშვილი, ვარდი ჩაჩქანიშვილი, ელდარ წკიპოშვილი, კოტე ჭრელაშვილი.

კრებულებიდან მსჯელობისთვის ამოღებულ საანალიზო მასალებს ნაშრომში ვაფიქსირებთ კრებულების ავტორებზე მითითებებით.

მუშაობის პროცესში სირთულეს ქმნიდა ის გარემოება, რომ დღეს ქართული ენის ხანგრძლივი და ინტენსიური გავლენის შედე-

გად წოვათუშურ ენაში ჰარალელურად მოქმედებს რიგი გრამატიკული კატეგორიის საკუთარი და წყარო ენდიან შემოტანილი სისტემები. მორფოლოგიაში ასეთია, მაგალითად, სახელისაგან ზმნის მართვისა და შეთანხმების საკუთრივ წოვათუშური კლასნიშნიანი სისტემა და ჰიბრიდული: კლასნიშნიან-პირის ნიშნიანი ორმაგი სისტემა.

ანალოგიურადვე, ორი გრამატიკული სისტემის ჰარალელურ მოქმედებას ვხვდებით სინტაქსშიც. მიუხედავად იმისა, რომ წოვათუშურს აქვს საკუთარი, საგანგებო მაქვემდებარებელ სუფიქსზე დამყარებული არქაული სისტემა მარტივ წონადადებათა ქვეწყობისა, ნასესხებია და აქტიურად მოქმედებს დაქვემდებარების ქართული სისტემა: მათემატიკური სიზუსტით არის გადმოღებული კავშირიანი თუ უკავშირო ქვეწყობის მაორგანიზებელი კორელატები თუ კავშირები და წევრ-კავშირები, შინაარსობრივი თუ ინტონაციური მიმართება მთავარსა და დამოკიდებულს შორის, ერთსაფეხურიანი ქვეწყობისა თუ რთული, მრავალსაფეხურიანი ქვეწყობის მოდულები.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, მიუხედავად წოვათუშური ენის მარტივ წინადადებათა ქვეწყობის ახალი მოდულების სრული შესატყვისობისა ქართული ენის სათანადო მოდულებთან, მათი მაორგანიზებელი მასალა – კორელატები, კავშირები თუ წევრ-კავშირები – ყველა, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, მსესხებელმა ენამ საკუთარი ლექსიკური ინვენტარიდან აწარმოვა ქართული სტანდარტის მიხედვით. ანალოგიური მოვლენა დასტურდებოდა მაშინაც, როცა წოვათუშურმა ქართულიდან ზმნის პირის კატეგორია შემოიტანა, პი-

რის ნიშნები კი საკუთარი ჰირის ნაცვალსახელებისაგან ჩამოაყალიბა.

აღნიშნულ მოვლენას საფუძვლად, ცხადია, წყარო ენის გავლენისაგან მსესხებელი ენის თავდაცვის ინსტიქტი უდევს. აღნიშნული ფაქტებიდან კარგად იკვეთება ის გარემოებაც, რომ ენობრივი გავლენები, ძირითადად, სააზროვნო მოდელთა გარდაქმნას იწვევს, საორგანიზაციო მასალა კი ტექნიკური მომსახურების რიგით სამუშაოს ასრულებს მხოლოდ.

მოსალოდნელია, რომ ქართული ენის გავლენის საოცრად ინტენსიური და დაჩქარებული ტემპები წოვათუშურში მოქმედი მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების პარალელური სისტემებიდან მალევე გამოიწვევს ნასესხები სისტემის გაბატონებას, თუ მანამდე, კიდევ უფრო ადრე, არ მოხდა თვითონ წოვათუშთა საბოლოო გადართვა ქართულ ენაზე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ პროფ. ქ. გიგაშვილის მიერ ოთხიოდე წლის წინ სოფელ ზემო ალვანში ჩატარებული სოციოლინგვისტური კვლევის შედეგების მიხედვით, ადგილობრივ მაცხოვრებელი 1.558 თუშიდან მშობლიური ენა ძალიან კარგად იცის მხოლოდ 95 ადამიანმა, საერთოდ არ იცის 803 ადამიანმა, დანარჩენები კი ენის ცოდნისა და არცოდნის გარდამავალ საფეხურზე დგანან. მკვლევარი წერს: „თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, წოვათუშური ენის სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 80 წელს, ესეც იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელი ყველაზე ახალგაზრდა მოსახურებები (20 წლისები, თანაც მოსახურებების ძალიან მცირე პროცენტი) 100 წლის ასაკამდე იცოცხლებენ“ (გიგაშვილი 2014 – 260).

თავი I. შერწყმული წინადადება

§1. შერწყმული წინადადების რაობა

შერწყმულ წინადადებას შუალედური ადგილი უჭირავს მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის. მარტივი და რთული წინადადებებისაგან მას ერთგვარ წევრთა მქონებლობა გამოარჩევს. ერთგვარია წევრები, რომლებიც ერთნაირ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ, შინაარსობრივად ერთნაირად მიემართებიან ერთ საერთო წევრს და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან თანწყობის საშუალებით. აღნიშნულზე დაყრდნობით პროფ. ლ. კვაჭაძე შერწყმული წინადადების შემდეგ განმარტებას იძლევა: „ისეთ წინადადებას, რომელშიც რამდენიმე ერთგვარი წევრი მოიპოვება, ერთგვარწევრებიანი ანუ შერწყმული წინადადება ჰქვია“ (კვაჭაძე – 1966, 226).

ერთგვარწევრებიანი წინადადების კვალიფიკაციის თვალსაზრისით მკვლევართა შორის დღემდე აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებით, რთულში უნდა იქნეს გაერთიანებული ყველა სახის ერთგვარწევრებიანი წინადადება. მაგალითად, არ. ქუთათელაძე ერთგვარწევრებიან ყველა წინადადებას რთული წინადადების ერთ-ერთ სახეობად თვლის და მას „გაერთიანებულ წინადადებას“ უწოდებს. მკვლევარი წერს: „გაერთიანებული წინადადება არის ისეთი წინადადება, რომელშიაც ერთი ქვემდებარეა და რამდენიმე შემასმენელი, ან – რამდენიმე ქვემდებარე და ერთი შემასმენელი, ან – ერთი შემასმენელი, ერთი

ქვემდებარე და რამდენიმე ამხსნელი სიტყვა, რომელნიც მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზედ“ (ქუთათელაძე – 1888, 23).

მკვლევართა უმრავლესობა შერწყმული წინადადების ყველა სახეობას თანაბრად განიხილავს, როგორც ერთგვარწვევრიბიან წინადადებას, გარკვეული ნაწილი კი ცალკე გამოყოფს ერთგვარშემასმენლებიან წინადადებას და მას რთული თანწყობილი წინადადების ქვესახედ აცხადებს.

განსხვავებული აზრი ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ წინადადებაში ზმნა-შემასმენლის განსაკუთრებულ როლს ეყრდნობა, იმ გარემოებას, რომ „ზმნა არის წინადადება მინიატურაში“. წინადადებაში ზმნა-შემასმენლის განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით რუსულ აკადემიურ გრამატიკაში სინტაქსური კონსტრუქცია „ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელი“ ცალკეა გამოყოფილი და განიხილება, როგორც რთული თანწყობილი წინადადება.

შეხედულებას ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების განსხვავებული სტატუსის შესახებ რიგი მკვლევარი ავითარებს საქართველოშიც. ჰროფ. ლ. ენუქიძე ამგვარ წინადადებას რთული თანწყობილი წინადადების ერთ-ერთ ქვეტიპად განიხილავს. მკვლევარი წერს: „ჩვენი აზრით, იგი უნდა ჩაითვალოს რთული თანწყობილი წინადადების კერძო შემთხვევად, ერთ-ერთ ქვეტიპად და უნდა გაიმიჯნოს სხვა სახის შერწყმული წინადადებებისგან“ (ენუქიძე – 1987, 127).

ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების ამგვარი კვალიფიკაციის შემდეგ სინტაქსში ისევ გვრჩება სამი ტიპის წინადადება: მარტივი, შერწყმული და რთული. წინადადებათა ტრადი-

ციულ სამწვეროვან კლასიფიკაციასთან შედარებით აქ სიახლეს ქმნის რთული თანწყობილი წინადადების სახეობრივი მომცველობის ზრდა შერწყმული წინადადების პარალელური სახეობრივი მომცველობის შემცირების ხარჯზე.

სინტაქსის მოცემულ საკითხზე ახალი საინტერესო თვალსაზრისი წამოაყენა პროფ. რ. ჭიკაძემ. მკვლევარი წინადადების ნებისმიერი სახეობის განმასხვავებელ ფაქტორად იღებს მასში შემავალი შემასმენლების რაოდენობას და აჯგუფებს წინადადებებს ერთშემასმენლიან ანუ მონობრედიკატულ და ერთზემეტშემასმენლიან ანუ პოლიბრედიკატულ წინადადებებად. პოლიბრედიკატული წინადადება თავის მხრივ იყოფა პარატაქსულ ანუ თანწყობილ და ჰიპოტაქსურ ანუ ქვეწყობილ წინადადებებად. ამ სახის კვალიფიკაციის მიხედვით ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება ექცევა თანწყობილი წინადადების ფარგლებში, ხოლო ყველა სხვა სახის შერწყმული წინადადება უერთდება მარტივს. „ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადება ჩვენ მიგვაჩნია თანაბარ სინტაქსურ ოდენობად, ერთგვარ სტრუქტურულ ერთეულად და მას ვუწოდეთ პარატაქსული კონსტრუქციის წინადადება“, – წერს მკვლევარი და თავის მოსაზრებას ამყარებს გარკვეული სახის არგუმენტებით (ჭიკაძე – 1995, 178).

ჩვენი აზრით, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების ჩამოთვლილი სხვადასხვა სახის კვალიფიკაციას დაბრკოლებას უქმნის ის გარემოება, რომ ერთგვარი შემასმენლები ისევე, როგორც ყველა სხვა სახის ერთგვარი წევრები, სინტაქსურ წყვილში ერთ წევრად ფუნქციონირებენ, ანუ ერთ წევრად მოიაზ-

რებიან. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ წოვათუშური ენის აღნიშნული ტიპის შერწყმულ წინადადებაში ყველა შემასმენელი რიცხვსა და კლასში ერთნაირად უთანხმდება საერთო ქვემდებარეს.

აღნიშნულ არგუმენტზე დაყრდნობით ჩვენ ვუტოვებთ ერთგვარშემასმენლებიან წინადადებას შერწყმულის სტატუსს და განვიხილავთ სხვა სახის შერწყმულ წინადადებებთან.

§2. შერწყმული წინადადების ტიპები

შერწყმული წინადადების ტიპების თვალსაზრისით წოვათუშურ ენაში იგივე ვითარება დასტურდება, რაც ქართულში გვაქვს. აქაც შემდეგი ტიპის შერწყმული წინადადებები ფუნქციონირებს:

1. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება. ასეთ წინადადებაში რამდენიმე შემასმენელს ერთი ქვემდებარე შეეწყობა:

**ბოვლეს ლაუმრქ დახკდიენო ჟე დაჰ ლარკი'ნჟ, კეჰ დაჰჰ
მოხკჱ** „ბავლემ მთიდან ჩამოყვანილი ცხვარი გაპარსა და
მატყლი გაყიდა“.

2. ერთგვარქვემდებარლიანი შერწყმული წინადადება. ასეთი სახის შერწყმულ წინადადებაში ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარეა შეწყობილი:

თინა, მადონო ჩხჭრი დოშ ნედანკერ ბუხრეცჱ „თინა და
მარეხი წინდების ქსოვით ისხდნენ ბუხართან“.

3. ერთგვარ პირდაპირდამატებიანი შერწყმული წინადადება. ასეთი სახის შერწყმული წინადადებაში რამდენიმე პირდაპირი დამატება შეეწყობა ერთ შემასმენელს:

სკოლ დირექტორეს ღაზიშ წამდარენანრო აბრმე, ილსო, ნატო სიგელიე დაჯილდობადიქ „სკოლის დირექტორმა კარგი სწავლისთვის აბრამი, ელისო და ნატო სიგელებით დააჯილდოვა.“

4. ერთგვარ ირიბდამატებიანი შერწყმული წინადადება. ამგვარ შერწყმულ წინადადებაში რამდენიმე ირიბი დამატება შეეწყობა ერთ შემასმენელს:

ყაფრო ნანას შადროჲ ჰარწირო ბაწრეე ილკუენა, მისკუენა, პოვლენა ყარწქ ჩხორი დიქ „მოხუცმა დედამ (ბებია) თავისი დართული ბაწრით ილიკოს, მისაკოს და ჰავლეს ჭრელი წინდები მოუქსოვა.“

5. ერთგვარ უბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადება. ასეთი სახის შერწყმულ წინადადებაში უკვე რამდენიმე უბრალო დამატებაა შეწყობილი ერთ შემასმენელთან ან მიმდებობითა თუ საწყისით გადმოცემულ რომელიმე სხვა წევრთან:

ა) **ქიქოყ ახმიტ დოტუენ მგზავრ დოიენ, ურმიენ იხორ აღზენ** „წინათ ახმეტაში მიმავალი მგზავრი ცხენებით და ურმებით გადადიოდა აღაზანს.“

ბ) **კავ დაცოშე, კონადოშ მალვამონო იბო ენე ღევაღერ** „ყანის თიბვითა და შეკონვით დაღლილი იბო ჩრდილში იჯდა.“

6. ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადება. ამგვარ შერწყმულ წინადადებაში რამდენიმე ერთგვარი განსაზღვრება ახლავს ერთ საზღვრულს:

წინ ჰათხ წეგე'ნე, კუი'ნე ვარდი დინვას „სახლის წინ წითელი და თეთრი ვარდები დავრგე“.

7. ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადება. ამ სახის შერწყმულში ერთგვარი გარემოებები ახლავს ზმნას ან სახელ-მზნით გადმოცემულ რომელიმე წევრს.

ერთგვარი გარემოებები შეიძლება იყოს:

ა) ადგილისა:

ლამუჰჰ, კოხან და გოფ ლავ ლეფხერ „ითასა და ბარში დიდი თოვლი იდო“.

ბ) დროისა:

ნალიხნ, ხკოლიხნ ი ხე აფე ლათე „ზამთარშიც და ზაფხულშიც ეს ხე მწვანე დგას“.

გ) მიზეზისა:

მაცლეგვ, ხაკლეგვ ქოთბიენო მეო ლაყწი ბუღერ „მიმშილისა და წყურვილისაგან შეწყნებული ძროხა გაბმით ბლაოდა“.

დ) მიზნისა:

სოჰ ჰამბადანან, განარბადმანან მეფცოორ ივნეს ის ამბუო „ჩემს სასიამოვნებლად და გასახარებლად ყვებოდა ივანე მაგ ამბავს“.

ე) ვითარებისა:

თიფოთუშინ, დალაგბითან მეწე სტაკოე ამბუო მჰ „წყნარად და დალაგებულად უნდა ილაპარაკოს კაცმა“.

მ. შერეული სახის შერწყმული წინადადება.

შერეული სახისაა შერწყმული წინადადება, რომელშიც მოიხვევა რამდენიმე წყება ერთგვარი წევრებისა.

ფსარე ჰჷ, თხნ თუთხ, ქუშელნ ლეჰდოსჷ, მურაბ გეხკდოს
„გუშინ და დღეს თუთასა და ჟოლს ვკრეფ და მურაბას ვხარშავ.“

§3. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი

ერთგვარი წევრები ერთმანეთთან ერთდება კავშირით ან უკავშიროდ. კავშირიანი შეერთებისას მაკავშირებელ საშუალებად ვიყენებთ მათებებელ კავშირებს, უკავშირო შეერთებისას კი ერთგვარ წევრებს აერთიანებს ინტონაცია.

უკავშიროდ შეერთებული ერთგვარი წევრები თანაბარზღვრიანია, ერთმანეთს პაუზით გამოეყოფიან და ახასიათებთ ჩამოთვლის ინტონაცია, მაგალითად:

რუსულ, გერმანულ, ინგლისურ მატიშ სე დაჰონ ლაზიშ

გეთჷ „რუსული, გერმანული, ინგლისური ენები ჩემმა გოგომ კარგად იცის“.

როცა ერთგვარი წევრები მიმყოლი სიტყვებითაა გაფრცობილი, ჩამოთვლის ინტონაცია აერთიანებს სიტყვათა მთელ ჯგუფს.

მაგალითად:

ნანას აბინო ახლოდ, ას დიენო ყარწი ჩხაღრი, შადრო

ოხკინო ჯანი ვიწვა გუდშ დაფხურ ივნეგო „დედის შეკერილი ახალუხი, ჩემი მოქსოვილი ჭრელი წინდები, თავისი ამოსხმული ქალამნები თავმომწონედ ეცვა ივანეს“.

უკავშირო შეერთებით ჩამოთვლილ ერთგვარ წევრებს და-
უშთავრებლობის განცდა და ინტონაცია ახლავს, რაც ქმნის შესაძ-
ლებლობას დაემატოს ერთგვარი წევრი. ასეთ შემთხვევაში სიტუა-
ციას აკონტროლებს, ანუ დახშულ კონსტრუქციას ქმნის ერთგვარ
წევრებთან ნახშირი განმაზოგადებელი სიტყვები.

შდრ.:

- ა) **სტაკ, ფსტუანო, დაჯო, კაწკო უმს დარ** „კაცი, ქალი, დიდი, პა-
ტარა იქ იყვნენ.“
- ბ) **სტაკ, ფსტუანო, დაჯო, კაწკო – უმაყ უმს დარ** „კაცი, ქალი,
დიდი, პატარა – ყველანი იქ იყვნენ“.

ზოგიერთ შემთხვევაში განმაზოგადებელი სიტყვა უსწრებს
კიდევ ერთგვარ წევრებს:

უმაყ: დაჯო, კაწკო, სტაკ, ფსტუანო – უმს დარ „ყველანი:
დიდი, პატარა, ქალი, კაცი – იქ იყვნენ.“

განმაზოგადებელი სიტყვები შეიძლება შეგვხვდეს ნებისმი-
ერი სახის ერთგვარ წევრებთან.

მაგალითად:

1. **ლამუ, ბარე – მიჩნაყ სიცხ ლათერ** „მთაში, ბარში – ყველგან
სიცხე იდგა.“
2. **სონანო, ჰონანო, ჩურჩონანო, ნჭადურჩონანო – ჰამინაყანო**
ლყ სო დაზოლ „ჩემთვის, შენთვის, მინაურისთვის, გარეშე-
თათვის – ყველასთვის მინდა სიკეთე.“
3. **კუო, წეგე, კაპრაშ – უმაყნაირ ბუბუკ ლათე სოგო სჯო** „თეთ-
რი, წითელი, ყვითელი – ყველანაირი ყვაფილი მიდგას ეზოში.“

ზოგჯერ წინადადებაში უკავშირო შეერთებას ქმნის ანტო-
ნიმების კავშირიანი წყვილულები.

მაგალითად:

**ღაზოლი ლე მოსოლ, გონი ლე გოწოლ ცჰაანზ ნაყე
დოტურ** „სიკეთე თუ ბოროტება, ჭკუა თუ უგნურობა
ერთი გზით მიდიოდა.“

§4. კავშირიანი შერწყმული წინადადება

უკავშირო შერწყმულთან შედარებით წოვათუშური ენის სიტყვათმიმოქცევაში გაცილებით უფრო მეტი სიხშირით ფუნქციონირებს კავშირიანი შერწყმული წინადადება. წოვათუშური ენის სინტაქსის ამ სფეროში უკვე ძალიან თვალსაჩინოდ იკვეთება ქართული ენის სინტაქსის ინტენსიური გავლენა. ეს გვლინდება როგორც ერთგვარ წვერთა ურთიერთმიმართების სახეებში, ისე უცვლელად ნასესხები, თუ ქართული კავშირების თარგზე საკუთარი მასალით ნაწარმოები კავშირების ფონზე.

ცხადია, როგორც უმწერლობო ენაში, წოვათუშურში მაერთებელ კავშირთა ის რაოდენობა, რაც ქართულს ახასიათებს, არა გვაქვს, მაგრამ ერთგვარ წვერთა ურთიერთმიმართების ძირითადი მოდელები დაცულია: დასტურდება იმავე შინაარსის მაერთებელი კავშირები, რაც ქართულში გვაქვს: მავგუფებელი, მაცალკეებელი და მახირისპირებელი.

ძირითადი მავგუფებელი კავშირის ფუნქციას (მხედველობაში გვაქვს ქართული ენის „და“ კავშირი) წოვათუშურში სიტყვის ამა თუ იმ ფორმაზე დართული საგანგებო ხმოვანი ასრულებს. ზმნურ ფორმებთან ამგვარ ფუნქციას ასრულებს ხმოვანი ე, სახელებთან კი ხმოვანი ვ.

მაჯგუფებელი „და“ კავშირის ფუნქციით ხმოვანი **ე** ზმნურ ფორმებთან ფუნქციონირებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ფორმები თანხმოვანზე ბოვდება. მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციის მატარებელი ხმოვანი **ე** ერთგვარი ზმნებიდან დაერთვის ბოლოს წინა ზმნას, ე. ი. მისი საშუალებით ხდება ბოლო ორი ზმნის დაჯგუფება ერთმანეთთან. ის ამ შემთხვევაში ქართული „და“ კავშირის ფუნქციას ასრულებს იმ განსხვავებით, რომ აფიქსია და დამოუკიდებელ სიტყვას არ წარმოადგენს.

მაგალითად:

1. **ანკოს ჟაგნო ხეტორე, ატინო ნედალერ** „ანიკო წიგნს კითხულობდა-და ჩუქად იჯდა.“
2. **მადრნოს ჟაბო ებწორ, შურ ლეფსორე, ჯერ-ფჰორ გექლორ** „მარეხი ძროხებს წველიდა, რქეს დღეებავდა-და სადილ-გახშამს ამზადებდა.“
3. **ილკო ცჰაგე ნეგალერ ოთხე, გაკვეთლი ნამდორე, დაგალბი წერადმორ** „ილიკო მარტო იჯდა ოთახში, გაკვეთილებს სწავლობდა და დაგალბებს წერდა.“

ერთგვარი წვერების (ზმნების) მაკავშირებელი ხმოვანი **ე** ხშირად ბოლოდან ზმნის მწკრივის ფორმის შიგნით გადაინაცვლებს და დამახასიათებელ კონსტრუქციას ქმნის, მაგალითად:

მატინორე → მატინო'ერ „მოეტაცნა და.“

ე ხმოვნის ასეთი ადგილგადანაცვლება სისტემურია თურქეობითის ფორმებში; დამახასიათებელია ისიც, რომ ამ დროს ზმნის მახვილი **ე**-ს წინამავალ ხმოვანზე ფიქსირდება. ზმნის ფორმაში რეალიზებული ორივე ეს თავისებურება ქმნის კავშირიანი თურქეობითის სპეციფიკურ კონსტრუქციას.

მაგალითები:

1. **ბაცბიგო ლეკივ თხი მოჭ მატინო'ერ, დაჭ დიკრალო ვაშხან დო-წინო ქვაჯიღენ ლაჯშიღ** „თუშეებისთვის ლეკებს ხუთი გოგო მოე-ტაცნათ-და მიჰყავდათ ერთმანეთის მიყოლებით ქვახიდის თავზე“ (მიქელაძე 2011 – 178).
2. **ლეკი მაქ ბახნო'ერ, გოგის უფონო'ერ, ტარო თეფხანან ბაღონორ** „ლეკები ზედ მისუღიყვენ-და, გარშემო შემოსდგომოდნენ-და ტაშის დაკვრა დაეწყით“ (იქვე).

იმ შემთხვევაში, თუ ზმნის რომელიმე მწკრივის ფორმა ხმო-ვანზე ბოლოვდება, „და“ კავშირის ფუნქციას აუსლაუტის ხმოვანი ასრულებს. ასეთ შემთხვევაში უკვე ერთგვარწევრთა მაკავშირებ-ლის როლში შეგვხვდება ნებისმიერი სხვა ხმოვანიც (ა, ი, ო, უ). მა-გალითად:

1. **ილკოს დეთ ჰალორ ლახნო, ჩუ ბოცობო** „ილიკო ძროხას იბოვის-და შემოიყვანს.“
2. **ი დეთ დაჭ ბავუ შუგო, ლეხრან ბაღოუ შუქ** „ეს ძროხა დაგეკარგებათ-და საძებარი გაგინდებათ.“
3. **ი ბნდერ ჰალორ დანღან, სტაკ უმათუ** „ეს ბავშივი გაიზრდება-და კაცი დადგება.“
4. **ნახ დელი, დაჭ ადტუ** „ხალხი იცინებს-და გაჩემდება.“

ასეთი ვითარება გვაქვს ერთგვარ შემასმენლებთან, სხვა სა-ხის ერთგვარ წევრებთან კი უკვე „და“ კავშირის ფუნქციას ასრუ-ლებს ისევე ფუძის ბოლოში დართული ა ხმოვანი. ამ ფუნქციით ეს ხმოვანი დაერთვის მხოლოდ თანხმოვანფუძიან ერთგვარ წევრებს, ხმოვანფუძიანებთან კი იმავე ფუნქციას ისევე ფუძის აუსლაუტის ხმოვანი ასრულებს.

მოცემულ შემთხვევაში მკერთებელი კავშირის გამოყენების თვალსაზრისით წოვათუშური ენა დიდ თავისებურებას გვიჩვენებს იმ მხრივაც, რომ აქ აღნიშნული ფუნქციის ხმოვანი დაერთვის ყველა ჩამოთვლილ ერთგვარ წევრს მაშინ, როდესაც ქართულში „და“ კავშირი ჩამოთვლილთაგან ყოველთვის აჯგუფებს მხოლოდ ბოლო ორ წევრს.

შდრ.:

ა) წოვათუშ.:

ზურაბზ, მერაბზ, აბრამზ, ნიკლოზნ ნაყბისტი ბარ „ზურაბი-და, მერაბი-და, აბრამი-და, ნიკლოზნი-და მეგობრები იყვნენ.“

ბ) ქართ.:

ზურაბი-და, მერაბი-და, აბრამი-და და ნიკლოზნი-და მეგობრები იყვნენ.

გვაქვს, მაგალითად:

1. **ყალჩლი მამულარზ, კალტან დუმხენეთხ (დოხკი'ნეთხ), თხუმანზ ბახნათხ** „გულაში მჭადი-და, ხაჭო-და ჩავიყარეთ და წავედით“.
2. **ამბუდ ცო მიენდა მაჭოვზ, ვაჭოვზ ვაშიგო** „არ ულაპარაკნიათ გოგოსა-და, ბიჭსა-და ერთმანეთში“ (მიქელაძე 2014 – 217)
3. **ჩუჭზ, ნძაყიჭზ, ლამუჭზ, კახახნ მიჩხმაც ცჭავქ მარასო** „შინ-და, გარეთ-და, მთაში-და, ბარში-და ყველგან მარტო ვიყავი.“
4. **მატენზ, არკენზ ჯორი თეფშმაქ ცჭანდ ლატერ** „მწიფე-და, მკვამლე-და ვაშლები თეფშზე ერთად ელაგა.“

ისევე, როგორც ხმოვანფუძიან შემასმენლებთან, სხვა სახის ხმოვანფუძიან ერთგვარ წერებთანაც მაჯგუფებელი „და“ კავშირის ფუნქციას ასრულებს სიტყვის აუსლაუტის ნებისმიერი ხმოვანი (ა, ე,

ი, ო, უ), რომელიც ასეთ შემთხვევაში უკვე გრძელი სახით წარმოგვიდგება.

მაგალითად:

1. **პეტრე, ჯდრო, კიმო, მისკო ვაჟარ ბა** „პეტრე-და, ანდრო-და, კიმო-და, მისაკო-და ძმები არიან.“
2. **ნინო, კატო, ელნე, ილკო ცჰადნ კლასე და** „ნინო-და, კატო-და, ელენე-და, ილიკო-და ერთ კლასში არიან.“

ზემოთ, ერთგვარ შემასმენლებთან მიმართებით აღნიშნული განსხვავებული ვითარება, კერძოდ, ის გარემოება, რომ „და“ კავშირის ფუნქციის სუფიქსი ე ჩამოთვლილთაგან აერთიანებს მხოლოდ ბოლო ორ ზმნას, გვიანდელი მოვლენა ჩანს და ქართული სააზროვნო მოდელის გაგლენით უნდა იყოს შეპირობებული. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ზოგჯერ შემასმენლების შემთხვევაშიც დასტურდება ყველა ერთგვარ წევრზე მავჯუფებელი კავშირის დართვის შემთხვევები.

მაგალითად:

1. **ფილბეს გუდმრელქ ჟაბო ნშადე ხეცო, ხი მალდო, მძდრი დაჰლახკო, დაჰან ხეცო** „ფილიბე გომიდან ძროხებს გამოუშვებს-და, წყალს დააღვივინებს-და, მინდორში გარეკაეს-და, გაუშვებს.“
2. **ნოდრეს გაკვეთლი ჰალო ნამდო, ჟაგნუდ ჩუ დოხკო ჩათი, შარნან ვახე სკოლი** „ნოდარი გაკვეთილებს ისწავლის-და, წიგნებს ჩანთაში ჩაალაგებს-და, წაუა სკოლაში.“

სირთულეს, რომელიც მავჯუფებელი „და“ კავშირის ასე მიჯრით დართვას შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის წარმოთქმასა თუ მოსმენა-აღქმაში, აბათილებს ის გარემოება, რომ ეს კავშირი მხოლოდ ერთი ბგერით და ისიც სწორედ ხმოვნით გადმოიცემა. მო-

ცემულ შემთხვევაში ვითარება ანალოგიურია იმისა, რაც ქართულ-ში გვაქვს ერთგვარ წევრებზე ემთაბიკური „ა“ ხმოვნის დართვისას („ქალსა, კაცსა, დიდსა თუ პატარას...“).

საგულისხმოა, რომ ზუსტად იგივე მაგალითები ერთგვარი შემასმენლებისა პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს მიჯრით მიყოლებული „და“ კავშირის გარეშეც, რაც დამახასიათებელია ინტერფერენტულ პროცესთა განვითარების გარდამავალი პერიოდისათვის და ქართული ენის გავლენით აიხსნება.

თანხმოვანფუძიან სახელებზე დართული ა ხმოვანი თუ ხმოვანფუძიანი სახელების ფუძის აუსლაუტის სხვა რომელიმე ხმოვანი „-ც“ კავშირის ფუნქციასაც ასრულებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ერთგვარ წევრებს შორის მოქცეულია „და“ – კავშირიანი ზმნა.

მაგალითად:

1. **ეთერა ქუდრწლებ ძარწ, მადრამა** „ეთერიც ქორწილში იყო და მარიაშიც.“
2. **დადა ქვს ვაწურწ, ვოჭა** „მამაც ცხვარს დასდევდა და ბიჭიც.“

წოვათუშურ ენაში მავგუფებელი „თუ“ კავშირის ფუნქციას ასრულებს ორ ერთგვარ წევრს შორის მოქცეული კავშირი **ლე**, რომელიც სხვა დროს (ჩამოთვლის შემთხვევაში) „ან“ კავშირის ფუნქციით გვხვდება.

მაგალითად:

1. **სტაკი ლე ფსტუმბრ, ყანნი ლე ყონო** – **ომაც უმს დარ** „კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა – ყველა იქ იყო.“
2. **დენიჭი ლე ბუმსუ, ჩუჭი ლე ნჭაყი სოგო თივარ ცო და** „დღისით თუ ღამით, შინ თუ გარეთ მე მოსვენება არა მაქვს.“

იგივე ლე კავშირი უკუთქმით ცო „არ“ ნაწილაკთან დაკავშირებული (ლე ცო – ლე ცო „არც – არც“) მავჯგუფებელი კავშირის ფუნქციას იძენს, ხოლო მა „ნუ“ ნაწილაკთან (ლე მა – ლე მა „ნურც – ნურც“) კავშირს გამოხატავს.

მაგალითად:

1. ჰოცრ ლე ვქ ცო მალოსნ, ლე მაძც ცო ვალოს „შენთან არც ღვინოს დაგლეე და არც პურს შეეჭამ.“
2. ლე მა ვადორა თხოვოდღალო, ლე მა დშევორა სქ დოკა „ნურც ჩამოივლიდი ჩვენკენ, ნურც მომიკლავდი გულს“ (ხალხური).

ქართული „კიდევ – კიდევ“ კავშირის ფუნქციით გვხვდება მისი ზუსტი შინაარსობრივი და ფუნქციური შესატყვისი ტყოსა – ტყოსა. მისი შეზღუდული გამოყენება და ზედმიწევნითი შეფარდება ქართულ შესატყვისთან გვაფიქრებინებს, რომ ქართულის გავლენით მოხდა აღნიშნული ლექსიკური ერთეულის ამგვარი გადააზრება. გვაქვს:

ტყოსა ღოს საქოფოთუ, ტყოსა ვახეს „კიდევაც წავალ საქეიფოდ-და კიდევაც დაფითვრები.“

დღეს, როცა „წოვათუშური ქართული ენის ინტენსიური ზეგავლენით უკვე იდეალური ბილინგვიზმის სტადიაშია და ბევრმა წოვათუშმა ქართული უკეთ იცის, ვიდრე მისი მშობლიური ენა“, იმრავლა წყარო ენიდან უცვლელი სახით ნასესხებმა სხვადასხვა ტიპის ლექსიკამ და მათ შორის კავშირებმაც (მიქელაძე – 2008, 9). მავჯგუფებელ კავშირთაგან ასეთია „კიდევ – კიდევ“. გვაქვს, მაგალითად:

1. კიდევ ღამდოსნ, კიდევ მუშებადოს „კიდევაც ვსწავლობ და კიდევაც ვმუშაობ.“

2. კიდევ ნიფსდოს დჷ-ბუჟსა მუშეზადოშჷ, კიდევ ახწლათეს გეჩრხ ღანიშ „კიდევაც გავასწორებ დღე-ღამეს მუშაობაში და კიდევაც ვიცხოვრებ სხვებზე უკეთ.“

წოვათუშური ენის შერწყმულ წინადადებაში ცალკე ჯგუფს ქმნიან მაცალკეებელი კავშირები:

- ა) საკუთარი: **მაწყ – მაწყ** „ხან – ხან“, **ლე – ლე** „ან – ან“, **ლეჟეჭ – ლეჟეჭ**, „თუნდ – თუნდ“.
- ბ) ქართულიდან ნასესხები: **გჭდ – გჭდ**, **თჷდ – თჷდ**.

კავშირი **მაწყ – მაწყ** „ხან – ხან“ აღნიშნავს მოქმედების მონაცვლეობას, რიგრიგობას დროში; მაგალითად:

1. **მააკოს მაწყ ბაწარ ჰერწორ, მაწყ ღმზაპორ, მაწყ ჩხაღურ დორ** „მაიკო ხან ბაწარს ართავდა, ხან გრეხდა, ხან წინდას ქსოვდა.“
2. **მათხ მაწყ დახკახ ღეფლარ, მაწყ აქუხმორ** „მზე ხან ღრუბლებს ეფარებოდა, ხან დედამიწას ათბობდა.“
3. **მისკოს მაწყ ღანიშ ლამოდრო, მაწყ ზარმაცებალა** „მისაკო ხან კარგად სწავლობს, ხან ზარმაცობს.“

ჩამოთვლილ ერთგვარ წევრებთან **ლე – ლე** კავშირის გამოყენების შემთხვევაში სრული ანალოგია გვაქვს ქართული ენის „ან – ან“ კავშირის ფუნქციებთან. როგორც პროფ. ლ. კვაჭაძე აღნიშნავს: „ან – ან (ვარიანტებითურთ) მიუთითებს, რომ ერთიმეორის გამომრიცხველ შესაძლებლობათაგან შესრულდება ერთ-ერთი, ან არჩევანი უნდა გაკეთდეს ერთ-ერთზე, ან კიდევ ჩამოთვლაა ისეთი საგნებისა თუ მოვლენებისა, რომლებიც არ გამომრიცხავენ ერთმანეთს“ (კვაჭაძე – 1966, 242). ამ მხრივ ანალოგიური ვითარება დასტურდება წოვათუშურშიც.

მაგალითად:

1. **ლე ჰალორ** თავგამოს ის საქმე, **ლე შარნ** გაუგას ესერქ „ან გაგაკეთებ მაგ საქმეს, ან გადავიკარგები აქედან.“
2. **სტაკ** **ლე დრჩუდშლო** ვეწე ვაგზ, **ლე დანრჩუდშლო** „კაცი ან ცოცხლებში უნდა ერიოს, ან მკვდრებში.“
3. **ლე დეშ სქ**, **ლე მან ხატოგე** სოს „ან დამიჯერე, ან აღარაფერი მკითხო.“

მატალკევებელი კავშირი **ლეხეჭ** – **ლეხეჭ** სრულ ანალოგიას გვიჩვენებს ქართული ენის „თუნდ – თუნდ“ კავშირთან ეტიმოლოგიურადაც და გამოყენების თვალსაზრისითაც.

მაგალითად:

1. **ლეხეჭ ჩუ** ვშიც **თხოცტ**, **ლეხეჭ ჰუმნ** დობ „თუნდ დარჩი ჩვენთან, თუნდ წადი.“
2. **ლეხეჭ ფუჭეჭ ხაყ** ვანხ, **ლეხეჭ ქალიქან** თოლდებ „თუნდ სოფელში დასახლდი, თუნდ ქალაქი (თბილისი) ირჩიე.“
3. **ლეხეჭ ტათუფ** დეგნალ **სო** ვალ **ილკოს**, **ლეხეჭ ნახხოვ** „თუნდ ფუღით გადამიხადოს ილიკომ ვალი, თუნდ ყველით.“

როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, ორენოვნების ბოლო პერიოდში ე. წ. იდეალური ბილინგვიზმის პერიოდში წოვათუშურ ენაში საგრძნობლად იმატა ქართულიდან ყოველგვარი ბგერითი ადაპტაციის გარეშე ნასესხები კავშირების გამოყენებამ. მატალკევებელ კავშირთაგან ასეთია: **გჩდ** – **გჩდ**, **თჟდ** – **თჟდ**.

მაგალითად:

1. **გჩდ** ვადღეშ **ალ** სოგორ **ალჟმნ**, **გჩდ** ბუმნღეშ „გინდ ჩვენებურად მითხარი სათქმელი, გინდ ქართულად.“
2. **თუნდ** ჩდურ **დშეგ** ჰაშინ, **თუნდ** ხინკალ **კეხკდებ** „თუნდ ინდაური დაუკალი სტუმრებს, თუნდ ხინკალი მოუხარშე.“

საგულისხმოა, რომ წოვათუშური ენის შერწყმულ წინადადებაში გამოყენებული მაპირისპირებელი კავშირები ერთიანად ქართულიდანაა ნასესხები, გვაქვს:

მ („მაგრამ“), **მაგრამ**, **ხოლოთ** („ხოლო“, „კი“, „ოღონდ“, „თუმცა“).

ამ ჯგუფში შემავალი კავშირები, როგორც წესი, ერთმანეთს უპირისპირებენ ერთგვარ წევრებს. დღეს აღნიშნული კავშირებით აგებული შერწყმული წინადადება რაფინირებულ სახეს ატარებს წოვათუშურში და წყობის სრულ ანალოგიას გვიჩვენებს ქართულთან.

ჩამოთვლილ მაპირისპირებელ კავშირთაგან ყველაზე ფართო გამოყენებაშია კავშირი **მ**, გვაქვს:

1. **ლაშურ, მ დოკლაკ აღმქ და თინ** „ლამაზი, მაგრამ ბრაზიანი აღამიანია თინა.“
2. **ნიკლზენ ტათებ სესხბადინას, მ ნანბადინას** „ნიკოლოზს ფული ვასესხე, მაგრამ ვინანე.“
3. **ქუდრწლეს ღრს, მ ლეთხან ცო ვაღოს** „ქორწილში წავალ, მაგრამ არ ვიტყვებ.“

ინტერფერენტული პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით კავშირი „მაგრამ“ უკვე უცვლელი სახით დამკვიდრდა ახალგაზრდა წოვათუშთა მეტყველებაში. გვაქვს, მაგალითად:

1. **სუდმან ბახ ლევეორ, მაგრამ ზორადში წუწკ** „სიმონი მდიდარი ყოფილიყო, მაგრამ ძალიან წუწკი.“
2. **მადრმეს დუტ მუშებადო, მაგრამ ხელფას კაწკოქ ევობო** „მარია-მი ბევრს მუშაობს, მაგრამ ხელფასს მცირეს იღებს.“

3. **ბათწი, მაგრამ ლამზურ ბუძს ლათერ აღნი** „უმთვარო, მაგრამ ლამაზი ღამე იღვა აღვანში.“

ისევე, როგორც ქართულში, ერთგვარ წევრთა დაპირისპირების გაძლიერების მიზნით „მაგრამ“ კავშირს წოვათუშურშიც ხშირად ახლავს ნაწილაკი „მანც“.

მაგალითად:

1. **ღუჯ ცადმაღლნას, მაგრამ მანც მადრმეგო საწ ღაზოლ ცო მაგომმაკწ სო** „ბევრი ვეცადე, მაგრამ მარამს მანც ვერ დავანახე ჩემი სიკეთე.“
2. **ღე-ბუძს ნიფსდოს, მაგრამ ბათხას მანც ცო თებლმაკ სო** „დღე-ღამეს (დღესა და ღამეს) ვასწორებ, მაგრამ საქმეს მანც ვერ ვერევი.“

ქართული მაპირისპირებელი კავშირი „ხოლო“ წოვათუშურში **ხოლოთ** სახით გვხვდება.

მაგალითად:

1. **ლაღტნას თინენ ბანდრი დაგდოშ, ხოლოთ ბოლოს ნანბადინას** „გუშეველე თინას შეილებს გაზრდა, ხოლო ბოლოს ვინანე.“
2. **ტათებ სესხბადებ სო, ხოლოთ პროცენტ მა მატო სოგო** „ფული მასესხე, ხოლო პროცენტს ნუ გამომართმევ.“

საკმაოდ პროდუქტიულია თანამედროვე წოვათუშურში ქართულიდან ნასესხები კავშირი **ოლოდ**. მისი გამოყენების არეალი საგნებით ემთხვევა ქართულში არსებულ ვითარებას. მაგალითად:

1. **ლაპწათ ეზო, ოლოდ ვაშინ მამ ლაწდოთ** „ითამაშეთ ეზოში, ოლოდ ერთმანეთს არათუერი ატკინოთ.“
2. **უნე ლუც შუქ, დოხკ-ეცათ, ოლოდ გეჩგო მამ დაგოთ** „რაც გინდათ, გაყიდ-იყიდეთ, ოლოდ სხვას არათუერი წაართვათ.“

ასევე თავისუფალ სიტყვათმიმოქცევაშია ამ ენაში ნასესხები მაპირისპირებელი კავშირი „კი“, მაგალითად:

1. ვქ ოშტიც ქოცუდ დოთათ, ჭაჭა კი ბოჭკი ვასათ „ღვინო ისევ ქვევრში ჩაასხით, ჭაჭა კი კასრში ჩაყარეთ.“
2. თამროს ნახნო დაკჷ კოტრინ მათჷ, ქერქი კი ქოთმინჷ თელჷ „თა-მარმა ყველის გულისგან ხაჭაბურები გამოაცხო, ქერქი კი ქათ-მებს აჭამა.“

§5. ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადება

ერთგვარქვემდებარიანია შერწყმული წინადადება, სადაც ერთ შემასმენელთან ორი ან მეტი ქვემდებარეა შეწყობილი.

შემასმენელთან შეწყობილ ერთგვარ ქვემდებარეებს ქართულში ბრუნვის ფორმა ერთი აქვს ყოველთვის, წოვათუშურში კი ამ მხრივ საკითხი საკმაოდ რთულად დგას. მოცემულ საკითხში წოვათუშური ენა ორგვარ ვითარებას გვიჩვენებს:

1. მოქმედებითი გვარის ზმნით გამოხატულ შემასმენელთან შეწყობილი ნებისმიერი მეტყველების ნაწილით გადმოცემული ქვემდებარე სამივე სერიის ფორმებთან მოთხრობით ბრუნვაში დგას. ეს გარემოება დღეს წოვათუშური ენის თავისებურებად იკვეთება, მაგრამ საგულისხმოა, რომ განვითარების ადრინდელ ეტაპზე ქართული ენის გარდამავალი ზმნაც ქვემდებარეს დრო-კილოთა ყველა სერიაში ერგატიულ ბრუნვაში მოითხოვდა და ნომინატიური კონსტრუქცია მას საერთოდ არ მოეპოვებოდა (ჩიქობავა, 1948 – 128).

აღნიშნული მიზეზით, გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან შეწყობილ ქვემდებარეებს ბრუნვის ფორმა ყოველთვის ერთი აქვთ მოთხრობითი. მაგალითად:

1. ნინოს, მადრძეს სიმძღ თოცნადო „ნინო(მ) და მარია(მა) სი-
მინდს თოხნიან.“
2. ასწ, აჰწწ უნგაჲ დაჯწ საქმ თაგმიქ ვაჲ „მე (მოთხ.) და შენ
(მოთხ.) ორივემ დიდი საქმე გაგაკეთეთ.“¹
3. ასწ, შადლოკოსწ, მისკოსწ თხა კაჲ დადცნათხ „მე (მოთხ.), შალი-
კომ და მისაკომ დღეს ყანა მოგმკით.“

II. ერთგვარი ქვემდებარეების ბრუნვის საკითხში განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს, როცა შემასმენელი გარდაუვალი ზმნითაა გამოხატული. გარდაუვალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან ქვემდებარის ბრუნვა განსხვავდება იმის მიხედვით, აქტიურად არის ამ შემთხვევაში გააზრებული მოქმედი პირი თუ პასიურად. პასიურად გააზრების შემთხვევაში ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დგას, იმავე ზმნის აქტიურად გააზრების შემთხვევაში კი საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რომელი მეტყველების ნაწილითაა გადმოცემული ქვემდებარე; არსებითი სახელით გამოხატული ქვემდებარე სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა გარდაუვალ ზმნა-შემასმენელს, ნაცვალსახელით გამოხატვისას კი I-II პირის ფორმებთან მოთხრობითშია, III პირის ფორმებთან – სახელობითში.²

აქტიურობა-პასიურობის მიხედვით გარდაუვალი ზმნების ქვემდებარეთა ასეთი დაპირისპირება თანამედროვე წოვათუშური ენის დიდი თავისებურებაა და მას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველა სხვა წევრი ენისაგან გამოარჩევს. ეს ვითარება წო-

¹ წოვათუშურში I და II პირის ნაცვალსახელები იბრუნვის.

² მოცემულ საკითხზე დაწვრილებით იხ.: მ. მიქელაძე, თანამედროვე წოვათუშური ენის მარტივი წინადადების სინტაქსი, თბილისი, 2015, 66-69.

ვათუშური ენის გვიანდელი დამოუკიდებელი განვითარების შედეგი ჩანს.

ადნიშნულის გამო, გარდაუვალ ზმნა-შემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში კონკრეტული ვითარების მიხედვით ერთგვარი ქვემდებარეები ხან ერთსა და იმავე ბრუნვაში შეგვხვდება, ხან კი სხვადასხვა ბრუნვაში. მაგალითებად თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ერთგვარქვემდებარიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის შემცველი ერთი და იმავე შერწყმული წინადადების სათანადო კონკრეტულ ვარიანტებს, გვაქვს:

1. ერთგვარი ქვემდებარეები ერთსა და იმავე ბრუნვაში.

ა) სახელობით ბრუნვაში (მოქმედება პასიურადაა გააზრებული):

1. **სა, ჰა ბუჩქილო ჩუ ლაჭყბალირ** „მე (სახ.) და შენ (სახ.)

ბუჩქებში ჩავიმაღეთ.“

2. **სა, ჰა ორმუდ ბეკირ** „მე (სახ.) და შენ (სახ.) ორმოში

ჩავცვივდით.“

ბ) მოთხრობით ბრუნვაში (იგივე მოქმედება აქტიურადაა გააზრებული):

1. **ასა, აჰა ბუჩქილო ჩუ ლაჭყბალირ** „მე (მოთხ.) და

შენ (მოთხ.) ბუჩქებში ჩავიმაღეთ.“

2. **ასა, აჰა ორმუდ ბეკირ** „მე (მოთხ.) და შენ (მოთხ.) ორმოში ჩავცვივდით.“

II. ერთგვარი ქვემდებარეები სხვადასხვა ბრუნვაში.

1. **ასა, აჰა, ოჰა ბურხილო ლაჭყბალირ** „მე (მოთხ.), შენ (მოთხ.) და

ის (სახ.) ბუჩქებში ჩავიმაღეთ.“

2. ასწ, ნიკო, აბრმე ბუჩქილო ჩუ ლაჭყბალირ „მე (მოთხ.), ნიკო (სახ.) და აბრამი (სახ.) ბუჩქებში ჩავიმაღეთ.“

ერთგვარ ქვემდებარეებს რიცხვის ფორმა ერთნაირი აქვთ ან ახგადასხვაგვარი, მაგალითად:

ა) ერთგვარი ქვემდებარეები მხოლოდითშია:

ღონა, ბაყო ცჰაღ დაჟერ „ცხენი და კვიცი ერთად ძოვდნენ.“

ბ) ერთგვარი ქვემდებარეები მრავლობითშია:

შტოლმაქ ჟაგნუმა, რვიფლინ, ჟურნალინ დატერ

„მაგიდაზე წიგნები, რვეულები და ჟურნალები ელაგა.“

გ) ერთგვარ ქვემდებარეთაგან ზოგი მრავლობითშია, ზოგი მხოლოდითში:

ხენმაქ ეაგერჩა, ჭიფჯია, მერცხლასუ ნედასკერ „ხეზე მტრედები, ბელურები და მერცხალი ისხდნენ.“

წოვათუშურ ენაში ქართულთან შედარებით თავისებურად დგას ერთგვარ ქვემდებარეებთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხიც. მოცემული საკითხის კვლევისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზმნასთან შეწყობილ პირთა გამოხატვის თვალსაზრისით დღეს ამ ენაში ერთდროულად მოქმედებს ორი მორფოლოგიური სისტემა: საკუთარი (კლასნიშნიანი) და ქართულიდან ნასესხები (პირისნიშნიანი).

პირთა გამოხატვის თვალსაზრისით წოვათუშური ენის საკუთარი მორფოლოგიური სისტემა ზმნებს ყოფს ორ დიდ ჯგუფად, გვაქვს უკლასნიშნო და კლასნიშნიანი ზმნები. უკლასნიშნო ზმნებში პირთა გამოხატვა საერთოდ არ ხდება, კლასნიშნიან ზმნებში კი მოქმედებს პირთა გამოხატვის კონკრეტული სისტემა, რომლის მი-

ხედვითაც გარდამავალ ზმნებში გამოხატება მხოლოდ პირდაპირი ობიექტი, გარდაუვალ ზმნებში კი მხოლოდ სუბიექტი.

დღეს, იდეალური ბილინგვიზმის პირობებში, ზმნის პირთა გამოხატვის საკუთარი სისტემის გვერდით წოვათუშურში აქტუალურად ამოქმედდა იმავე მორფოლოგიურ ოდენობათა გამოხატვის ქართული მოდელი – კლასის კატეგორიის გვერდით გაჩნდა ზმნის პირის კატეგორია.

უკლასნიშნო ზმნებში ეს მარტივად მოხდა, ზმნის პირისა და რიცხვის ნიშნებმა აქ ე. წ. თავისუფალი ადგილები დაიკავეს, კლასნიშნიან ზმნებში კი ახალი, რთული სისტემა შექმნიდა, მოხდა კლასნიშნებით და პირის ნიშნებით ერთი და იმავე პირთა ორმაგი გამოხატვა.

მსჯელობას განვაგრძობთ უკლასნიშნო ზმნებით. ასეთი ზმნის შემცველ ერთგვარქვემდებარეებიან შერწყმულ წინადადებაში შემასმენელი ნეიტრალური რჩება ქვემდებარეების რიცხვის მიმართ. შდრ.:

ა) **ნიკო, ვანო, თინა სწავლობენ** „ნიკო, ვანო და თინა ეზოში თამაშობს (თამაშობენ).“

ბ) **ნიკო ეზო ლაძებს** „ნიკო ეზოში თამაშობს.“

ლაძებს უკლასნიშნო ზმნაა; როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, ქვემდებარეების რიცხვის ცვლამ მის ფორმაზე არ იმოქმედა.

ამ ენის საკუთარი სისტემის მიხედვით კლასნიშნიან ზმნებში წარმოდგენილი კლასნიშანი გამოხატავს როგორც სახელის კლასს, ისე რიცხვს. სამოქმედო არეალი კლასნიშნებისა მკაცრად არის რეგლამენტირებული: გარდაუვალ ზმნებთან იგი გამოხატავს

მხოლოდ ქვემდებარეს, გარდამავალ ზმნებთან კი მხოლოდ პირდა-პირ ობიექტს.

როგორც ვხედავთ, კლასნიშნის შემთხვევაში გამოუხატავი რჩება:

- ა) გარდაუვალ ზმნებთან ირიბი ობიექტი;
- ბ) გარდამავალ ზმნებთან კი სუბიექტი და ირიბი ობიექტი.

აქედან გამომდინარე, გარდაუვალ კლასნიშნიან ზმნაში კლასიც გამოიხატება სუბიექტისა და რიცხვიც, გარდამავალ კლასნიშნიან ზმნაში კი არც კლასი გამოიხატება სუბიექტისა და არც რიცხვი.

აღნიშნული ვითარება, ცხადია, თავს იჩენს ერთგვარ ქვემდებარებთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში. კერძოდ:

ა) გარდაუვალი კლასნიშნიანი ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ქვემდებარეებს ყოველთვის უთანხმდება რიცხვში და, განსხვავებით ქართულისაგან, არა აქვს მნიშვნელობა ქვემდებარეები სულიერი საგნის სახელებია თუ უსულონი.

მაგალითად:

1. **სქ დაღწ, ბიძ ბუჭენ ბარ** „მამაჩემი და ბიძაჩემი (მამის ძმა) ომში იყვნენ.“
2. **სქ დაშო, ვაშო ქუარწლებ ცჰად დოტურ** „ჩემი და და ძმა ქორწილში ერთად მიდიოდნენ.“
3. **ჟაგნუმა, რვიგლია შტოლმაქ ცჰად დატურ** „წიგნები, რვეულები მაგიდაზე ერთად ეყარნენ (ელაგა).“

ბ) კლასნიშნიანი გარდამავალი ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ქვემდებარეებს რიცხვში არ უთანხმდება, არც კლასი აღნიშნება

მათი. არა აქვს ამ მხრივ მნიშვნელობა, სულიერი საგნის სახელებია ქვემდებარეები თუ უსულონი:

1. **ილკოსნ, იგნესნ მძღრე ჟაბრ ბაჟობრ** „ილიკო და იგანე მინდორში ცხვარს აძოვებს (აძოვებენ).“

2. **თინკოსნ, ბათასნ ჩხაღრი დეფცრ** „თინიკო და ბათა წინდებს ქსოვს (ქსოვენ).“³

ზმნასთან შეწყობილ სახელთა გამოხატვის თვალსაზრისით წოვათუშურ ენაში მდგომარეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენადმე თავისებურია: ერთი და იგივე კლასის ნიშანი ერთნაირად გამოხატავს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან შეწყობილი ყველანაირი პირის კლასსაც და რიცხვსაც, მაშინ როდესაც ქართულში სუბიექტურ პირს თავისი ნიშნები აქვს, ობიექტურს თავისი. ამ ორ სისტემას შორის განსხვავება გვაქვს იმ მხრივაც, რომ რიცხვთან ერთად კლასნიშანი საგნის სოციალურ ღირებულებას გამოხატავს, პირის ნიშანი კი იმავე საგნის რომლობას.

მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ზმნის პირთა გამოხატვის ახალი, ქართულისებური, სისტემა ჯერ კიდევ არაა ბოლომდე დამკვიდრებული წოვათუშურში. და ჯერჯერობით ის მხოლოდ პარალელურ გამოყენებაშია ადგილობრივთან. აღნიშნული მიზეზით ხან მხოლოდ საკუთრივ წოვათუშური სისტემაა პირთა გამოხატვისა ჩართული მეტყველების პროცესში, ხან კი ერთდროულად ფუნქციონირებს ორივე სისტემა: საკუთარიც და ნასესხებიც.

³ თარგმანი შემასმენლისა, ცხადია, პირობითია, რადგან მოცემული მორფოლოგიური სისტემით არც პირი გამოიხატება ქვემდებარისა გარდამავალ ზმნაში და არც რიცხვი.

აღნიშნული ორი სისტემის ერთდროული გამოყენებისას თავისებური ვითარება იქმნება ამ ენის ზმნა-შემასმენელში, რადგან ხდება საორიენტაციო პირთა ორმაგი აღნიშვნა. ამ მოვლენას, როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილი აქვს გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის გამოხატვისას და გარდაუვალი ზმნის სუბიექტური პირის გამოხატვისას. იმის გამო, რომ ამჯერად ჩვენ ერთგვარქვემდებარიან შერწყმულ წინადადებას ვიკვლევთ, დაწვრილებით წარმოვადგენთ მხოლოდ წოვათუშური ენის გარდაუვალი ზმნის ახალ მორფოლოგიურ მოდელს.

გარდაუვალ ზმნაში ახალი სისტემით ერთსა და იმავე დროს კლასნიშანი სუბიექტის კლასს, ანუ სოციალურ ღირებულებას და რიცხვს აღნიშნავს, პირის ნიშნით კი ისევ იმავე სუბიექტის რომლობა და რიცხვი გამოიხატება, რის შედეგადაც სინტაქსური ჰლეონაზმის იშვიათი და საინტერესო შემთხვევა გვეძლევა.⁴

მაგალითად:

1. **ასწ, თქლორწ ჰჷლორ ბუღტათხ** „მე და თვედლორე ტყეში მივდივართ.“

წარმოდგენილ ზმნაში (**ბ-უღტ-ათხ**) თავსართი **ბ-** კლასნიშანია, მამაკაცის კლასისა მრავლობით რიცხვში, სუფიქსი **-ათხ** კი აღნიშნავს პირველ პირსა და მის მრავლობითობას ისევ.

2. **ჰრ, ჰქ ფსტუნ ყონში დაღშუ** „შენ და შენი ცოლი ახალგაზრდები ხართ.“

3. **აჰწ, თამრო ქალქი დახიშ** „შენ და თამარი ქალაქში (თბილისში) ცხოვრობთ.“

⁴ მოცემულ საკითხზე დაწვრილებით იხ.: მიქელაძე 2013 – 20–23.

მაგალითების ზუსტი თარგმანი ვერ ხერხდება მათი სპეცი-
ფიკურობის გამო და თვალსაჩინოებისათვის შემასმენელში პარა-
ლელურად წარმოდგენილი კლასისა და პირის ნიშნების გამოცალ-
კეებით ვკმაყოფილდებით.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ წოვათუშურმა მხოლოდ
სისტემა ისესხა ქართულიდან პირთა გამოხატვისა, ხოლო რაც შე-
ეხება პირის ნიშნებს, ისინი საკუთარი პირის ნაცვალსახელთა ფუ-
ძეებიდან აწარმოვა.

პირთა გამოხატვის იმავე ნასესხები სისტემით სარგებლობი-
სას ქართულის სრული ანალოგია გვაქვს უკვე ერთგვარქვემდებარ-
იან შერწყმულ წინადადებაში, სადაც ამჯერად ნებისმიერი გვა-
რის ზმნაში საგანგებო სუფიქსებით გამოიხატება ქვემდებარის პი-
რი და რიცხვი.

მაგალითად:

1. **ასწ, თინასწ, მადკოსწ ფსარე კეჭ დითნათს** „მე, თინამ და
მაიკომ გუშინ მატყლი გავრეცხეთ.“

2. **აჭწ, იგრმესწ ქე მაცწ ლარკუმწ** „შენ და იორამი ცხვარს
როდის გაპარსავთ?“

მოცემულ მაგალითებში სუფიქსი **-თს** გამოხატავს პირველ
სუბიექტურ პირსა და მის მრავლობითობას, ხოლო სუფიქსი **-მწ**
მიუთითებს იმავეს მეორე სუბიექტურ პირთან მიმართებით.

ერთგვარ ქვემდებარეებს შერწყმულ წინადადებაში შეიძლება
ახლდეს, ან არ ახლდეს ამხსნელი ანუ მიმყოლი სიტყვები. დასტურ-
დება სამი სათანადო შემთხვევა:

1. ყველა ერთგვარი ქვემდებარე გაუფრცობელია:

სე დროჰ მასკარგწ, კნათიგწ ბედ-ბედ კლასე ღამდორ „ჩემ

დროს გოგოები და ბიჭები ცალ-ცალკე კლასში
სწავლობდნენ.“

II. ყველა ერთგვარ ქვემდებარეს ცალ-ცალკე ახლავს თავისი
ამხსნელი სიტყვა:

**სე კაწკხუაჩო მაჭოვან, ჰე ქუაჩოთხიჩო ვაჭოვან ცჰაანჩი
კლასე ღამოდო** „ჩემი უმცროსი გოგო და შენი უფროსი
ბიჭი ერთ კლასში სწავლობენ.“

III. ერთგვარ ქვემდებარეთაგან ზოგი გავრცობილია, ზოგი
გაუვრცობელი:

ნაყა იესებან, ჰე ქაწკუეხ მოჰან ბჰარდახქ სო „გზაში
იოსები და შენი უმცროსი გოგონა შემხვდნენ.“

ერთგვარ ქვემდებარეებს ხშირად ახლავს საერთო დაქვემ-
დებარებული სიტყვები, რაც უფრო მჭიდროს ხდის წინადადების
სინტაქსურ კონსტრუქციას.

მაგალითად:

1. **ვაა ბანდრივან, ბანდერბანდრივან ვაჩ მასთხუა ცო**

განარბადალითო „ჩვენი შვილები და შვილიშვილები ჩვენს
მტრებს არ გაახარებენ.“

2. **დუენინაირ ჭორონ, მართალან ალდალოჩ სოხ ნახლო**

„ბევრნაირი ჭორი და მართალი ითქვა ჩემზე ხალხში.“

პირველ წინადადებაში ერთგვარი ქვემდებარეების საერთო
განსაზღვრებაა ვაჩ „ჩვენი“, მეორეში კი – დუენინაირ „ბევრნაირი“.

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი ქვემდებარეებისა და
შემასმენლის თანამიმდევრობა არაა მყარი. ჩვეულებრივია, ანუ
გავრცელებულია აღნიშნულ წევრთა ორგვარი წყობა:

ა) შემასმენელი უსწრებს ერთგვარ ქვემდებარეებს.

1. ხიგო დოტურ გო თანგბი გოხკინო იოსო, მიდკო

„წყალზე მიდიოდნენ ზურგზე თუნგებაკიდებულები
მედიკო და ელისო.“

**2. ჩხორი დოშ ენე ზედახკერ ტამს, ბათს „წინდების
ქსოვით ჩრდილში ისხდნენ ტასია და ბათა.“**

ბ) შემასმენელი მოსდევს ერთგვარ ქვემდებარეებს:

1. დაცონს, კაწკონს, ყანს, ყონონს დღევბას დოტურ

„დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა დღეობაში
მიდიოდა (მიდიოდნენ).“

2. კრებას უნივერსიტეტე ლექტონს, სტუდენტის

სწრობალარ „კრებას უნივერსიტეტეში ლექტორები და
სტუდენტები ესწრებოდნენ.“

ზოგჯერ შემასმენელი ერთგვარ წევრებს შორისაც შეგ-
ვხვდება, მაგალითად:

**1. თხაბუს თამარო ქუმრწლეს მარე, იათამზე „წახელ
თამარიც ქორწილში იყო და იათამზეც.“**

**2. ი ჟანგო ასნ ჰალო ხამტნასე, სე მამასნ „ეს წიგნი მეც
წავიკითხე და ჩემმა დამაც.“**

ზნ. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება

ერთგვარშემასმენლიანია წინადადება, სადაც ერთ ქვემდე-
ბარესთან შეწყობილია ორი ან მეტი შემასმენელი. წოვათუშურში
ისევე, როგორც ქართულში, გვაქვს ორი სახის შემასმენელი: მარ-
ტივი და შედგენილი.

ერთ საერთო ქვემდებარესთან შეწყობილი შემასმენლების ხასიათის მიხედვით სამგვარი ვითარება დასტურდება ამ ენაში:

1. ქვემდებარეს ახლავს რამდენიმე მარტივი შემასმენელი.

1. **ნიკოს ჟაგნუდ ხეტორჟ, კონსპექტი წერადმორ** „ნიკო წიგნებს კითხულობდა და კონსპექტებს წერდა.“

2. **დავმალინო ალზა კალპოტრჟ სომოტე'ნჟ, ნათესი დატბორადმიჟ** „ადიდებული ალაზნანი კალაპოტიდან გადმოვიდა და ნათესები დატბორა.“

ბ) წინადადება შერწყმულია შედგენილი შემასმენლების სახელადი ნაწილების მიხედვით.

1. **წინუს თაგუანა მარ, ლამზურჟ მეწლანა** „პატარძალი მოხდენილი იყო, ლამაზი და საყვარელი.“

2. **თიგოთენო, ბათირენჟ, ლამზურ მარ მახენო ბუასა** „მშვიდი, მთვარიანი და ლამაზი იყო გასული დამე.“

გ) ერთგვარი შემასმენლებიდან ზოგი მარტივია, ზოგი შედგენილი:

1. **თინა განარბადამონო მარ, მოც ბორჟ, ლეთხა იხორ** „თინა განარებული იყო, მღეროდა და ცეკვავდა.“

2. **ბუხარ კაძხან ბარ ჰეტბიენოჟ, ჩამლიშ ღუღნებალარ** „ბუხარი კუნძებით იყო გამოტენილი-და საამურად ღუღუნებდა.“

ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარე შეიძლება გამოტოვებული იყოს და იგულისხმებოდეს წინა ნათქვამისა თუ ზმნის ფორმის მიხედვით.

მაგალითად:

1. **სე ვაშო ქუარწლეს მოცა ბინას, ლეთხანა იხნასჟ,**

გარმონი თიფნას „ჩემი ძმის ქორწილში ვიმდერე კიდეც, ვოცეკვე კიდეც და გარმონიც დაფუკარი.“

2. ცო თიფურ, დუგ ამბუდ მორე, ნახ ქოთლორ „არ ისგენებდა, ბევრს ლაპარაკობდა და ხალხს აწუხებდა.“

ქვემდებარისა და ერთგვარი შემასმელების წყობა რამდენადმე თავისუფალია. დასტურდება სამი შემთხვევა:

I. ქვემდებარეს მოსდევს ერთგვარი შემასმელები. ეს ყველაზე უფრო გავრცელებული წყობაა.

1. წკიბოს ლეკეგო დაჰ დახინო მასკარ დუხ დიკნო'ერ, შუდ დადინ დაჰნ დარიგბადინორ „წკიბოს (ცნობილი თუში გმირის სახელია) ლეკებისთვის წართმეული გოგოები უკან წამოეყვანა და თავიანთი მშობლებისთვის დაერიგებინა.“ (მიქელაძე 2011 – 179)

2. ჰაცე, წკიბოს ო შადრი მაგუმრო აშარე ვერლობორალო მასთხუდ, დაჰ ბნეგადობორალო „ჰოდა, წკიბო იმ თავისი დიდი ხმით აწინებდა მტერს, აბნეგდა.“ (მიქელაძე 2014 – 297)

II. ქვემდებარეს უსწრებს ერთგვარი შემასმენლები:

1. ვქ, ქუმრწლეგოდოლო, წინუს ჩუ თიგაორ, ჩუ მიშაორ ფენლათრეს „მერე, ქორწილის მერე, ჰატარძალს ასგენებდა, აძინებდა ხელისმომკიდე.“ (მიქელაძე 2014 – 254)

2. ცჰანნი დენი ვენანჰ ჰალო დაბაროდმიენე, დოსნ დაჰ ქეკდიქ ელიზბრეს „ერთ დღეში ვენახიც დაბარა და შეშაც დაჩეხა ელიზბარმა.“

III. ქვემდებარე ერთგვარ შემასმენლებს შორისაა.

1. ცუდლუტბალარ ლეგან, უსაქმოთ ლელვატერ ფაქეჭ

„ცუდლუტობდა ლეგანი, უსაქმოდ დაეხეტებოდა სოფელში.“

2. წა შეგლობადიქ თხა ნინოსჲ, მატრ თაგდიქ „სახლი დაალაგა დღეს ნინომ და სადილი გააკეთა.“

ერთგვარი შემასმენლები ქვემდებარეს ერთსა და იმავე ბრუნვაში მოითხოვენ, ან სხვადასხვაში. ერთსა და იმავე ბრუნვაში – მოთხრობითში – მოითხოვენ ქვემდებარეს მოქმედებითი გვარის ნებისმიერი სერიის ფორმით წარმოდგენილი ზმნა-შემასმენლები. მათთან ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობით ბრუნვაშია.

მაგალითად:

1. ნიკოზეს ყე დაჭ დოხკი'ნე, წა ეცო „ნიკოლოზმა ცხვარი გაყიდა და სახლს იყიდის.“

2. ნინოს დახექ წერილ დაწერადიე'ნე, დაჭხ

დაჭითქ ქალიქ გაშენ „ნინომ გრძელი წერილი დაწერა და გაუგზავნა თბილისში ძმას.“

როგორც წინა პარაგრაფში უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ რთულად დგას ამ ენაში ქვემდებარის ბრუნვის საკითხი, როცა ზმნა-შემასმენელი ვნებითი ან საშუალო გვარისაა. აქ უკვე ქვემდებარის ბრუნვა შეიძლება იყოს მოთხრობითი ან სახელობითი იმის მიხედვით, არსებითი სახელითაა ქვემდებარე გადმოცემული თუ ნაცვალ-სახელით; მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომელი პირის ფორმითაა ქვემდებარე გადმოცემული და როგორ არის მისი მოქმედება გააზრებული: აქტიურად თუ პასიურად.

აღნიშნულის მიხედვით, შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი გარდაუვალი ზმნა-შემასმენლების სამი კომბინაცია ფიქსირდება:

I. ყველა გარდაუვალი შემასმენელი საერთო ქვემდებარეს სახელობით ბრუნვაში მოითხოვს.

1. **შოთა დეძცჳანჳ ბადრილო ლაპწინჳ, ლაზიშ**

გართობადვალჳ „შოთამ (სახ.) მთელი დღე ბავშვებში ითამაშა და კარგად გაერთო.“

2. **სქნან ლაწიშ მაჳ, მათე მიშჳ** „დედაჩემი (სახ.) ავადაა და ლოგინში წვეს.“

II. ყველა გარდაუვალი შემასმენელი ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში მოითხოვს.

1. **ას შარქმაქ ლათრასჳ, დოტ-დაღიუმგო ვაგლარას** „მე (მოთხ.) ქუჩაში ვიდექი და გამვლელ-გამომვლელს ვენახებოდი.“

2. **აჳ ბუჩქილო ჳევაღეჳჳ, ნახგო ლეჳყლაჳ** „შენ (მოთხ.) ბუჩქებში ზინარ და ხალხს ეძალეები.“

III. გარდაუვალი ზმნა-შემასმენლები ქვემდებარეს სხვადასხვა ბრუნვაში (სახელობითში და მოთხრობითში) მოითხოვენ. ასეთ შემთხვევაში ქვემდებარე უახლოეს შემასმენელს უწვევს ანგარიშს ბრუნვაში.

მაგალითად:

1. **მოწაფი მუჳშ ქცევალარ გაკვეთილმაქ, ამბუჳ დორ,**
უჩიტლეგო ლარკ ცო ჳეფორ „მოსწავლეები ცუდად იქცეოდნენ გაკვეთილზე, ლაპარაკობდნენ, მასწავლებელს ყურს არ უგდებდნენ.“

მოცემული მაგალითის პირველი შემასმენელი სახელობითში მოითხოვს ქვემდებარეს, მეორე და მესამე შემასმენლები კი მოთხრობითში. საერთო ქვემდებარე სახელობითშია.

2. **ბაღრევე ქოკ ლაწბიე'ნტე, დათხეშ ლათერ** „ბავშვმა ფეხი იტკინა და ტირილით იდგა.“

მოცემულ შემთხვევაში პირველი შემასმენელი მოთხრობით-ში მოითხოვს ქვემდებარეს, მეორე კი სახელობითში. საერთო ქვემ-დებარე მოთხრობითშია.

3. **ჭაწუკ ბენრქ ჰალო ეტი'ნტე, პზანი მარჟიე'ნტე, შარნა გაფრენადლო** „ჩიტი ბუდიდან ამოხტა, ფრთები გაშალა-და გაფრინდა.“

ამჯერად პირველი შემასმენელი სახელობითში მოიხოვს ქვემდებარეს, მეორე – მოთხრობითში, მესამე შემასმენელი – ისევ სახელობითში. მათი საერთო ქვემდებარე სახელობითშია.

ერთგვარი შემასმენლები ჩვეულებრივ ერთი და იმავე მწკრი-ვის ფორმითაა გადმოცემული.

მაგალითად:

1. **ას მაწყ სიმძღ თო ცნადოს, მაწყ ვავ დაცოს, მაწყ გენა ღლეჭმოსტე, ქანიზ ჰეჭყოს** „მე ხან სიმინდს ვთოხნი, ხან ყანას ვმკი, ხან ვენახს ვკრეფ და ყურძენს ვწურავ.“

2. **სამუშაუმაქრქ ვეცქრო პოვოეს სანი ჩუ დაკეტადიქ, ჩუ ვიშე'ნტე, ჩუ თუ მჭვისქ** „სამუშაოდან მოსულმა პავლე მკარები ჩაკეტა, დაწვა და დაიძინა.“

3. **ყივლევე ქოთვიქრო იგნეს ოჯახ ჩუ მითნო'ერ, სამუშაოთ თურქითა ვახნორ** „სიღარიბით შეწუხებულ იგანეს ოჯახი დაეტოვებინა და სამუშაოდ თურქეთში წასულიყო.“

ზოგჯერ ერთგვარი შემასმენლები სხვადასხვა მწკრივის ფორმითაა გადმოცემული. მაგალითად:

1. **ჭაშიგ ფჰორ ვალი'ნტე, მასპინძლან მშვიდბალაქ, შუმან**

ღუმტუ „სტუმრებმა იფანშმეს და, მასპინძლებს ემშვიდობებთან და მიდიან.“

2. თამროს ბადერ აყვანადინო, სამსაუხრენ მაცო ბალოჩოვ, ო გაგოდო „თამარს ბავშვი აუყვანია (უშვილებია) და, სამსახურისთვის თავდანებებული, იმას ინახავს.“

§7. ერთგვარპირდაპირდამატებიანი შერწყმული წინადადება

ერთგვარია პირდაპირი დამატებები, რომლებიც ერთსა და იმავე შემასმენელს შეეწყობა. შევადაროთ ერთმანეთს ორი წინადადება:

1. ჰაშეე სანი ჩუ დიე'ნე, მასპინძელა მოკითხოდიქ

„სტუმარმა კარები შექმოლო და მასპინძელი მოკითხა.“

2. მასპინძელს ჰაშენ ბალა, ატამა დაჰაჰა ჰათხ „მასპინძელმა სტუმარს ბალი და ატამი მიართვა.“

პირველ წინადადებაში ორი პირდაპირი დამატება გვაქვს: **კარები** და **მასპინძელი**, მაგრამ ეს წინადადება არ წარმოადგენს პირდაპირდამატებიან შერწყმულს, რადგან ეს დამატებები სხვადასხვა შემასმენელს უკავშირდება. ეს წინადადება ერთგვარ შემასმენლიანი შერწყმულია. მეორე წინადადებაში ისევ ორი პირდაპირი დამატება გვაქვს: **ატამი**, **ვაშლი**. ამჯერად უკვე პირდაპირი დამატებები ერთსა და იმავე შემასმენელს უკავშირდება, რის გამოც ეს პირდაპირი დამატებები ერთგვარია, წინადადება კი შერწყმული, პირდაპირდამატებიანი.

წოვათუშურ ენაში პირდაპირი დამატება შემასმენლის ნებისმიერი სერიის ფორმასთან ბრუნვას არ იცვლის და სახელობით-

ში დგას. ამიტომ ერთგვარი პირდაპირი დამატებები ყოველთვის ერთსა და იმავე ბრუნვაში – სახელობითშია წარმოდგენილი. მაგალითად:

1. **ას მალაზიე ჟაგნუძე, რევილინ, კალმინ**

ევდოს „მე (მოთხ.) მალაზიაში წიგნებს (სახ.) და, რევილებს (სახ.) და კალმებს (სახ.) გყიდულობ.“

2. **ტენეს ქოთინი, ფხაკლინ გამრავლბადინას** „წელს ქათმები (სახ.) და, კურდღლები (სახ.) გაგამრავლე.“

3. **დაბადებ დენის ბიძის ტარდნ, საათნ (სახ.) იცნორ სიფ** „დაბადების დღისთვის ბიძას (მამის ძმას) ბეჭედი (სახ.) და საათი (სახ.) ეყიდა ჩემთვის.“

შემასმენელში ერთგვარი პირდაპირი დამატებების რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით საკმაოდ რთული მდგომარეობა გვაქვს თანამედროვე წოვათუშურში. ამ მხრივ ვითარება განსხვავებულია კლასნიშნიანსა და უკლასნიშნო ზმნებში, ამიტომ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

კლასნიშნიან ზმნებში ერთგვარი პირდაპირი დამატებების რიცხვი ყოველთვის გამოიხატება. საკუთარი მორფოლოგიური სისტემით სარგებლობისას ეს კლასნიშნით ხდება ერთჯერადად, ხოლო ახალი წოვათუშურ-ქართული ნაჯგარი სისტემის გამოყენებისას პირდაპირი ობიექტის რიცხვის ორმაგი გამოხატვა გვაქვს: კლასნიშნით და პირის ნიშნით.

შდრ.:

ა) საკუთარი სისტემით:

სო, ვანო დადას დალორ ლაჟმრქ „მე და ვანოს მამა

ჩამოგვიყვანს (ჩამოგყავართ) მთიდან.“

ბ) ნაჯვარი სისტემით:

სრ, ვანრ დადას დალოთხრ ლაუმრქ „მე და ვანოს მამა ჩამოგვიყვანს (ჩამოგვყავართ) მთიდან.“

პირველ მაგალითში პირდაპირი დამატებების რიცხვი შემას-
მენელში გამოხატულია მხოლოდ **დ** კლასნიშნით, მეორე მაგალით-
ში კი იმავე პირების რიცხვს გამოხატავს ცალ-ცალკე: კლასნიშანი
დ და პირისა და რიცხვის ნიშანი (სუფიქსი) **-თხრ**.

უკლასნიშნო შემასმენელში საკუთარი, წოვათუშური, სის-
ტემით სარგებლობისას პირდაპირი დამატების რიცხვი საერთოდ
არ გამოიხატება, ნაჯვარი სისტემით სარგებლობისას კი იმას აკე-
თებს პირის ნიშანი. შდრ.:

ა) საკუთარი სისტემით:

წჩრ მთავრბას სრ, კატრ სამსაჟხრელქ შუან ხეცქ

„ახალმა მთავრობამ მე და კატო სამსახურიდან გაგვიშვა.“

ბ) ნაჯვარი სისტემით:

წჩრ მთავრბას სრ, კატრ სამსაჟხრელქ შუან ხეცქთხრ

„ახალმა მთავრობამ მე და კატო სამსახურიდან გაგვიშვა.“

პირველი მაგალითის ზმნაში არც პირია პირდაპირი ობიექტი-
სა გამოხატული, არც რიცხვი, მეორე მაგალითში კი იმავე შემას-
მენელზე დართული სუფიქსი **-თხრ** პირსაც გამოხატავს პირდაპირი
ობიექტისას და რიცხვსაც.

ერთგვარი პირდაპირი დამატებები უსწრებენ შემასმენელს
ან მოსდევენ მას.

მაგალითად:

ა) ერთგვარი პირდაპირი დამატებები უსწრებენ შემასმე-
ნელს:

1. აცსბინანდნო წინი კაბან, მჭდილან იცნას „აღდგომისთვის ახალი კაბა და თავშალი ვიყიდე.“

2. ადამ აღვანელეს დაზივხუჭ მაცნიშან, პოემინ წერადორ „ადამ აღვანელი (უნიჭიერესი თუში პოეტია) საუკეთესო ლექსებსა და პოემებს წერდა.“

ბ) ერთგვარი პირდაპირი დამატებები მოსდევენ შემასმე-
ნელს:

1. ნაყბისტეს ჩუქბადიქ სოფ დუხან, კაბდილან „მეგობარმა მაჩუქა სუნამო და საკაბე.“

2. პეტრეს მძღრი ლახკი ქაბო, ასინ „პეტრემ მინდორში გარეკა ძროხები და ბოჩოლები.“

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთგვარ პირდაპირ და-
მატებათაგან ზოგი უსწრებს შემასმენელს, ზოგი კი მოსდევს.

მაგალითად:

1. სუფერენმაქ ჩად დეცქ, ნამცხვარქ, ხილ-ხული „სუფრაზე ჩაი მოიტანეს, ნამცხვარი და ხილეული.“

2. მოწაფინ სკოლე სახელმძღვანელოდ ჩუქბადიქ,

რვივლიქ, კალმი „მოსწავლეებს სკოლაში

სახელმძღვანელოები აჩუქეს, რვეულები და კალმები.“

შემასმენელსა და ერთგვარ პირდაპირ დამატებებს შორის
ხშირად ჩამდგარია სხვა წევრები.

მაგალითად:

1. წინიშ დივენო კიტრან, პამიდორან, წიწაკან თხაბუს

ყარგოდოლოქ ლაქმალჩო დორუე ერთნადრათ თა

დამპნორ „ახლად დარგული კიტრი, პამიდორი და წიწაკა

წუხელ წვიმის შემდეგ მოგარდნილ ღვარს ერთიანად

გაენადგურებინა.“

2. იარმუკი დიკენო ჩუახან, ასან ივრმეს

ფსარლომცჳ ნასტ დაჰ დოხკჳ „ბაზარში წაყვანილი ხბო და ბატკანი იორამმა საღამომდე ძლივს გაყიდა.“

წმ. ერთგვარი ირიბდამატებიანი შერწყმული წინადადება

ერთგვარი ირიბდამატებიანია შერწყმული წინადადება, სადაც ერთ შემასმენელს ახლავს რამდენიმე ირიბი დამატება. წოვათუშური ენის ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, აქტიურად ფუნქციონირებს ერთგვარ ირიბდამატებიანი შერწყმული წინადადებაც.

ერთგვარი ირიბი დამატებები შეიძლება ახლდეს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნა-შემასმენელს.

ირიბი დამატების ზმნა-შემასმენელში გამოხატვის თვალსაზრისით თანამედროვე წოვათუშურში ჰარალელურად მოქმედებს ორი სიტემა: საკუთარი და ქართულიდან ნასესხები. ირიბი ობიექტის გამოხატვის საკუთრივ წოვათუშური სისტემა თავისებურებას გვიჩვენებს იმ მხრივ, რომ ზმნაში ირიბი ობიექტი საერთოდ არ გამოიხატება: არა აქვს მნიშვნელობა გარდამავალია ზმნა თუ გარდაუვალი, კლასნიშნის თუ უკლასნიშნო.

სულ სხვა ვითარებას ვხვდებით ენაში ირიბი ობიექტის გამოხატვის ნასესხები ანუ ქართული სისტემის გამოყენებისას; ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი, კლასნიშნის თუ უკლასნიშნო, საგანგებო სუფიქსით ყოველთვის გამოიხატება ირიბი ობიექტის პირიც და რიცხვიც.

აღნიშნული სისტემების შესადარებლად მეტი თვალსაჩინოებისათვის მაგალითად ვიყენებთ ერთსა და იმავე წინადადებას, გვაქვს:

ა) საკუთარი სისტემით:

სონა, მერბენა უჩიტლეს ფრინდი დაწერადიქ „მე და მერაბს მასწავლებელმა ფრიადები დაწერა (დაგვიწერა).“

ბ) ნასესხები სისტემით:

სონა, მერბენა უჩიტლეს ფრინდი დაწერადიქ თხიქ „მე და მერაბს მასწავლებელმა ფრიადები დაგვიწერა.“

მოცემული წინადადების პირველ ვერსიაში შემასმენელი **დაწერადიქ** წარმოდგენილია ირიბი ობიექტის პირისა და რიცხვის აღნიშვნის გარეშე, მეორე შემთხვევაში კი იმავე ზმნაზე დართული სუფიქსი **-თხიქ** გამოხატავს ორივეს: პირველი ირიბი ობიექტის პირსაც და რიცხვსაც, როგორც ამას აკეთებს ქართულში თავსართი „გვ“-.

თავისებურად დგას წოვათუშურში ირიბი ობიექტის ბრუნვის საკითხიც. საგულისხმოა, რომ აქაც იმართვის ზმნა-შემასმენლისგან ეს წევრი ბრუნვაში და, ანალოგიურად ქართულისა, ეს ბრუნვა არის მიცემითი. განსხვავება მოცემულ საკითხში ამ ორ ენას შორის იმაში მდგომარეობს, რომ წოვათუშურში ეს მიცემითი სხვადასხვაგვარია. სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია და დადგენილი, რომ „ზმნის კონკრეტული შინაარსის მიხედვით ამ ენაში ოთხი მიცემითი გვაქვს: პირველს გამოხატავს სახელის ფუძეზე დართული სუფიქსი **-ნ**, მეორეს – სუფიქსი **-გო**, მესამეს – სუფიქსი **-გო**, ხოლო მეოთხეს – სუფიქსი **-ხ**. (მიქელაძე – 2018, 114).

მაგალითად:

ა) ნარიანი მიცემითი ირიბ დამატებად:

მაჭო'-ნ, ვაჭო'-ნ ნანას აცსბინანო ღუფხუ წინი ეცქ

„გოგოს და ბიჭს ღედამ სააღღგომოდ სამოსი ახალი უყიდა.“

ბ) -გო სუფიქსიანი მიცემითი ირიბ დამატებად:

ნანე-გო-ჭნ, დადე-გო-ჭნ იოლკოს ტათებ დაჯქ „დედას და მამას ილიკომ ფული გამოართვა.“

გ) -გო სუფიქსიანი მიცემითი ირიბ დამატებად:

დაყარ აბრმეს მუში-გო დაცითიქ „ბალახი აბრამმა მუშებს გაათიბინა.“

დ) -ხ სუფიქსიანი მიცემითი ირიბ დამატებად:

ბანდერ ნანა-ხ ჰერჩქ „ბავში დედას ეხვევა.“

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი ირიბი დამატებები ყოველთვის ერთი და იმავე სახის მიცემითშია წარმოდგენილი, რადგან მათს ბრუნვას ერთი საერთო ზმნის შინაარსობრივი აქცენტი განსაზღვრავს.

მაგალითად:

1. **ჯაი'-ნ, ფჭარი'-ნ დაყარ თილნას** „ღორსა და ძაღლს საჭმელი ვაჭამე.“

2. **ნანეგო, დადეგო ის საქმ ცოჭანნ თაგ მითმაკ** „დედას, მამას მაგ საქმეს ვერაგინ გააკეთებინებს.“

3. **ივნე'-ხ, ამჩლე'-ხ ისე ცომენ თეშქ** „ივანეს და არჩილს აქ არაგინ ენდობა.“

4. **სესხათ ტათებ ნიკუდგოჭნ, ამჩლეგოჭნ დაჯოს** „ფულის სესხად ნიკოს და არჩილს გამოგართმევ.“

წყობა ერთგვარი ირიბი დამატებებისა და შემასმენლისა რამდენადმე თავისუფალია. ფიქსირდება მათი განლაგების შემდეგი ვარიანტები:

ა) ირიბი დამატებები უსწრებენ შემასმენელს:

1. **ფილბენა, ჯდრუენა სკოლას სიგელი დაღი** „ფილბენა და ანდროს სკოლაში სიგელები მისცა.“
2. **პოვლეგო'ჭ, ივრმეგო'ჭ ჟაბო ბაფი** „ბავლესა და იორამს ძროხები დაეკარგათ.“

ბ) ირიბი დამატებები მოსდევენ შემასმენელს:

1. **ნანას ლამზურ ჩხილრი დიქ ილკუენა, შამმლენა** „დედაში ლამაზი წინდები მოუქსოვა ილიკოს და შამილს.“
2. **სკოლ**

დირექტორგოჭა, მოადგლეგოჭა საქმე მუდში მახე

„სკოლის დირექტორსა და მოადგილეს საქმე ცუდად წაუვიდათ.“

გ) შემასმენელი ირიბ დამატებებს შორისაა მოქცეული:

1. **მთავრობას წა კიმიენ დაღი უფასოთ, ვახტანგინე, ივსბენ** „მთავრობაში სახლი კიმიოს მისცა უფასოდ, ვახტანგს და იოსებს.“
2. **წელტინანდო ფსტუნან იცნას საჩუქარ, კნათენე, ნასინ** „საახალწოდ ცოლს ვუყიდე საჩუქარი, ბიჭს და რძალს.“

დ) ირიბ დამატებებს და შემასმენელს შორის მოქცეულია

სხვა სიტყვები:

1. **ფჰარჩინან, ჟაბონა ქიქოყ გეთჰოგ ღაზიში თილნას** „ძაღვებსა და ძროხებს ადრე ამდგარმა კარგად ვაჭამე.“
2. **ჰაშინა, ჩურჩუდშინა ცჰჰლ დარჰდიქჩო დახეჩო**

სუფრენმაქ თილნას მატრ „სტუმრებსა და შენაურებს
ერთად გაშლილ გრძელ სუფრაზე ვაჭამე სადილი.“

§9. ერთგვარუბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადება

წინადადება შეიძლება შერწყმული იყოს უბრალო დამატე-
ბების მიხედვითაც. უბრალო დამატება არ შეეწყობა ზმნას არც
პირში, არც კლასში, ანუ იგი ზმნაში საერთოდ არ გამოიხატება,
რის გამოც არც მისი რიცხვი ჩანს ზმნა-შემასმენელში. აღნიშნუ-
ლის გამო უბრალო დამატება, გარდა შემასმენლისა, შეიძლება ახ-
ლდეს წინადადების სხვა წევრებსაც.

წინადადებაში შეიძლება იყოს რამდენიმე უბრალო დამატება,
მაგრამ წინადადება მაინც არ იყოს შერწყმული ერთგვარი უბრალო
დამატებების მიხედვით. ეს ხდება მაშინ, როცა უბრალო დამატებები
სხვადასხვა წევრებთანაა შეწყობილი, ან სხვადასხვა სახისაა.

მაგალითად:

ა) უბრალო დამატებები შეწყობილია სხვადასხვა წევრებთან:

**თოკიე ქოკი ახკინრ ჟაბრ დადას მანქნეე ახმიტ ბიკქ
ბოხკა** „თოკებით ფეხებშეკრული ძროხები მამამ მანქანით
ახმეტაში წაიყვანა გასაყიდად.“

ბ) უბრალო დამატებები სხვადასხვა სახისაა:

ჭაჭდაგრეე ჭამახეე ლამზურხ ელისო დარ თხა დღეეახ
„შესახედაობით ყველაზე ლამაზი ელისო იყო დღეს
დღეობაში.“

წინადადება შერწყმულია უბრალო დამატებების მიხედვით
მაშინ, როცა ეს დამატებები ერთგვარია და ერთსა და იმავე წევრს
უკავშირდება.

მაგალითად:

ა) ერთგვარი უბრალო დამატებები უკავშირდება შემასმენელს:

ქიქოყ ალვერდბას დოივან, უნმივან იხრათხ „წინათ ალავერდობაში ცხენებითა და ურმებით დავდიოდით.“

ბ) ერთგვარი უბრალო დამატებები უკავშირდება ქვემდებარეს:

ყივლუნან გაჭირბანან ლეთრეე დაჰ მალვიქსო „სიღარიბესა და გაჭირვებასთან ჭიდილმა დამღალა.“

გ) ერთგვარი უბრალო დამატებები უკავშირდება პირდაპირ დამატებას:

ღირექტორეს მოწაფანან, მშობლანან ბჟარვანარ ხიტდიქ „ღირექტორმა მოსწავლეებსა და მშობლებთან შეხვედრა გადაწყვიტა.“

დ) ერთგვარი უბრალო დამატებები უკავშირდება განსაზღვრებას:

ჰონანანო, სონანანო აბინო კაბი ღირტკეს დაჰ მოხკოქ „შენთვის და ჩემთვის შეკერილი კაბები მკერავმა გაყიდა.“

ერთგვარ დამატებებს ბრუნვის ფორმა ერთნაირი აქვთ, განსხვავება მათ შორის შეიძლება იყოს რიცხვის მიხედვით:

ჰონანანო, შადრ ბანდრინანანო ღიენო ჩხაღრი ნანას დაჰ დიოქ „შენთვის და თავისი შეიღებისთვის მოქსოვილი წინდები დედამ გარეცხა.“

თუ უბრალო დამატების გადმოსაცემად თანდებულისანი ფორმაა საჭირო, ჩვეულებრივ ყველა ერთგვარი უბრალო დამატება თანდებულისანია.

მაგალითად:

1. **მაშეგორქადაჰო, ვაშეგორქადაჰო მოკითხვეწ წირლი მიღებადინას** „დისგან და ძმისგან მოკითხვის წერილები მივიღე.“
2. **ჰომქან, სომქან აყრადმიქ ჰეტრეს ქიქლოქ ჯავგრ** „შენზე და ჩემზე იყარა ჰეტრემ ძველი ჯავგრი.“

§10. ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადება

წოვათუშურ ენაში ორი სახის განსაზღვრება გვაქვს: ატრიბუტული ანუ შეთანხმებული და სუბსტანტიური ანუ მართული. ატრიბუტული განსაზღვრების როლში გვევლინება ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზოგჯერ თვითონ არსებითი სახელიც, სუბსტანტიური განსაზღვრება კი გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში მართული არსებითი სახელით, ან გააჩნები-თებული სხვა მეტყველების ნაწილით.

საგულისხმოა, რომ დამოუკიდებლად აღებული ორივე სახის განსაზღვრება იბრუნვის და დაირთავს სათანადო ბრუნვის ნიშნებს, მსაზღვრელად გამოყენებისას კი გარკვეულ თავისებურებას გვიჩვენებს, კერძოდ:

ა) ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელი სახელობითის გარდა ყველა სხვა ბრუნვაში საგანგებო -**ჩო** სუფიქსს დაირთავს და ბრუნვის ნიშნებს აღარ საჭიროებს.

ბ) სუბსტანტიურ მსაზღვრელად გამოყენებული სახელი სახელობითში დასმულ საზღვრულს ნათესაობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა, სხვა ბრუნვებში კი ფუძის სახით რჩება.

მსაზღვრელ სახელთა ბრუნების აღნიშნული თავისებურება თავს იჩენს საზღვრულთან მათი ნებისმიერი სახის ურთიერთობისას.

მაგალითად:

ა) 1. **კუინა, წიგენა ვარდი ლათერ ეზო** „თეთრი და წითელი ვარდები იდგა ეზოში.“

2. **კუიჩ-ო, წიგე-ჩო ვარდივ დარ დარბაზ მორთადიენო** „თეთრი და წითელი ვარდებით იყო დარბაზი მორთული.“

ბ) 1. **ნანენა, დადენა სურთი ალბომი დუდსკნას** „დედის და მამის სურათები ალბომში ჩავაწყვე.“

2. **ნანა, დადა სურთივ ხარბალას** „დედა(ს) და მამა(ს) სურათებით ვხარობ.“

ერთგვარი განსაზღვრებები უშუალოდ არიან დაკავშირებული ერთსა და იმავე საზღვრულთან და ერთნაირად მიემართებიან მას, ერთმანეთს კი უერთდებიან მაერთებელი კავშირებით, ან უკავშიროდ, მხოლოდ ჩამოთვლის ინტონაციით.

მაგალითად:

ა) ერთგვარი განსაზღვრებები მხოლოდ ჩამოთვლის ინტონაციით უერთდებიან ერთმანეთს:

1. **ბუქრაულა ილიკო ცუამდიენო, გოლო, წადრეჟ სტაკ ვარ** „ბუქურაული ილიკო (ცნობილი თუში მათემატიკოსი) ნასწავლი, ჭკვიანი, სახელოვანი კაცი იყო.“

2. **ბათირეჟ, ატინო, ლამზურ ბუდსა ლათერ** „მთვარიანი, ჩუმი, ლამაზი საღამო იდგა.“

ბ) ერთგვარი განსაზღვრებები კავშირით უერთდებიან ერთმანეთს:

1. ხენენა, გერენა (ხენ-გერე) აღმქ ხილქ ანიკო „ხისა და ქეის ადამიანი აღმოჩნდა ანიკო.“

2. ჭირვენე, დოკლაკ სტაკ ვარ მიხაკო „ჭირვეული და ბრაზიანი კაცი იყო მიხაკო.“

გ) გვაქეს კავშირიანი და უკავშირო შეერთება:

1. მეგმაქ დატერ დაზიშ დითენო, დაუთადიენოქ, დაჰ ჩავარდიენო სარეცხ „ტახტზე ელაგა კარგად გარეცხილი, გაუთოებელი და გადარჩეული სარეცხი.“

2. ზორა, წადრვენე, საქმლო ვოჰ ლეხორ სიძედ ამირნეს „ყოჩაღს, სახელოვანსა და საქმიან ბიჭს ეძებდა სიძედ ამირანი.“

ერთგვარ განსაზღვრებათა შესაერთებლად კავშირისგან ყველაზე ხშირად იხმარება მავჯგუფებელი კავშირი „და“, იშვიათად კი მაპირისპირებელი კავშირები: მან („მაგრამ“), „მაგრამ“. აღნიშნული კავშირები (მან, მაგრამ) ორივე ქართულენოვანია, ნასესხებია ერთი და იმავე „მაგრამ“ კავშირისგან ინტერფერენტულ პროცესთა სხვადასხვა დონეზე. მათგან მეტყველების პროცესში პირველი უფრო ხშირად ფუნქციონირებს, რადგან მას გამოყენების უფრო ხანგრძლივი ტრადიცია აქვს.

მაგალითად:

1. თიშქ, მან თაგუნო კაბ დაფხურ თიკუდო „ძველი, მაგრამ მოხდენილი კაბა ეცვა თიკოს.“

2. მკაცრი, მაგრამ სამართლიან განაჩქ დაჯო მოსამართლეს „მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოიტანა მოსამართლემ.“

ერთგვარი განსაზღვრებები ახლავს წინადადებაში არსებითი სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს: ქვემდებარეს, ყველა სახის დამატებას, ადგილისა და დროის გარემოებებს, შემასმენელის სახელად ნაწილს.

მაგალითად:

ა) ერთგვარი განსაზღვრებები ახლავს ქვემდებარეს:

1. **გოწიჩო, მოუფიქრებელ დაშავ დოკ ნაგო ადმენქ**

„ბრიყვეული, მოუფიქრებელი სიტყვა გულის უკლავს ადამიანს.“

2. **სქ წინ, თიშინ კაბი გარდერობე გაუხკუ** „ჩემი ახალი და ძველი კაბები გარდერობში ჰკილია.“

ბ) ერთგვარი განსაზღვრებები ახლავს დამატებებს:

1. **ფსარე თხილენ, კაკლენ ჩურჩხლასუდ უმხკანს** „გუშინ თხილისა და კაკლის ჩურჩხელები ავასხი.“

2. **წინიშ თაგდიქოქ, გამართოდქოქ წენიგ სჭდრო**

ზორამში ამყებალა „ახალი აშენებული და მოწყობილი სახლით სანდრო ძალიან ამაყობს.“

3. **კეეხრაპო, ზარმაც ადმენეხ ას ცო თეშეს** „მკეეხარა და ზარმაც ადამიანს მე არ ვენდობი.“

გ) ერთგვარი განსაზღვრებები ახლავს გარემოებას:

1. **წინიშ შემოლობადბიქოქ, დაბაროდბიქოქ ბაჯჩე განოს**

ყარფუზ მივექ „ახლად შემოლობილსა და დაბარულ ბაღში განომ საზამთრო დათესა.“

2. **იშტურო მახერეჩოქ, ბათწიჩო ბუდსაფეჰ სოქ ცომიჩქ**

მახმაკ „ასეთ ქარიანსა და უმთვარო ღამეში მე ვერსად წავეალ.“

ზოგჯერ წინადადებაში შეიძლება ფუნქციონირებდეს რამდენიმე ერთგვარი პრედიკატიული განსაზღვრება.

მაგალითად:

1. **ლაწმარ ბჟარკი ჰაბმენოჲ, გაფითრბადამონო დიშურ მათე** „ავადმყოფი თვალებდახუჭული და გაფითრებული იწვა ლოგინში.“

2. **ბაღერ წეგდალინოჲ, დაფალდალინო ლათერ დადენ ჰათხ** „ბავშვი გაწითლებული და დარცხვენილი იდგა მამის წინ.“

§11. ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადება

ერთგვარგარემოებიანია შერწყმული წინადადება, თუ მის ერთსა და იმავე წევრს რამდენიმე ერთი და იმავე სახის გარემოება უკავშირდება. წოვათუშურში ხუთი სხვადასხვა სახის გარემოება გვაქვს: ადგილისა, დროისა, მიზეზისა, მიზნისა და ვითარებისა. შესაბამისად, გვაქვს ამდენივე სახის ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადება.

1. აღნიშნული ტიპის წინადადებებიდან წოვათუშურში ყველაზე ფართო მოხმარებისაა ერთგვარ ადგილისგარემოებიანი შერწყმული წინადადება. ადგილის გარემოებები ერთგვარია, როცა ისინი ერთსა და იმავე კითხვაზე პასუხობენ და ერთსა და იმავე წევრს მიემართებიან.

ნებისმიერი სახის გარემოება და მათ შორის ადგილის გარემოებაც წინადადებაში სინტაქსურ წყვილს ქმნის ზმნა-შემასმენელთან ან ნაზმნარი სახელით გამოხატულ რომელიმე სხვა წევრ-

როან: ქვემდებარესთან, ყველა სახის დამატებასთან, განსაზღვრებასთან და გარემოებასთანაც.

ადგილის გარემოებიანი შერწყმული წინადადების თავისებურებას ქმნის ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში გარემოებისადმი დასმული კითხვები შინაარსობრივად ბოლომდე უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. მაგალითად, წინადადებაში: **წუგი ლაუშმრენ კონხს დაშვებადბალო** „მწყემსები მთიდან ბარში დაემგნენ“ ორი ადგილის გარემოება გვაქვს: **ლაუშმრენ** „მთიდან“ და **კონხს** „ბარში“. ეს გარემოებები არაა ერთგვარი, რადგან დასმული კითხვები: **მიჩნენ?** „საიდან?“ და **მიჩ?** „სად? საით/კენი?“, მართალია, ორივე ადგილს მიემართება, მაგრამ მათ შორის არა გვაქვს სრული თანხვედრა, რადგან პირველი მოქმედების საწყის პუნქტს აღნიშნავს, მეორე კი – ბოლოს.

ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: **ლაშუჭ, ბარეჭ ყარო მათხერ ცჰანნაძრათ** „მთაში და ბარში (მთაშიც, ბარშიც) წვიმდა ერთნაირად“. მოცემულ შემთხვევაში ადგილის გარემოებები: **ლაშუჭ** და **ბარეჭ** – ერთგვარია, რადგან ორივე პასუხობს ერთსა და იმავე კითხვაზე – **მიჩე? მიჩუნ?** „სად?“.

წოვათუშურში ადგილის გარემოება პასუხობს რამდენიმე კითხვაზე: **მიჩე? / მიჩუნ?** „სად?“, **მიჩრენ?** „საიდან?“, **მიჩივჭ?** „საით/კენი?“, **მიჩემც?** „სადამდე?“ ამავე სისტემაზეა აგებული ერთგვარ ადგილისგარემოებიანი შერწყმული წინადადების ქვესახეებიც. შესაბამისად, გვაქვს:

1. **ე ბადერ ჩუჭნ, სკოლეჭნ ღანიშ ქცევალა** „ეს ბავშვი შინაცა და გარეთაცა კარგად იქცევა.“
2. **კარგიგუმჭ, ქონიგუმჭ ქასტბაღლნათხ მალბაღლნუღ**

„კარგებისკენ და ქოხებისკენ ავჩქარდით დადღლილები.“

3. **სამ სწგომცინჷ, წენიგომცრ ნასტ გამჩნას** „ჩემს ეზომდე და სახლამდე ძლივს მივადწიე.“

4. **სანახჩღაჷ, ქორახჩღა ნან ჰეფსურ დუღლობიგო** „კარებიდან და სარკმლებიდან ხალხი უყურებდა ცხენოსნებს.“

ერთგვარ ადგილის გარემოებათა შეერთება კავშირიანიც გვხვდება წოვათუშურიში და უკავშიროც. ყველაზე ხშირად ერთგვარ წვერებს მაჯგუფებელი -**ნ** „და“ და **ლე** „ან“ კავშირები აერთებს, თუშცა ამავე ფუნქციით საკმაოდ ხშირად გვხვდება მაცალ-კეცებელი საკუთრივ წოვათუშური **მაწყ - მაწყ** „ხან - ხან“, **ლე - ლე** „ან - ან“, **ლეცეჰ - ლეცეჰ** „თუნდ - თუნდ“ და ქართულიდან ნასესხები **გჩღ - გჩღ** „გინდ - გინდ“ კავშირები.

მაგალითად:

1. **ქალქიჰან, თელგეჰან დუჯ ნაყბისტი და სოგო** „ქალაქში (თბილისში) და თელავში ბევრი მეგობარი მყავს.“

2. **ლამუჰი ლე ბარე, ჩუჰი ლე ნშაყი მაჯწ სიცხ ლათერ** „მთაში თუ ბარში, შინ თუ გარეთ დიდი სიცხე იდგა.“

3. **ქოთგალაჩოგ მაწყ ქალქი ლიხნას სამსახურ, მაწყ თელვე** „შეწუხებულმა ხან ქალაქში (თბილისში) ვეძებ სამსახური, ხან თელავში.“

4. **ლეცეჰ სამსახურე გიბაღასო მიხოს, ლეცეჰ ჩუჰ** „თუნდ სამსახურში მინახულოს მიხომ, თუნდ შინ.“

5. **გჩღ ჩუჰ დეჯანლ ქორწილ ლევენეს, გჩღ რესტორნე** „გინდ სახლში გადაიხადოს ქორწილი ლევანმა, გინდ რესტორანში.“

ერთგვარ ადგილისგარემოებიან წინადადებაში ხშირად გვხვდება ერთგვარ წევრთა განმაზოგადებელი სიტყვები. განმაზოგადებელი სიტყვები შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს ერთგვარ გარემოებებს.

მაგალითად:

1. **შტოლმაქ, თარუმაქ, შკაფმაქ – მიჩნმაც ბუჯალ ლეფერერ** „მაგიდაზე, თაროზე, კარადაზე – ყველგან მტვერი იდო.“
2. **ჩუჭი ლე ნახლო – მიჩნმაც სო ლეხოსო თამროს** „შინ თუ ხალხში – ყველგან მე მეძებს თამარი.“
3. **ფონტმაქრქდაჭო, ქალქირქდაჭო – მიჩნმარქდა მოსაქ ამბუჟ მადორ** „ფონტიდანაც და ქალაქიდანაც – ყველგანიდან ცუდი ამბები მოდიოდა.“
4. **მოსკოვემცინე, ქალიქამცე – მიჩნმაცამცე ნიყ ბა სოგო** „თბილისამდე და მოსკოვამდე – ყველგანამდე გზა მაქვს.“
5. **მიჩნმაც და სოგო დაკრქ ნაცებისტი – აღნი, თელვაჭე, ქალქი** „ყველგან მყავს გულითადი მეგობრები – აღვანში, თელავში და ქალაქში (თბილისში).“

II. ერთგვარ დროის გარმოებათა შემცველი შერწყმული წინადადება აგრეთვე საკმაოდ ხშირად გვხვდება წოვათუშურში. მისი სინტაქსი თითქმის მთლიანად ემთხვევა ერთგვარ ადგილისგარემოებიანი შერწყმული წინადადების სინტაქსს, აქაც აქტიურად დგას კითხვათა მრავალფეროვნებისა და მათი ზუსტი შინაარსობრივი დამთხვევის აუცილებლობის საკითხი.

მაგალითად, მოცემულ წინადადებაში:

წურღქლათინო ფსარლომცი ლაყწო მუშებადინას

კაველო „დილიდან მოყოლებული საღამომდე

შეუსვენებლად ვიმუშავე ყანაში.“

ერთ შემასმენელთან ორი ღროის გარემოება გვაქვს:

1. **წურღქლათინო** „დილიდან მოყოლებული.“

2. **ფსარლომცი** „საღამომდე.“

მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ღროის გარემოებები არაა ერთგვარი, რადგან პასუხობენ სხვადასხვა კითხვებს: **მაცანდლოწ?** „როდიდან?“ და **მაცლომცი?** „როდემდე?“

იმავე თვალსაზრისით ახლა გაგაანალიზოთ შემდეგი წინადადება:

სტოუხკუ, ცენეხ ზღვაძმაქ მარასო თივა „მარშან და

წელს (მარშანაც და წელსაც) ზღვაზე ვიყავი

დასასვენებლად.“

ამჯერადაც ისევ ორი ღროის გარემოება უკავშირდება შემასმენელს:

1. **სტოუხკუ** „მარშან“.

2. **ცენეხ** „წელს.“

ორივე მოცემული გარემოება პასუხობს ერთსა და იმავე კითხვაზე **მაცაწ?** „როდის?“, რის გამოც გაანალიზებული წინადადება შერწყმულია.

ღროის გარემოება წოგათუშურში შემდეგ კითხვებს დაისვამს:

მაცაწ? „როდის?“, **მაცანდლოწ?** „როდიდან?“, **მაცლომცი?** „როდემდე?“, **სტე ხანუგ?** „რაქმდენი ხნით?“

წინადადებაში დროის გარემოება ძირითადად შექმასმენელს უკავშირდება, მაგრამ გვხვდება ნაზმნარი სახელით გამოხატული სხვა წვევრებთანაც.

მაგალითად:

1. **სტოჭხკუ, შურჩონ დაწქ და ლათრათვამგო** „შარშან და შარშანწინ შიმიე ზამთარი გვედგა.“
2. **აჭ ვაყლომცინე, ივრამ ვაყლომცქ ას ისე ხილწს** „შენ მოსვლამდე და იორამის მოსვლამდე შე აქ ვიქნები.“
3. **სა ხილწლომცინე, მათხ ბალომცქ ჯვერ დუჯაყ დრო მა** „გათენებამდე და მზის ამოსვლამდე ჯვერ ბევრი დროა.“
4. **დენიჭან, ბუძსუ შრომეე ვისვაჯქსრ ყივოლებ** „დღისით და ღამით (დღედღამი) შრომამ გადამარჩინა სიღარიბისგან.“
5. **თხან, ვანო დეყქრო ყაროე საქმ მაგომო** „დღეს და ხვალ მოსული წვიმა საქმეს გააფუჭებს.“

ერთგვარ დროის გარემოებათა შეერთება კავშირიანიც შეიძლება იყოს და უკავშიროც. უკავშირო შეერთების დროს ერთგვარ წვევრთა საკავშირებელ საშუალებას ჩამოთვლის ინტონაცია წარმოადგენს.

მაგალითად:

1. **ბანდროლე, ყოწლე, ყანშებო – ბჷან თივოთენო ადმქ დარაჭო** „ბავშვობაში, ახალგაზრდობაში, სიბერეში – ყოველთვის მშვიდი ადამიანი იყავი.“
2. **თხან, ვან, ლამო სიცხუე მა გამოცხადბადიენო** „დღეს, ხვალ, ზევ სიცხეებია გამოცხადებული.“
3. **ლაუმრერო ნაყე ვოტუშ, ვალოშ თხილოშ ხილწ!** „მთის გზაზე წასვლისას, მოსვლისას (მიმოსვლისას) ფრთხილად

იყავი!“

ორი ერთგვარი დროის გარემოების შეერთება ყველაზე ხშირად კავშირით ხდება. ამ დროს გამოიყენება იგივე მავჯუფებელი და მაცალკეებელი კავშირები, რაც ერთგვარ ადგილის გარემოებებთან გვხვდება.

მაგალითად:

1. **ყარონზ, ლავანზ ას ვაფხეშ ვეფხლას** „თოვლსა და წვიმაში მე თბილად ვიცქეფ.“

2. **ლე ბუმსუც ვალოს ჰო მაგა, ლე ლურდქ ქიქოც** „ან დამითვე მოვალ შენს სანახავად, ან დილით ადრე.“

3. **ჩუჭი ლე ნჭაყი, დენიჭი ლე ბუმსუ ვანრეხ დაკლივას** „შინ თუ გარეთ, დღისით თუ ღამით ცხოვრებაზე ვფიქრობ.“

ერთგვარ დროის გარემოებათა შემცველი შერწყმული წინადადება ჩვეულებრივ ორწევრიანია და კავშირიანი. კავშირიანი და უკავშირო შეერთება ერთდროული, ცხადია, სამსა და მეტ ერთგვარ დროისგარემოებიან შერწყმულში შეგვხვდება.

მაგალითად:

1. **შურჩონ, სტოჭხკოჩ, ცეხენ სო ქალქი ცო ხილენვასო** „შარშანწინ, შარშან და წელს მე ქალაქში (თბილისში) არ ვყოფილვარ.“

2. **თხან, ვანოჩ, ლამო მუხანც ყარუდ ლევოძო** „დღეს, ხვალ და ზეგ ისევ (კვლავ) წვიმებს ვარაუდობენ.“

3. **ლეცეჭ თხა ლახ დრო სო ლატა, ლეცეჭ ვანოჩ, ლეცეჭ ლამო** „თუნდ დღეს მონახე დრო ჩემ დასახმარებლად, თუნდ ხვალ და თუნდ ზეგ.“

ერთგვარ დროისგარემოებიან შერწყმულ წინადადებაში ზოგჯერ განმარტობადებული სიტყვებიც გვხვდება.

მაგალითად:

1. **დენიჭი ლე ბუდსუ, ლალიხი ლე ხკოლის – ბჰს სტინას**

ჰო „დღისით თუ დამით, ზამთარში თუ ზაფხულში –

ყოველთვის გელოდე შენ.“

2. **ბნდროლეჭი ლე ვაგლობა – ბჰს ბარ სოგო დადეხათ**

„ბავშვობაში თუ დიდობაში – ყოველთვის მქონდა მამის ხათრი!“

III. ერთგვარ ვითარებისგარემოებიანი შერწყმული წინადადება ძალიან ფართოდ არის გავრცელებული წოვათუშურში. როგორც ყველა სხვა სახის გარემოება, ვითარების გაერმოება წინადადებაში უკავშირდება შემასმენელს, ან ნაზმნარი სახელით გამოხატულ სხვა წევრებს: ქვემდებარეს, განსაზღვრებას, დამატებას.

წოვათუშურში ვითარების გარემოება პასუხობს შემდეგ კითხვებზე: **მოჰ?** „როგორ?“, **მოჰნადრათ?** „როგორნაირად?“, **სტენადრათ?** „რანაირად?“ სამივე დასახელებული კითხვა შინაარსობრივად ერთმანეთს ემთხვევა და თავისუფლად ცვლის ერთმანეთს. განსხვავება მხოლოდ მათს წარმომავლობაშია: პირველი **მოჰ?** საკუთრივ წოვათუშურია, მეორე და მესამე კი – **მოჰნადრათ?** და **სტენადრათ?** – ქართულიდან შესრულებულ ჰიბრიდულ ნასესხობებს წარმოადგენს. მათგან პირველი: **მოჰნადრათ?** „როგორნაირად?“ მეტ სიახლოვეს ავლენს წოვათუშურთან, უფრო ძველი ნასესხობაა და მას დღეს მხოლოდ ასაკოვანთა მეტყველებაში ვხვდებით, რაც შეეხება მესამე კითხვას – **სტენადრათ?** „რანაირად?“ ის უკვე ზედმიწევნითი კალკია ქართლისა.

როგორც აღვნიშნეთ, დასახელებული სამივე კითხვა ერთი და იმავე შინაარსისაა და მცირედენი ნიუანსობირივი განსხვავებით თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს.

ერთგვარ ვითარების გარემოებათა შეერთება წინადადებაში კავშირიანიც შეიძლება იყოს და უკავშიროც. ერთგვარ ვითარების გარემოებათა შესაერთებლად გამოიყენება მართებელი კავშირები: მავგუფებელიც, მაცალკეებელიც და მახირისპირებელიც. ასეთებია: -**ა** „და“, **ლე** „თუ“, **მან** „მაგრამ“, **მაწყ** – **მაწყ** „ხან – ხან“, **გიდ** – **გიდ** „გინდ – გინდ“.

მაგალითად:

ა) ერთგვარ ვითარების გარემოებათა შეერთება უკავშიროა:

1. **კატეკოშ, დალაგებულათ მეზ ამბუჟ!** „ნელა,

დალაგებულად ილაპარაკე!“

2. **კენესალაშ, ეთ-ეთეშ მეფცორ ლაწმრეე ამბუჟ**

„კენესით, სვენებ-სვენებით ყვებოდა ავადმყოფი ამბავს.“

3. **ძეწათ, ქო ჰატყეოშ ვახერ ნიკლოზ** „ძუნწად, ხელმოჭერილად ცხოვრობდა ნიკოლოზი.“

ბ) ერთგვარ ვითარების გარემოებათა შეერთება კავშირიანია:

1. **მოჰ ზორამშ, გამეტებულათ თეფხრ ე სტაკოგ ე ფჰარან**

„როგორ ძალიან და გამეტებულად სცემს ეს კაცი ამ ძაღლს.“

2. **დადას ზორამში მკაცრათ, გილიშ ვაგვორ ვოჰ** „მამა

ძალიან მკაცრად და ჭკვიანად ზრდიდა ვაჟს.“

3. **მაწყ ზორამში ლამწი სო ჭრილობჷ, მაწყ ნაკლებათ**

„ხან ძალიან მტკივა ჭრილობა და ხან ნაკლებად.“

4. **ქასტლაშ, მან დალაგებულათ მეფცორ ამბუჟ იგრძეს**

„აჩქარებით, მაგრამ დალაგებულად ყვებოდა ამბავს იორამი.“

როცა ერთგვარი ვითარების გარემოება წინადადებაში ორზე მეტია, ორი უკანასკნელი ხშირად კავშირითაა შეერთებული, დანარჩენი კი უკავშიროდ:

1. **მდიდრულათ, თავუშე, ლამზრათ დაფხურ ჰაშ**

„მდიდრულად, მოხდენილად და ლამაზად ეცვა სტუმარს.“

2. **ეთ-ეთეშ, თხილოშე, დაკბალუშ იხორ გაჟარ კმატმაქა**

„სვენებ-სვენებით, ფრთხილად და დაკვირვებით ადიოდნენ ძმები კლდეზე.“

შემასმენელთან დაკავშირებული ერთგვარი ვითარების გარემოებები უმეტეს შემთხვევაში უსწრებენ მას, მაგრამ ზოგჯერ მოსდევენ კიდევ კონტექსტის შესაბამისად.

ა) ვითარების გარემოებები უსწრებენ შემასმენელს:

1. **მოც ბოშ, ლეთხა იხოშ, წინი სადღეგრძელუღ ლეგდოშ**

გართობადინას ჰაში „სიმღერით, ცეკვით, ახალი სადღეგრძელოების თქმით გაგართე სტუმრები.“

2. **დოკდასტოშ, მხიარულათ ბზარდახე თხი მასპინძელ**

„გულგახსნილად, მხიარულად შეგვხვდა მასპინძელი.“

ბ) ვითარების გარემოებები მოსდევენ შემასმენელს:

1. **დუხ დირწნას სასამართლოდრე თხუშ, სად ქორთის**

სერტეშ „დავბრუნდი სასამართლოდან ტირილით, საკუთარი თავის წყევლით.“

2. **უბა ჰალო იცნათხ ბახჩუაშე ბუღ-ბაკუშე, მაკიშ დოშ**

„უბანი ავიკელით მთვრალემა ღრიანცვლით და სიმღერით.“

ვითარების გარემოებებს შორის კავშირი ხშირად ახსნა-გან-მარტებით ხასიათს ატარებს: მომდევნო გარემოებები ხსნიან და აზუსტებენ წინამავალს.

მაგალითად:

1. **ატინო, ამბუდ ცო დოშ, იშ ცო მახოშ ბოტურ მზვერვი**

„ჩემად, ულაპარაკოდ, ხმის ამოუღებლად მიდიოდნენ მზვერაგები.“

2. **დიდკაცრათ, ჰაკ დეხკოშ, ამბუდ ცო დოშ ნევაღერ**

ჰაშილო ილო „დიდკაცურად, შებლშეკვრით, ხმის ამოუღებლად იჯდა ილო სტუმრებში.“

IV. რამდენიმე ერთგვარი მიზეზის გარემოების შემტველი შერწყმული წინადადება ნაკლებად გვხვდება წოვათუშურში.

მიზეზის გარემოება ისევე, როგორც სხვა სახის გარემოებები, ძირითადად შემასმენელს უკავშირდება, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება დაუკავშირდეს გაარსებითებული ნაჰმნარი სახელით გადმოცემულ სხვა წევრებსაც. მისი კითხვებია: **უჟ?** „რატომ?“, **სტქდალან** „რისთვის?“, **უხანო?** „რის გამო?“, **სტე მიზ-ზუე?** „რა მიზეზით?“ ეს კითხვები ერთმანეთთან სინონიმურ დამოკიდებულებაშია და კონტექსტში თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. მათგან პირველი სამი კითხვა საკუთრივ წოვათუშურია, მეოთხე კი (**სტე მიზზუე?**) – სათანადო ქართული კითხვის „რა მიზეზით?“ კალკს წარმოადგენს.

ერთგვარ მიზეზის გარემოებიანი შერწყმული წინადადება ამ ენაში ძირითადად ორ ერთგვარწევრიანია და ეს წევრები შეერთებულია მავჯუფებელი კავშირით; გვაქვს ერგვარ წევრთა უკავშირო შეერთებაც.

მაგალითად:

ა) ერთგვარი მიზეზის გარემოებები შეერთებულია კავშირით.

1. **ფელგორქდაჭაჲ, სიცხორქდაჭა ადმქ ცჰაძნაძრათ ქოთლა** „სიცვისგანაც და სიცხისგანაც ადამიანი ერთნაირად წუხდება.“

2. **მაცლევორქდაჭაჲ, ხაკლევორქდაჭა ტყვენი დანიც დაჰ დაფურ** „შიმშილისგანაც და წყურვილისგანაც ტყვეები ყველანი იხოცებოდნენ.“

ბ) ერთგვარი მიზეზის გარემოებები შეერთებულია უკავშიროდ.

1. **ბუჰ დროჰ ყივლეხ, მაცლევ დოლდალირ ნახლო ყოლ** „ომის დროს სიღარიბისგან, შიმშილისგან დაიწყო ხალხში ქურდობა.“

2. **ზარმაცბქდალა, მალარ დეწრქდალა წუნბადგორ მახარე ნიკლოზ** „სიზარმაცის გამო, სასმელის სიყვარულის გამო წუნობდნენ გოგოები ნიკოლოზს.“

შემასმენელთან დაკავშირებული ერთგვარი მიზეზის გარემოებები შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს შემასმენელს.

მაგალითად:

1. **ლეგა კლასე ვითქ სიზარმაცბქდალაჲ, გაცლენქდალა** „ლეგანი კლასში დატოვეს სიზარმაცისა და გაცდენების გამო.“

2. **მაწყ ლაწიშ ხილრქდალან, მაწყ ჩურეჩო საქმუქდალან ცდენადინას სამსახურ** „ხან ავადმყოფობის გამო, ხან საშინაო საქმეების გამო ვაცდინე სამსახური.“

V. რამდენიმე მიზნის გარემოების შემცველი შერწყმული წინადადება აგრეთვე ნაკლები სიხშირით ფუნქციონირებს ამ ენაში.

მიზნის გარემოება სინტაქსურ წყვილს წინადადებაში ძირითადად შემასმენელთან ქმნის, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ნაზმნარი სახელით გამოხატულ სხვა წვეგრებთანაც.

მისი კითხვებია: **სტენნაინო?** „რისთვის?“, **სტენნალა?** „რის გულისთვის?“, **სტე მიზნუვ?** „რა მიზნით?“

შერწყმულ წინადადებაში ერთსა და იმავე წვეგრთან ძირითადად ორი ერთგვარი მიზნის გარემოება გვხვდება. ისინი კავშირით ან უკავშიროდ უერთდებიან ერთმანეთს. კავშირთაგან ამ ტიპის შერწყმულ წინადადებაში გვხვდება მავგუფებელი ან მატალკევებელი კავშირები.

მაგალითად:

ა) ერთგვარი მიზნის გარემოებები შეერთებულია უკავშიროდ.

1. **ოჯახ ქოკიმაქ ოთმა, ნახლო თამამათ ეგა ბუყმაქ ქოკი ოთმიქ ელიზბრეს** „ოჯახის ფეხზე დასაყენებლად, ხალხში თამამად გასასვლელად წელზე ფეხები დაიდგა ელიზბარმა.“

2. **დრო ცო ლეხმაკ სო ლაწმარ დაგა, დამშვიდბად** „დროს ვერ ვბოულობ ავადმყოფის მოსანახულებლად, დასამშვიდებლად.“

ბ) ერთგვარი მიზნის გარემოებები შეერთებულია კავშირით:

1. **თივანუ, გართობადგალა ცეხენ ცჰავექ ვადხნას ზღვაჰმაქ** „დასასვენებლად და გასართობად წელს მარტო წავედი ზღვაზე.“

2. ში მუშაპუკო ქირბადინას ქანიზ ლაჰმანჷ, დაწურადმჷ

„ორი მუშა ვიქირავე ყურძნის დასაკრეთად და დასაწურად.“

შემესმენელთან დაკავშირებული ერთგვარი მიზნის გარემო-
ებები მოსდევს ან უსწრებს შემასმენელს.

მაგალითად:

1. წა გარემონტბადანჷ, ავეჯე ეცჷ ტათებ ცო

დაგროვბადომაკჷ სო „სახლის გასარემონტებლად და
ავეჯის საყიდლად ფული ვერ მოვაგროვე.“

2. გჷ ქალიქ მუდტას ქუმრწლენენო კუქ კაბ ეცანჷ, ლაკქ

ტუფლი აბითჷ „ხვალ ქალაქში (თბილისში) მივდივარ ქორწი-
ლისთვის თეთრი კაბის საყიდლად და ლაკის ტუფლების შესაკერი-
ნებლად.“

§12. განსხვავებული ტიპის შერწყმული წინადადება

ზოგჯერ წოვათუშური ენის შერწყმულ წინადადებაში ერთ
საერთო წევრთან რამდენიმე სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციის
მქონე წევრია დაკავშირებული. ისინი მათრთებელი კავშირით ისე
არიან ერთმანეთთან მისადაგებული, როგორც ერთგვარი წევრები.
მაგალითად, წინადადებაში: **ბჷაჷ მიჩხმაც ას ჰოცჷ ხილას** (ყველგან
და მუდამ მე შენთან ვიქნები) „და“ კავშირით ერთმანეთთან დროი-
სა (**ბჷა**) და ადგილის (**მიჩხმაც**) გარემოებებია დაკავშირებული.

მაგალითები შეიძლება კიდევ დაფასახელოთ:

1. იჯუმთლეჩო ხანეჷჷ, იშტ დაწვრილობით მოჰ მისქ ჰო

დაკო ის ამბუდ? „ამდენ ხანს და ასე დაწვრილებით

როგორ დაგამახსოვრდა ეგ ამბავი?“

წინადადება შერწყმულია დროისა და ვითარების გარემოებების მიხედვით.

2. **ჰაქ, მაცანე, უხანო მეფეცა ჰოგო ის ამბავი?** „გინ, როდის და რა მიზნით (რატომ) გაიმბო ეგ ამბავი?“

წინადადება შერწყმულია ქვემდებარისა, დროისა და მიზნის გარემოებების მიხედვით.

3. **ცომიწქდაჰოე, ცოჰგორქდა ლატარ ცო სტეხოს**
„არსაიდან და არაგისგან დანმარებას არ ველოდები.“

წინადადება შერწყმულია დროის გარემოებისა და უბრალო დამატების მიხედვით.

4. **დინჯად, დაფიქრებადგაღონო ვოტურ ბძეხ იესებ**

„დინჯად და დაფიქრებული მიდიოდა ჯარში იოსები.“

წინადადება შერწყმულია ვითარების გარემოებისა და პრედიკატული განსაზღვრების მიხედვით.

განსხვავებული სინტაქსური სტატუსის წევრების წინადადებაში ერთგვარ წევრებად წარმოდგენა არაა დამახასიათებელი მხოლოდ წოვათუშურისთვის. იგივე მოვლენა სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებულია სხვა ენების მასალებითაც. მაგალითად, ლ. კვაჭაძე შერწყმული წინადადების ანალოგიურ მოდელს წარმოადგენს ქართული ენის მასალებით (კვაჭაძე 1966 – 265), ხოლო ა. ჰეშკოვსკი ანალოგიურ წყობას აფიქსირებს რუსულ ენაში (ჰეშკოვსკი 1956 – 442).

თავი II.

რთული თანწყობილი წინადადების სინტაქსი

§13. რთული წინადადების რაობა და სახეები

რთულია წინადადება, რომელიც ორი ან მეტი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისგან შედგება და აზრობრივად და ინტონაციურად ერთ მთლიან დასრულებულ ერთეულს წარმოადგენს.

მაგალითად:

1. ჰო მაგარ დენიყ კენაყ და:

გაუგან ხუ ვენესო ჰო მაგჩე,
დაკ-ბჰარკინ ყანოლ დაჰ მიცლა,
წიგ ჰალ წინარლა ჰო მაგჩე

„შენი დანახვა სულ სხვაა:

მუხლებში ვინგრევი შენი ხილვისას,

გულის თვალებს სიბერე ავიწყდებათ,

სისხლი მიახლდება შენი ხილვისას.“ (მიქელაძე 2011 – 96)

2. უმშტ ვიქნორ ე კაწკო სტაკ მჟ, ლეკი ბანიყ ცახცახენო

ბეკბინორ „ისე ეყვირა ამ პატარა კაცს, რომ ლეკები ყველანი აცახცახებულებიყვნენ.“ (მიქელაძე 2011 – 179)

3. ჰალ ქორთმი დიჩე, ლე ო „ბრადიაგ“ ცო ლევეგოგერ ოსიჰჟ,

ლე ო ჯუჟ ბანჯგლნრჟ ფჰჟუ „როცა თავები მაღლა აუწევიათ, აღარც ის „ბრადიაგა“ ყოფილიყო იქ და აღარც იმისი ბანჯგვლიანი ძაღლი.“ (მიქელაძე 2011 – 27)

წარმოდგენილი სამი რთული წინადადებიდან პირველი ოთხი მარტივი წინადადებისგან შედგება, მეორე ორ მარტივ წინადადე-

ბას შეიცავს, ხოლო მესამე რთულ წინადადებაში ერთი მარტივი და ერთი შერწყმულია გაერთიანებული.

ცნობილია ის გარემოება, რომ რთულში შემაგალი მარტივი თუ შერწყმული წინადადებების ერთ მთელად გაერთიანებაში, გარდა ზმნის დროისა და კილოს ფორმებისა, წინადადებათა წყობისა თუ მისათითებელი და საკავშირებელი სიტყვებისა, გადამწყვეტ როლს ასრულებს საგანგებო, გამაერთიანებელი ინტონაცია. აღნიშნული ვითარება, ცხადია, ყოველმხრივ ზედმიწევნით ფიქსირდება თანამედროვე წოვათუშურშიც.

იმის მიხედვით, თუ როგორია მასში შემაგალ მარტივ თუ შერწყმულ წინადადებათა ფუნქციური ურთიერთმიმართება, რთული წინადადების ორი სახე გამოიყოფა: თანწყობილი და ქვეწყობილი. თანწყობა გულისხმობს ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეერთება-დაკავშირებას, ხოლო ქვეწყობის დროს ხდება ისეთ წინადადებათა შეერთება-დაკავშირება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ არ არიან თანასწორნი.

ზემოთ დასახელებული სამი რთული წინადადებიდან პირველი წინადადება თანწყობილია, მეორე და მესამე კი ქვეწყობილი.

არ არსებობს დღეს ქართულში წინადადებათა თანწყობისა თუ ქვეწყობის რაიმე შინაარსობრივი ნიუანსი, რომლის გადმოცემაც თანამედროვე წოვათუშურმა ვერ შეძლოს საკუთარი ენობრივი საშუალებებით.

რთულში შემაგალი მარტივი თუ შერწყმული წინადადებები ამ ენაში, ისევე როგორც ქართულში, ერთმანეთს უერთდება უკავშიროდ ან კავშირის საშუალებით, ანუ გვაქვს კავშირიანი და უკავშირო შეერთება. ამ მიზნით: თანწყობის შემთხვევაში მაერთებელი

კავშირები ფუნქციონირებს, ქვეწიქობის შემთხვევაში კი – მაქვემდებარებელი კავშირები.

§14. მავჯგუფებელ კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება

კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება უფრო მეტი სინშირით ფუნქციონირებს წოვათუშურ ზებირსა და წერიტს მეტყველებაში, ვიდრე უკავშირო. რთულში შემავალ მარტივ თუ შერწყმულ წინადადებათა დასაკავშირებლად გამოიყენება ყველა სახის შაერთებელი კავშირი: მავჯგუფებელი, მატალკეგებელი, მაპირისპირებელი თუ მაიგივებელი. მათგან ყველაზე ხშირად აღნიშნული ფუნქციით მავჯგუფებელი კავშირები გვხვდება, ყველაზე ნაკლებად კი მაიგივებელი კავშირები.

აღნიშნულის მიხედვით გასაგებია, რომ წოვათუშური ენის ზებირსა თუ წერიტს მეტყველებაში რთული თანწყობილი წინადადების ქვესახეებიდან მავჯგუფებელ კავშირიანს გხვდებით ყველაზე უფრო ხშირად. მავჯგუფებელი „და“ კავშირის ფუნქციას გრძელი ხმოვანი ე ასრულებს, რომელიც წინამავალი წინადადების ბოლო წევრს დაერთვის მომდევნო წინადადებასთან სინტაქსური კავშირის გამოსახატავად.

საკავშირებელი ფუნქციით ხმოვანი ე დაერთვის წინამავალი წინადადების ბოლო სიტყვას და აფიქსირებს მის მიმართებას მომდევნო წინადადებასთან. შდრ.:

ა) უკავშირო თანწყობილი წინადადება.

1. ვაშას ვორ ლეჰბორ, ას კალთი ბეხკრას „ძმა ვაშლს კრეფდა

და, მე კალათში ვალაგებდი.“

ბ) კავშირიანი თანწყობილი წინადადება.

1. **ვაშას ცორ ლეჭბორ-ჲ, ას კალთი ბეხკრას**⁵ „ძმა ვაშლს

კდეფდა-და მე კალათაში ვალაგებდი.“

2. **ცორ ლეჭბორ ვაშას-ჲ, ას კალთი ბეხკრას** „ვაშლს კრეფდა

ძმა-და მე კალათაში ვალაგებდი.“

3. **ვაშას ლეჭბორ ცორ-ჲ, ას კალთი ბეხკრას** „ძმა კრეფდა

ვაშლს-და მე კალათაში ვეყრიდი.“

შემასმენლის თურმეობითის მწკრივის ფორმაზე დართული მაკავშირებელი ხმოვანი ე, როგორც წესი, ფუძის შიგნით გადაინაცვლებს, ე ხმოვნის წინამავალი ხმოვანი კი მახვილიანდება. ამ შემთხვევაში. ამ შემთხვევაში იქმნება კავშირიანი თურმეობითის სპეციფიკური კონსტრუქცია. მაგალითად:

ტურეე ფხაკალ ლაცდინო'ერ, ბზარწაე დაჰან დადენორ

„ტურას კურდელი დაეჭირა-და მეგელს წაერთმინა.“

მაჯგუფებელ კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადებას მაგალითები წერილობითი ტექსტებიდან:

1. **შილდეჩო შეკითხეჲ დრო დეხენჲ, სო უკვე დაკლეგრან თა-**

სვალისო „მეორე შეკითხვის დროც მოვიდა-და მე უკვე საგონებელში ჩავვარდი.“ (მიქელაძე 2014 – 104)

2. **ბუღსჷ მასპინძლიე სურფ დარქდინ-ო, უმაც გოგინხ**

ხადეხნორ „ღამით მასპინძლებს სუფრა გაეშალათ და ყველანი გარშემო შემომსხდარიყვნენ.“ (მიქელაძე 2011 – 120)

⁵ თვალსაჩინოებისათვის მაკავშირებელი ხმოვანი ე მაგალითებში სიტყვებიდან გამოვყავით.

3. ათას ცხრაას შაუზტყჲ ცჰჰან შარე ბუჰ ბოლობალი'ნ-ჲ სჲ დად სალთენჲ ვიკჲ „ათას ცხრაას ორმოცდაერთ წელს ომი დაიწყო-და მამახემი ომში წაიყვანეს.“ (მიქელაძე 2011 – 69)
4. ჳჲ არეგ-დარეგადმაღლ ცხოვრებ-ჲ, მოძღორ ცო ვაგერ ფჰეჰ „მერე აირ-დაირია ცხოვრება და მღვდელი აღარ იყო სოფელში.“ (მიქელაძე 2014 – 294)
5. ოუჯჲ მაწირო დროჰ სჲ ნანეშო მარ თელვე გათხოვადმაღლი-ნო-ჲ, ოჯუჲ მეშვეობით მოხვედრბადალჲ სჲ ნან-დად აღნი, ბაც-ბილო „იმ მძიმე დროს ჩემი დეიდა იყო თელავში გათხოვილი და იმის მეშვეობით მოხვდა ჩემი დედ-მამა ალვანში, წოვებში.“ (მიქელაძე 2014 – 69)

**§15. მატალკევებელკავშირიანი რთული თანწყობილი
წინადადება**

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემაჯალი მარტივი თუ შერწყმული წინადადებების შესაერთებლად წოვათუშურ ენაში, ისევე როგორც ქართულში, მატალკევებელი კავშირებიც ფუნქციონირებს. ძირითადად გვხვდება: **მაწყ – მაწყ** „ხან – ხან“, **ლეყჰ – ლეყჰ** „გინდ – გინდ“, **თჲდ – თჲდ** „თუნდ – თუნდ“. მათგან პირველი ორი კავშირი საკუთრივ წოვათუშურია, მესამე კი ნასესხებია ქართულიდან.

მაგალითად:

1. **ჩუ თოჰგანანდრო ფსარლ-ფსარლო მაწყ ნანას ფალი დეფცორ სოგო, მაწყ აგას დეფცორ სოგო თიშჲ ამბუჲ** „ღამლამობით დასაძინებლად ხან დედა მიაშობდა ზღაპრებს, ხან ბებია მიყვებოდა ძველ ამბებს.“

2. **ლეცეჭ ას ღონს ჰარ მაძყდარ ბაყს თხა ქუთათაღე, ლეცეჭ გჷ აჭ ღობ დონეე** „გინდ მე წავალ დღეს წისქვილში მჭადის მოსატანად ფეხით, გინდ ხვალ შენ წადი ცხენით.“

3. **გრდ ლევნეს გასხლადმებნლ ვაჩ ვენაგ, გრდ გენაყ ლახათ ის საქმ გეთინი** „გინდ ლევანმა გასხლას ჩვენი ვენახი, გინდ სხვა ვინმე მონახეთ მაგ საქმის მცოდნე.“

მატალკევებელი კავშირის ფუნქციით წოგათუშურში გვხვდება აგრეთვე: **წ - წ** „-ც - -ც“, **ლე - ლე** „ან - ან“, **ლე ცო - ლე ცო** „არც - არც“, **ლე მა - ლე მა** „ნურც - ნურც“.

„-ც - -ც“ კავშირის ფუნქციას გამეორების შემთხვევაში იგივე ე ხმოვანი ასრულებს, რომელიც თანწყობილ წინადადებაში პირველი კომპონენტის ბოლო სიტყვაში ერთჯერადი დაფიქსირებულიას „და“ კავშირის ფუნქციას ასრულებდა. მდრ.:

ა) ხმოვანი ე „და“ კავშირის ფუნქციით:

ას წამდ წუმტას ქალიქე ლევნ მუშებად წუმტე „მე სასწავლებლად მივდივარ თბილისში-და ლევანი სამუშაოდ მიდის.“

ბ) გამეორებული ხმოვანი ე „-ც - -ც“ კავშირის ფუნქციით:

ასა'წ წამდ წუმტას ქალიქე, ლევნ წამდ წუმტე „მე-ც სასწავლებლად მივდივარ თბილისში, ლევანი-ც სასწავლებლად მიდის.“

გვაქვს:

1. **ილკო'წ, ფსტუბდრწლქ**

ვა, შამღლესა'წ ცენეხ დოყდიწ ფსტუ „ილიკო-ც

ცოლშვილიანია, შამილმა-ც წელს მოიყვანა ცოლი.“

2. **ლე ას ღოს იცხ ამბუანმაქ თამარო მაგა, ლე თამარო მოლალ სოცოქ** „ან მე წაგვალ მაგ ამბავზე თამარის სანახავად, ან თამარი მოვიდეს ჩემთან.“

3. **ლე ას ცო მოყმოს ფსტუნად მარინო, ლე ფილბეს ცო მეწქე მიკა** „არც მე მოვიყვან მარხის ცოლად, არც ფილიბემ უნდა წაიყვანოს.“

4. **ლე აჭ სესხბადებ სო ტათებ, ლე ჭე ვაშას ქოთბებლო ქორთო** „ან შენ მასესხე ფული, ან შენმა ძმამ შეიწუხოს თავი.“

რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელი მარტივი თუ შერწყმული წინადადებების დასაკავშირებლად ხშირ შემთხვევაში სხვა კავშირებთან ერთად პარალელურად „და“ კავშირიც იხმარება.

მაგალითად:

1. **ლეცეჭ აჭ ღობ თხა მიდრი გავ დაცანე, ლეცეჭ გა ას ქოთბოს ქორთო** „გინდ შენ წადი დღეს მინდორში ყანის სამკალად-და გინდ ხვალ მე შევიწუხებ თავს.“

2. **ფსარე მაწყ მათხ ბარ აღნიჭე, მაწყ ყარო მათხერ** „გუშინ ხან მზე იყო აღვანში-და ხან წვიმდა.“

3. **ლე ეთრეს თონხლო ქუმრწლებ გარმონე, ლე გენაც ლახათ თონხ გეთინი** „ან ეთერმა დაუკრას ქორწილში გარმონი-და ან სხვა ნახეთ დაკვრის მცოდნე.“

4. **გაღ სო ჩუქბადებ ის ტარღე, გაღ სე კაწკუმირ მაშენ დისნო** „გინდ მე მაჩუქე ეგ ბეჭედი-და გინდ ჩემს პატარა დას დარჩეს.“

აღნიშნული ვარიანტები მაცალკეებულკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადებისა შედარებით ნაკლებად გვხვდება წოვა-თუშურში, რის გამოც გერ მოგვიხერხდა მათი დამოწმება წერილობითი წყაროებიდან.

§16. მაპირისპირებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება

მაპირისპირებელი კავშირებიდან რთული თანწყობილი წინადადების ნაწილების შესაერთებლად წოვათუშურში ფუნქციონირებს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახით ქართულიდან ნასესხები კავშირები: მხ „მაგრამ“, „ხოლო“, „კი“.

ჩამოთვლილთაგან აღნიშნული ფუნქციით ყველაზე გავრცელებულია კავშირები მხ და მაგრამ. ისინი ერთი და იმავე ქართული „მაგრამ“ კავშირის სხვადასხვა დროს ნასესხები ვარიანტებია. პირველი მათგანი – მხ – ყველაზე ადრეა ნასესხები და თანაც ზეპირი გზით, ამიტომაც, რომ ის საგრძნობლად სახეშეცვლილია და დღემდე ყველაზე ხშირად გამოიყენება ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში.

კავშირი მხ ყოველთვის იწყებს თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს და აპირისპირებს შინაარსობრივად მას პირველ წინადადებასთან. ამ დროს თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი ისეთ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც არ არის მოსალოდნელი პირველი ნაწილის მიხედვით.

მაგალითად:

1. მათხორქ დე დარ, მხ ნშაყი ზორაღში ფშელ დარ „მზიანი დღე იყო, მაგრამ გარეთ ძალიან ციოდა.“

2. ნიკოზეს დე-ბუმს ნიფსდორ, მს ოჯუდ ოჯახეს ცრმ

ტყობალარ „ნიკოლოზი დდე-დამეს ასწორებდა, მაგრამ იმის ოჯახს არაფერი ეტყობიდა.“

3. ტამსი ჟერო მარ, მს მაჯუმრო შრომეე ბანდრი ღახიშ დანდიქ
„ტასო ქვერივი იყო, მაგრამ დიდი შრომით ბავშვები კარგად გაზარდა.“

4. თინიკო ღაწიშ მა, მს სკოლ ცო ცდენადმო „თინიკო ავა-
დაა, მაგრამ სკოლას არ აცდენს.“

მს კავშირს ხშირად აძლიერებს ისევე ქართულიდან ნასესხები ნაწილაკი მაწც. მაგალითად:

1. ყარო დაჰ მეჭირ, მს ცამმაქ მათხ მაწც ცო გუბალქ „წვიმამ
გადაიღო, მაგრამ ცაზე მზე მაინც არ გამოჩნდა.“

2. წინუს დუე თეესეგიქ, მს ჰალო მაწც ცო ღამზარდომაკქ
„პატარძალი ბევრი პრანჭეს, მაგრამ მაინც ვერ გაალამაზეს.“

3. დუდ ზორადში იტდინათხ, მს ჰათხრეჩონ მაწც ტყუმჰ ცო
ჰათხმაკქ თხონ „ცხენები ბევრი ვაჭენეთ, მაგრამ წინაურებს
მაწც ვერ დავეწიეთ.“

მს კავშირის მაგალითები წერილობითი წყაროებიდან:

1. ჩუ ედახკინი ფსტი დათხეშ ჰალო ვასდადღონორ, მს მეჭირ
ადღღღერქ ცო დაქექადმაღღღონორ „მსხდომარე ქალები
ტირილით წამოცვენელიყენენ, მაგრამ მეჭირი ადგილიდან არ
დაძრულიყო.“ (მიქელაძე 2011 – 144)

2. გორლ დენი'ჰ-ბუმს ლევდორ თხუმღან უბედურ ნანგო,
ექ მს შადრონს დაჰ ადტნორქ, გენქ დაჰ ატდინორ „მედი
დდე-დამე ჰქონოდა გამართული სატირალი უბედურ დედას,
მაგრამ მერე კი თვითონაც გაჩუმებულიყო და სხვებიც

გაეჩუებინა.“ (მიქელაძე 2011 – 145)

3. ნასტ დაწვერას ო გენწაირ სტაკოხ, მს ო მუსიკეს

ტყვევბადმორასრ, გონ ცო ინმაკერ სო „ძლივსლა მივდევი იმ უცნაურ კაცს, მაგრამ ის მუსიკა მატყვევებდა და გონს ვერ მოვდიოდი.“ (მიქელაძე 2014 – 178)

როგორც აღვნიშნეთ, წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მომდევნო პერიოდში მს შეცვალა უკვე ყოველგვარი ცვლილების გარეშე შემოტანილმა მაგრამ კავშირმა. განსაკუთრებით ხელშესახებად ეს ფაქტი გაცხადდა წერილობით წყაროებში:

მაგალითად:

1. იპაძე ქიქლუფ ამბუდ მა, მაგრამ დუჯ ხა ცო და მახენრ

იჯუმგოდოლოქ „ესეც ძველი ამბავია, მაგრამ დიდი დრო არ არის გასული მას შემდეგ.“ (მიქელაძე 2011 – 107)

2. ზურბენ ზორაძეძი ძნელბალარ წინუს ჩუ მითარ, მაგრამ

საჭირო დარ ჟეგო ვახარ „ზურაბს ძალიან ეძნელებოდა პატარძლის დატოვება, მაგრამ საჭირო იყო, ცხვარს მთაში გაჰყოლოდა.“ (მიქელაძე 2011 – 108)

3. ბაყეც და, გად ფსტეიე გარმონმაქ თოხინრ ომაჰ მუსიკ დაზე

ინრ, მაგრამ ჰამახეც დაკახ ეასუენი მაინც „წიფლოენა“ და „მართალია, ჩვენი ქალებისგან გარმონზე შესრულებული ყველა მელიოღია კარგი გამოდის, მაგრამ ყველაზე მეტად გულზე მოსახვედრი მაინც „წიფლოვანაა“. (მიქელაძე 2011 – 236)

4. წელტინაენრ ობი ალვინი ჰალრ დახკა ეექლარ, მს კოსტალხ

ქორ ლაცვიქ, ო ვოჰნ ქორ ლაცვიქ „სახალწლოდ ისინი ალვანში ამოსასვლელად ემზადებოდნენ, მაგრამ კოსტალეც დაიჭირეს, ის ბიჭიც დაიჭირეს.“ (მიქელაძე 2014 – 289)

ქართული ენის მაპირისპირებელი კავშირი „ხოლო“ წოვათუ-შურში **ხოლოთ** სახით იხმარება. ის ჩვეულებრივ იწყებს თანწყობი-ლი წინადადების მეორე ნაწილს და აპირისპირებს პირველთან, მაგ-რამ ამ დროს ისეთი დონის დაპირისპირება აღარ გვაქვს, როგორც ეს **მნ** ან **მაგრამ** კავშირების შემთხვევაში ფიქსირდება. ეს კავშირი წოვათუშურში ნაკლებად გვხვდება და იხმარება ძირითადად სასა-უბრო მეტყველებაში.

მაგალითად:

1. **ნინოს წა შეგლბადებლ, ხოლოთ ანას სურფ დარყდებლ**

„ნინომ სახლი დააღაგოს, ხოლო ანამ სუფრა გაშალოს.“

2. **სე მაჰოვ დაზიმ ღამოდო სკოლე, ხოლოთ ვაჰოვ ზორაღში**

ღათაღმოსო „ჩემი გოგონა კარგად სწავლობს სკოლაში, ხო-ლო ბიჭი ძალიან მარცხვენს.“

კავშირი **ხოლოთ** ხშირად შეცვლილი შინაარსით, „ოღონდ“ კავშირის ფუნქციით, გვხვდება:

1. **ას ის სამქ ჰალო თაგ მოს, ხოლოთ მაჰტგო ხაყითოთ** „მე მაგ

საქმეს გავაკეთებ, ოღონდ ნურავის გააკებინებთ.“

2. **ილეკოს ვენაგ ჰალო ლაჰმიქ თხიჩ, ხოლოთ მიხოს ქანიზ**

ჰაჰყრეს უარ აღიჩ „ილეკომ ვენახი დაგვიკრიფა, ოღონდ ყურძნის გაწურვაზე მიხომ უარი თქვა.“

მაპირისპირებელ კავშირთაგან წოვათუშურში ყველაზე ფართოდ გამოიყენება ნასესხები კავშირი **კი**. ისიც რთული თან-წყობილი წინადადების მეორე ნაწილში იხმარება, მაგრამ ჩვეუ-ლებრივ მოსდევს იმ სიტყვას, რომელზედაც მახვილდება ყურად-ღება.

მაგალითად:

1. ას ბაზირ ღრს, აჭ კი ბზდრინ დებ დადოლ „მე ბაზარში წა-
ვალ, შენ კი ბავშვებს მოუარე.“
2. სე მაჭოვ ღაზიშ ღამოდო, ვოჭ კი ზორადში ზარმაცებალა
„ჩემი გოგო კარგად სწავლობს, ბიჭი კი ძალიან ზარმაცობს.“
3. მიქელ შარნ ვანჩედოლო ზორადში დადარბადადღნორ
ოჯხქ წევრი, განსაკუთრებით კი მარინო ლევდორ
ატარაღლინოჲ, დაკლევრან მახენო „მიქელის წასვლის მერე
ძალიან დადარდიანებულიყენენ ოჯახის წევრები,
განსაკუთრებით კი მარეხი ყოფილიყო გაჩუმებული და ფიქ-
რში წასული.“ (მიქელაძე 2011 – 130)

**§17. მაიგიველკავშირიანი რთული თანწყობილი
წინადადება**

უხუცესი წოვათუშების მეტყველებაში მაიგივეელი კავში-
რები საერთოდ არა გვაქვს. სათანადო სიტუაციაში გამოიყენებო-
და გაიგივებაზე მორგებული გამოთქმა: **უფშტ და მჲ** „ისეა რომ;
ესე იგი.“

მაგალითად:

1. აჭ ის მაჯო საქმ გეჩოხ ვალბადმო, უფშტ და მჲ სოხ ცო
თეშჲ „შენ მაგ დიდ საქმეს სხვას ავალეებ, ისეა რომ (ე. ი.) მე
არ მენდობი.“
2. ბადსლეს ვალუხ წა დაჭ დეხკო, უფშტ და მჲ ლატუენი
ცომენა და „ბასილი ვალში სახლს ჰყიდის, ისეა რომ (ე. ი.)
დამხმარე არავინ ჰყავს.“

ბოლო დროს, ქართულ-წოვათუშური ზეზბილინგვიზმის ზე-რიოდში, ახალგაზრდა წოვათუშთა მეტყველებაში ყოველგვარი ცვლილების გარეშე დამკვიდრდა ორივე ქართული მაიგივებელი კავშირი: ე. ი. და ანუ.

გავიგონებთ, მაგალითად:

1. აჭ ბოლო დროჭ ტელეფონმაქ ცო ზამსხებადოგე სიქ, ე. ი.

დროჭაც ვეწეს ჭონჩ ყასტა „შენ ბოლო დროს ტელეფონზე აღარ მეზასუხები, ე. ი. უნდა დროზევე ჩამოგ შორდე.“

2. ზორამში მანო აღონ ჭალო მაცალინო, ე. ი. ვამნო ცა ლაუშე ცო ბახმაკე დოიე „ძალიან ყოფილა აღაზანი აღიდებულო, ე. ი. ხვალ ჩვენ შთაში ვერ ავალთ ცხენებით.“

3. შთავრბას გადასახადი ოშტიც ჭალო მაცმიქ, ანუ ნახჩ დარდ ცოჭაგჭე ბაგე „შთავრობამ გადასახადები ისევე გაზარდა, ანუ ხალხის დარდი აღარავის აქეს.“

§18. უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება

რთული წინადადებები, თანწყობილი თუ ქვეწყობილი, ზე-ზირსა თუ წერიტის მეტყველებაში უფრო ხშირად მათი შემადგენელი მარტივი თუ შერწყმული წინადადებების კავშირიანი გადაბმით გვხვდება, რადგან კავშირის შემთხვევაში ამ ნაწილების შინაარსობრივი თუ ფუნქციური ურთიერთმიმართება უფრო თვალსაჩინოდ გამოიხატება. მიუხედავად აღნიშნულისა, იმავე წერიტსა თუ ზეზირმეტყველებაში საკმაოდ ხშირია მათივე უკავშირო გადაბმის შემთხვევებიც. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინ-

ტონაციას, ზმნის დროისა და კილოს ფორმებს, შინაარსობრივ ურთიერთმიმართებას რთული წინადადების ნაწილებს შორის.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ უკავშირო შეერთება უფრო ადრინდელია, ვიდრე კავშირიანი (ა. მეიე – 1938, 375). ივარაუდება, რომ განვითარების ადრინდელ საფეხურზე რთულში შემავალი მარტივი წინადადებები ერთმანეთის მიყოლებით, საგანგებო სიტყვებით დაკავშირება-გადაბმის გარეშე რეალიზდებოდა.

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი მარტივი თუ შერწყმული წინადადებები კავშირით უერთდება ერთმანეთს ან უკავშიროდ, ანუ გვაქვს კავშირიანი და უკავშირო თანწყობილი წინადადება.

მაგალითად:

1. **ო მოსცხჳ შარიშ დარჳ, კაწკოწ ბაკალ ჰომ რუსუდნეცრ დაძნათხ ოჯუც ფსარლოძნი** „ის საშინელი წლები იყო-და იმავე საღამოს რუსუდანს ვეწვიეთ პატარა პურ-მარილით.“ (მიქელაძე 2011 – 52)

2. **წელტი დარ, უმაც შუძ წენბოხ ქიფებალარ** „ახალი წელი იყო, ყველა თავის სახლში ქეიფობდა.“

დასახელებული ორი თანწყობილი წინადადებიდან პირველი კავშირიანია, მეორე კი უკავშირო. როცა რთულ თანწყობილ წინადადებაში ორზე მეტი მარტივი თუ შერწყმული წინადადებაა გაერთიანებული, შეიძლება კავშირიანი შეერთებაც გვქონდეს და უკავშიროც.

მაგალითად:

დანჯნო სუფრემაქ ედანკერ ჰაში, ლამზურ ქორწილ დარჳ

შარნ დახა ცოჰანნა ლეცერ „გრძელ სუფრასთან ისხდნენ სტუმრები, ლამაზი ქორწილი იყო–და წასვლა არავის უნდოდა.“

უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება ფართოდ არის გავრცელებული წოგათუშურში. ის გვხვდება ამ ენის როგორც ზეპირმეტყველებაში, ისე წერილობით წყაროებში; ფიქსირდება თანწყობილი წინადადების ნაწილების უკავშირო გადაბმის რამდენიმე ტიპიური შემთხვევა. ასეთი გადაბმა გვაქვს, როცა თანწყობილი წინადადების ნაწილებში აღწერა ან ჩამოთვლა ერთდროული მოვლენებისა, როცა გამოხატულია მოვლენათა თანამიმდევრობა, ან მათივე შინაარსობრივი დაპირისპირება.

მაგალითად:

1. უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში ჩამოთვლას სხვადასხვა ამბისა ან აღწერა.

1. **ცჰაყც ცომ ცო დანუცტა აღმიქ: მახე დეცენო ფოთოლ და-ნუცტა** „არა რა ყოფილა ადამიანი: ქარის მოტანილი ფოთოლი ყოფილა.“

(მიქელაძე 2011 – 225)

2. **ოუმას დაჰ ატარდაღლნორ, იშ ცოჰანნა მაგმაგენორ**
აღრთეაჩ ხანე, ბოლომცჷ ატინო მისნორ ტატუმ ნან, მიქლქ ფსტუ – თინ „ყველა გაჩუმებულიყო, ხმა ვერავის ამოელო კარგა ხანს, ბოლომდე ჩუმიდ დარჩენილიყო ტატოს დედა, მიქელის ცოლი – თინ.“ (მიქელაძე 2011 – 131)

უკავშირო თანწყობილი წინადადების დასახელებულ მაგალითებში აღწერა–დახასიათება გვაქვს სხვადასხვა მოვლენებისა. პირველი თანწყობილი ორშემადგენლიანია, მესამე კი სამ მარტივ წი-

ნადადებას აერთიანებს უკავშიროდ. საგულისხმოა, რომ უკავშირო თანწყობის ორსავე შემთხვევაში ვლინდება ზოგადი კანონზომიერება, რის თანახმადაც ერთი და იმავე თანწყობილში შემავალ მარტივ წინადადებათა შემასმენლებს დროის, კილოსა და მწკრივის ფორმების ზუსტი თანხვედრა ახასიათებს. ჩვენი მაგალითების ყველა ზმნას კილო თხრობითი აქვთ, მწკრივი კი თურმეობითი. რაც შეეხება დროს, პირველი თანწყობილის ზმნა-შემასმენლებს დრო ახლანდელი აქვთ, მეორე თანწყობილის ზმნა-შემასმენლებს კი – წარსული.

II. უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები გამოხატავს მოვლენათა თანმიმდევრობას.

მაგალითად:

1. **შარნ მახე სტაბო, შარნ დახე ნა, ოთქ ლამზურ დოჭა**

„წავიდა შემოდგომა, წავიდა ზამთარი, დადგა ლამაზი გაზაფხული.“ (მიქელაძე 2011 – 131)

2. **სე მაჯუმრო მაშას შურჩოხ დამთავრბადმიქ სკოლა, ას ცეხენ მთავრბადმოს, კაწკხუმროგ გელორ დამთავრბადმო** „ჩემმა უფროსმა დამ შარშანწინ დაამთავრა სკოლა, მე წელს ვამთავრებ, უმცროსი გაისად დაამთავრებს.“

ორსავე დასახელებულ უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში მოვლენათა თანმიმდევრობაა გადმოცემული. პირველ მაგალითში ეს თანმიმდევრობა ზმნებში დროის ერთი და იმავე ფორმითაა გადმოცემული, რადგან ეს მონაცვლეობა ერთ დროში (წარსულში) განხორციელდა. რაც შეეხება მეორე უკავშირო თანწყობილ წინადადებას, მის შემადგენელ მარტივ წინადადებაში ზმნების დრო იცვლება მოვლენათა განვითარების დროის ცვლი-

ლებსთან ერთად, რაც სავსებით კანონზომიერია; ერთმანეთს მოს-
დევს წარსული, აწმყო და მომავალი. ამავე მეორე მაგალითში ყუ-
რადლებას იქცევს ის გარემოება, რომ რთულის ნაწილებში ფუნ-
ქციონირებადი საერთო სიტყვა „სკოლა“ მხოლოდ პირველ მარტივ
წინადადებაში ფიქსირდება, მომდევნო წინადადებაში კი მხოლოდ
იგულისხმება, რაც აგრეთვე რთული წინადადების ზოგადი კანონ-
ზომიერებაა.

III. თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის მოვლენათა
დაპირისპირებაა გამოხატული.

მაგალითად:

1. უმას ჰალორ გითნორ სურთენ პატიე მილზ, ცჰა ტატორ ვის-
ნორ ადღელე ჰალორ ცო გეთუშ „ყველა ამდგარიყო სურათის
პატიესაცემად, ერთი ტატო დარჩენილიყო ადგილზე.“ (მიქე-
ლაძე 2011 – 133)

2. ო აჰორ ვოსურ კოხანა,
ასა ჰალ ლელორას ტბათინა,
სქ დოკა ოჯუხ დოწლარა,
ოჯუშ დოკ ტბათინ დერწერა
„ის დაეშეებოდა ბარისკენ,
მე ზევით ვივლიდი ტბათანისკენ,
ჩემი გული იმას გაჰყვებოდა,
იმისი გული ტბათანაში დაბრუნდებოდა.“ (მიქელაძე 2011 –
188)

დამოწმებული უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება-
ბიდან პირველი ორ მარტივ წინადადებას შეიცავს და მათში გად-
მოცემულია ურთიერთსაპირისპირო მოვლენები. ასეთი შინაარსობ-

რივი დაპირისპირების გამოხატველი თანწყობილი წინადადება ჩვეულებრივ ორი მარტივი წინადადებისგან შედგება, ხოლო როცა თანწყობილ წინადადებაში დაპირისპირება ახალი სახით კიდევ მეორდება, მეორდება დაპირისპირების გამოხატველ წინადადებათა ახალ წყვილში, რის თვალსაჩინო მაგალითსაც იძლევა მეორე დამოწმებული წინადადება.

დასახელებული რთული თანწყობილი წინადადებებიდან მეორე ოთხ მარტივ წინადადებას შეიცავს, რომელთაგან პირველ ორ მარტივში ცალკე, დამოუკიდებელი დაპირისპირებაა მოვლენებისა გადმოცემული, მეორე წყვილში კი, შესამე და მეოთხე წინადადებაში, აგრეთვე სხვა, ახალი დაპირისპირება. ეს დაპირისპირება ორსავე შემთხვევაში იმდენად მკვეთრია, რომ ორივეგან შეიძლება ჩაისვას რომელიმე მაპირისპირებელი კავშირი. საგულისხმოა, რომ დროის, კილოსი და მწკრივის რომლობა ყველა ზმნა-შემასმენელთან ერთმანეთს ემთხვევა.

უკავშირო თანწყობილ წინადადებაში შემავალ მარტივსა თუ შერწყმულ წინადადებებს საგანგებო ინტონაცია აკავშირებს, რომელიც ამ კომპონენტების სრული შინაარსობრივი დამოუკიდებლობის შემთხვევაშიც კი მათ მთლიან, განუყოფელ ერთეულად წარმოგვიდგენს. გარდა აღნიშნულისა, ინტონაცია რთული წინადადების ნაწილების შინაარსობრივ ურთიერთმიმართებასაც გამოხატავს.

მაგალითად:

1. **ყაროლქ დე დარ, შარემაქ ცომენა დუატი-დალორ** „წვიმიანი დღე იყო, ქუჩაში არაფერ მიმოდიოდა.“
2. **ხკო დარ, მაჯო სიცხ ლათერ, კონან ცომენა მეყგერ**

„ზატუხული იყო, დიდი სიცხე იდგა, ბარად აღარაგინ რჩებოდა.“

პირველ რთულ თანწყობილ წინადადებაში პირველი მარტივი წინადადების ინტონაცია სათქმელის დაუშთავრებლობასა და მომდევნო წინადადების არსებობაზე მიგვანიშნებს, მეორე მარტივი წინადადების ბოლოს კი დამთავრებულობის ინტონაცია გვაქვს. რაც შეეხება მეორე მაგალითს, აქ დაუშთავრებლობის ინტონაცია გვაქვს როგორც პირველი, ისე მეორე მარტივი წინადადების ბოლოს, დამთავრებულობის ინტონაცია კი მესამე მარტივი წინადადების ბოლოსდაა.

თუ ცალკე გამოყენებისას თითოეულ ამ წინადადებას საკუთარ დამთავრებულობაზე მიმანიშნებელი ინტონაცია აქვს, ამჯერად ის დაუშთავრებლობაზე მიმანიშნებელი ინტონაციით იცვლება, რომელიც მხოლოდ რთული წინადადების ბოლოს იძლევა მიმანიშნებას დამთავრებულობაზე.

გარდა ინტონაციისა, რთული უკავშირო თანწყობილი წინადადების ნაწილების აზრობრივი მიმართების გამოხატვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზმნის დროისა და კილოს ფორმებს. საგულისხმოა ამ მხრივ ის გარემოება, რომ ჩვენს მიერ აქამდე მაგალითებად დასახელებული ყოველი რთული უკავშირო თანწყობილი წინადადების შემადგენლობაში შემავალი წინადადებების ზმნებს ერთი და იმევე დროისა და კილოს ფორმები აქვთ.

უკავშირო თანწყობილი წინადადების ნაწილების აზრობრივი მიმართების გამოხატვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სიტყვების გამოყენებას, რომლებიც რთულის კომპონენტებს შორის არსებულ შინაარსობრივ მიმართულებას უფრო თვალსაჩინოდ გამოხატავენ. დამახასიათებელია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც

რთული თანწყობილი წინადადების შემაღგენელ მარტივსა თუ შერწყმულ წინადადებებს საერთო აქვთ რომელიმე სიტვა, ერთი და იმავე ან სხვადასხვა წევრის ფუნქციით გამოყენებული.

მაგალითად:

1. **მათხან მაგერ მაზგამისენო ე ვამ ქოქრან კოსტლქ თამაროქ, წყე მაგანვ ვამხანს** „ლოგინაღლა იყო შთენილი ამ ჩვენი ქოქო-რიანთ კოსტალეს თამარა და ერთხელ სანახავად მივედი.“ (მიქელაძე 2011 – 47)

მოცემულ თანწყობილ წინადადებაში საერთო სიტყვაა **თამარო** „თამარი“, რომელიც დასახელებულია პირველ ნაწილში და ასრულებს ქვემდებარის როლს, მეორე ნაწილში ის იგულისხმება და გაიაზრება უბრალო დამატებად.

2. **ათხ თხანვ ვალ-მალუენ დანხრათხ ი შტოლომაქქ, რუსუდნეს მხ შარინხ დეცქ** „ჩვენ ჩვენი სასმელ-საჭმელი ამოვიღეთ იმ მაგიდაზე და რუსუდანმა კი თავისი მოიტანა.“ (მიქელაძე 2011 – 53)

საერთო სიტყვა მეორე მაგალითში არის **ვალ-მალუენი** „სასმელ-საჭმელი“. ის დასახელებულია რთული წინადადების პირველ ნაწილში, მეორეში კი იგულისხმება. საერთო სიტყვა ორივეგან პირდაპირი დამატების როლს ასრულებს.

საერთო სიტყვა შეიძლება მეორედბოდეს კიდევ რთულის ნაწილებში, მაგალითად:

სო ოჯხქ ვაღუხ ვასო, ას ბეწეს ქორთო ლაწბან, ას მეწეს ე საქმ თაგან „მე ოჯახის უფროსი ვარ, მე უნდა შევიწუხო თავი, მე უნდა გავაკეთო ეს საქმე.“

უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების მაგალითები
წოვათუშური ენის წერილობითი წყაროებიდან:

1. **ცჰა ზორამში ლამზურ მოჭ ლევმორ ზამრზენიგო, თამარო
წერალო** „ერთი ძალიან ლამაზი გოგო ჰყოლოდათ ზარიძეებს,
თამარი რქმეოდა.“ (მიქელაძე 2011 – 107)
2. **შარნ მახე სტაბო, შარნ დახე ლა, ოთქ ლამზურ დოჭან**
„წავიდა შემოდგომა, წავიდა ზამთარი, დადგა ლამაზი
გაზაფხული.“ (მიქელაძე 2011 – 107)
3. **თხნ ტყოც დოკ ებწო სქ ოსრეჭ. მშვიდათ, თიგუშ ლამნიგო ცო
ჭეჭმაკე სო** „დღესაც კიდევ გული მიმიწევს იქით. მშვიდად,
მოსვენებით მთებს ვერ ვუყურებ.“ (მიქელაძე 2014 – 44)
4. **სე ბანდროლე ე ამბუდ ზორამში მალონო მარ ალნი, დუჯჩოგ
მეფცალათერ ტყოცნ-ტყოცნ** „ჩემს ბავშვობაში ეს ამბავი ძალი-
ან იყო გავრცელებული ალვანში, ბევრი ყვებოდა კიდევ და კი-
დევ.“ (მიქელაძე 2014 – 158)
5. **ოჯუფ იშა'ე, დაშინა'ე თხნ ტყოც ლარკან ლათ სო, ზარსა წანნი
იშ მარ ო დალოცვილეგო** „იმისი ხმა და სიტყვები დღესაც კი-
დევ ყურებში მიდგას, ზარიგით წკრიალა ხმა ჰქონდა იმ
დალოცვილს.“ (მიქელაძე 2014 – 179)

თავი III.

როული ქვეწყობილი წინადადების სინტაქსი

§19. როული ქვეწყობილი წინადადების გენეზისისა და სტრუქტურის საკითხები

არც ერთ მთის იბერიულ-კავკასიურ ენას, გარდა წოვათუშურისა, როული ქვეწყობილი წინადადება არ გააჩნია. წოვათუშურში ის ჩამოყალიბდა ქართული ენის ინტენსიური, ხანგრძლივი ზეგავლენით.

საგულისხმობაა, რომ, რამდენადაც როულად ხორცილდება ენებში მორფოლოგიური ინტერფერენცია (სიხლის თავისი საწყისი, გარდამავალი და საბოლოო დამკვიდრების ხანგრძლივი პერიოდებით), იმდენად უფრო სწრაფია და ბოლომდე გამჭოლი სინტაქსური ინტერფერენცია, როცა ის წინადადებათა შეკავშირებისა და მათივე წევრთა ფუნქციური დატვირთვის საკითხებს ეხება. დღეს წოვათუშურში, რომლის მორფოლოგიაც, მიუხედავად ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი აქტიური ზეგავლენისა, ჯერ ისევ თავისთავადია და მკვეთრად განსხვავებული ქართულის მორფოლოგიისაგან, წინადადებათა აგებისა და მისივე წევრთა ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით თითქმის სრული პარალელიზმი გვაქვს ამ უკანასკნელთან.

პროფ. ი. დეშერივეი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დღესდღეობით არც ერთ სხვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში როული ქვეწყობილი წინადადება არაა ჩამოყალიბებული, მაშინ როცა წოვათუშურში ის უკვე რაფინირებული სახით

გვხვდება; ამ რიგის წინადადება აკლია თვით წოვათუშურის უახლოესად მონათესავე ჩეჩნურსა და ინგუშურსაც კი.

თანამედროვე წოვათუშურ ენაში არსებულ ვითარებას მკვლევარი ქართული ენის ხანგრძლივი და ინტენსიური გავლენით ხსნის: „Эта особенность отличает бацбийский язык от горских иберийско-кавказских языков, а также от востоко-вейнахского и западновейнахских языков. Сложноподчиненное предложение, которое строится при помощи относительных союзов и относительных слов, развилось в бацбийском языке под влиянием грузинского языка. Однако, относительные союзы и относительные слова возникли из исконно бацбийского языкового материала“ (Дешериев 1953 – 221).

ზოგადი ლინგვისტიკის თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება, რომ წყარო ენიდან წოვათუშურში ზედმიწევნით ზუსტად არის გადმოტანილი მრავალფეროვანი სქემა რთული ქვეწყობილი წინადადების აგებისა, მისათითებელი სიტყვები და სხვა მაქვემდებარებელი საშუალებები კი შექმნილია საკუთარი ლექსიკური ინვენტარის ბაზაზე ისევე ქართული ენის სათანადო მოდელის მიხედვით. არ მოიპოვება ქართული ენის წინადადებათა დაქვემდებარებისა და განსხვავებულ შინაარსობრივ მიმართებათა გამოხატვის უჩვეულოდ მდიდარ სიტემაში რაიმე კონკრეტული მოდელი, რომლის ზედმიწევნით მორგებულ ასლსაც წოვათუშურში ვერ ვნახავთ. ნათქვამს ზედმიწევნით დაადასტურებს ქვემოთ ჩვენს მიერ ზეპირი მეტყველებიდან თუ წერილობითი წყაროებიდან ილუსტრირებული მასალა.

რთული ქვეწყობილი წინადადება მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისგან შედგება. მთავარი დამოუკიდებელი, წამყვანი წინადადებაა, დამოკიდებული კი – დაქვემდებარებული. ერთი წი-

ნადადების მეორისადმი დაქვემდებარება სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით ხორციელდება.

დაქვემდებარების ძირითად საშუალებას თანამედროვე წოვა-თუშურში მაქვემდებარებელი კავშირები და მიმართებითი სიტყვები წარმოადგენს. მაქვემდებარებელი კავშირები წოვათუშურს თითქმის ყველა ნასესხები აქვს ქართულიდან. ასეთია:

მნ „მაგრამ“, **მაგრამ**, **რაკი**, **ხოლოთ**.

ამ რიგის კავშირებიდან ამ ენას საკუთარი აქვს მხოლოდ ერთი - მქ „რომ“.

მაგალითად:

1. **მოლჟ მაჯოწ ზოროლ მა ფსტუმწო, მქ მაღონმოტუმნ ოშტიც ნეფ-წეთუხ ქოთლალრ** „როგორი დიდი გმირობაა ქალისა, რომ მომაკვდავი ისევ სირცხვილ-ნამუსზე წუხდეს.“ (მიქელაძე 2011 – 110)

2. **ცომ დაღონორ ლეკინ, რაკი ბაცბნ ვასერგ თოჭშე ცო დასტრალრ მაქრქ გერწ** „არაფერი გამოსვლიათ ლეკებს, რაკი თუში კაცები ძილშიც არ იხსნიდნენ თურმე იარაღს.“ (მიქელაძე 2011 – 109)

მიმართებითი სიტყვების როლს წოვათუშურშიც მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები ასრულებს. მიმართებითი ნაცვალსახელების როლს სათანადოდ გაფორმებული კითხვითი ნაცვალსახელები მქ? „ვინ?“, „უხ?“, „რა?“, „მენუხ?“, „რომელი?“, „მაცლოწ?“, „როდინდელი?“, „მოლჟ“ „როგორი?“ ... ასრულებენ, მიმართებითი ზმნიზედების როლს კი – ასევე საგანგებენ გაფორმებული კითხვითი ზმნიზედები. ასეთი საყრდენი კითხვითი ზმნიზედებია: **მაცაწ?** „როდის?“, **მაცაწლორწ?** „როდიდან?“, **მაცლომცაწ?** „როდემ-

დე?“, **მოჭე?** „როგორ?“, **მიჩე?** „სად?“, **მიჩრენა?** „საიდან?“, **მიჩემცა?** „სადამდე?“, **უხანა?** „რატომ?“, **სტენნანა?** „რისთვის?“, **სტენ-ნდალა?** „რისი გულისთვის?“.

როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს ჩამოთვლილი კითხვითი ნაცვალ-სახელებისა და კითხვითი ზმნიზედებისაგან ნაწარმოები მიმართე-ბითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები.

ასეთი მიმართებითი ნაცვალსახელებია:

მენა „ვინა“, **უხან** „რაც“, **მენუხან** „რომელიც“, **მოლუხან** „როგო-რიც“, **მაცლუხან** „როდინდელიც“, **მელან / მელან** „რამდენიც“ ... მი-მართებითი ნაცვალსახელები ჩვეულებრივ სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით ფიქსირდება დამოკიდებულ წინადადებაში.

მაგალითად:

1. **ოჟმაყ დახკე სე დაჰ ქუდრწლეს, მენა დარიც თხოგო ჰაშედ დეხინა** „ყველა მოვიდა ჩემი გოგოს ქორწილში, ვიწვტ გვყავდა დაპატოებული.“

2. **ობი მოწყობადალჩ სე კლასრე უმაღლისი, მენხუაჟუდშგა ლანიშ დამდორ** „ისინი მოეწყვნენ ჩემი კლასიდან უმაღლეს სასწავლებელში, რომლებიც კარგად სწავლობდნენ.“

გვხვდება შემდეგი მიმართებითი ზმნიზედები:

მაცნე „როდესაც“, **მაცალოლინა** „როდიდანაც“, **მაცლომცინა** „როდემდეც“, **მოჭე** „როგორც“, **მიჩეჰან / მიჩეჰე** „სადაც“, **მიჩემცინა** „სადამდეც“, **მიჩრენაჰან** „საიდანაც“, **მიჩემცინა** „სადამდეც“, **უხანა** „რატომაც“, **სტენნანა** „რისთვისაც“, **სტენნდალაჰან** „რისი გულისთვისაც“.

1. **სწორეთ ეჰათ სტაბო ლეგდორ, მაცნე ზადრზენინ დაჟქრან ზურბეს ჰაჰედინა მარჰკელ ოთნორ სჰგო** „სწორედ მაშინ

შემოდგომა ყოფილიყო, როცა ზარიძეებს აბაშიძე ზურაბის გაგზავნილი მაჭანკალი მისდგომოდათ კარს.“ (მიქელაძე 2011 – 107)

საგულისხმოა, რომ მიმართებითი ნაცვალსახელებისა და მიმართებითი ზმნიზედების წარმოების სწორედ ისეთი გზა ფიქსირდება წოვათუშურში, რაც განვითარების სათანადო საფეხურზე ქართულმა გაიარა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული ენის კითხვითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების მიმართებით ნაცვალსახელებად და მიმართებით ზმნიზედებად „გარდაქმნას თავისი ისტორია აქვს. ასეთი ევოლუცია მიმართებითი სიტყვების კითხვით (resp. ჩვენებით) ნაცვალსახელთაგან მკვეთრ გამოყოფასა და მათ მიერ საკუთარი სინტაქსური ფუნქციების გამომუშავებას გულისხმობს. უკვე დიდი ხანია, ცნობილია ის ფაქტი, რომ მიმართებითი სიტყვები კითხვითი (resp. ჩვენებითი) ნაცვალსახელებისაგან წარმოიშვა“ (დონდუა 1949 – 203).

რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელი მარტივი თუ შერწყმული წინადადებების შინაარსობრივი და ფორმალური მიმართების განმტკიცების თვალსაზრისით, გარკვეულ როლს ასრულებს მთავარ წინადადებაში წარმოდგენილი ისეთი სიტყვა, რომელიც დამოკიდებულ წინადადებას გვაგარაუდებინებს. ასეთი სიტყვების როლს ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები ასრულებენ; მათს ზოგად მნიშვნელობას განმარტავს და აკონკრეტებს დამოკიდებულ წინადადებას. ეს საკორელაციო სიტყვები ამა თუ იმ წევრის როლს ასრულებენ მთავარში.

საკორელაციო ფუნქციით წოვათუშური ენის ქვეწყობილ წინადადებაში გვხვდება შემდეგი ჩვენებითი ნაცვალსახელები: ი / ე

„ეს“, ის „ეგ“, იშტყ / ჰაშტყ „ასეთი“, ოშტყ „ისეთი“, იგუმფლქ / ეგუმფლქ „ამდენი“, ოგუმფლქ „იმდენი“...

მაგალითად:

1. ოშტყ ნიჭიერ ვანორ ტატო, მჲ ჰამივას გადაწყვეტადინორ ო ღამდა საზღვარგარეთ ჰაჭვარ „ისეთი ნიჭიერი ყოფილიყო

ტატო, რომ ყველას გადაეწყვეტა მისი სასწავლებლად საზღვარგარეთ გაგზავნა.“ (მიქელაძე 2011 – 132)

საკორელაციო ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე შემდეგი ჩვენებითი ზმნიწედები:

ოსი „იქ“, ისე / ესე „აქ“, ისი „მანდ“, იშტ „ასე“, უშტ „ისე“, უგნადრათ „ისეთნაირად“, ეჭათ „მაშინ“...

მაგალითად:

1. გქ ე თხქ აგ... უშტ ტირ ზორამში დაჲ ჰადჭნორ, მჲ მოჩვენბი დამართბადმადონორ „მერე ეს ჩვენი ბებია... ისე ძალიან დამწუნრებულყო, რომ ჩვენებები დამართვოდა.“ (მიქელაძე 2014 – 52)

საკორელაციო სიტყვები მთავარიწ წინადადების რომელიმე წევრის როლს ასრულებენ ყოველთვის. დამოწმებულ ბოლო ორ მაგალითში სიტყვა ოშტყ „ისეთი“ ასრულებს განსაზღვრების როლს, ხოლო უშტ ტირ „ისე, ისეთნაირად“ ვითარების გარემოებაა.

საკორელაციო ანუ მისათითებელი სიტყვები უმეტეს შემთხვევაში იწყებენ მთავარ წინადადებას, მაგრამ ზოგჯერ შუა ან ბოლო პოზიციასაც იკავებენ. შდრ.:

1. **ო ხა-ჟამ ლევდორ, მაცნე რუსუდნეს ჰალოჰე დოგრაღ ამბუდ ვადღეშ** „ის დრო-ჟამი ყოფილა, როცა რუსუდანი ლამის ლაპა-რაკობდა უკვე ჩვენებურად.“ (მიქელაძე 2011 – 54)

2. **მარწ ლახნ მოყ ეჭათ დარ, ბაცბიე ბადცბრათ მუ ამბუდ დორ** „ძალიან კარგობა სწორედ მაშინ იყო, როდესაც წოვათუშები წოვათუშურად ლაპარაკობდნენ.“ (მიქელაძე 2011 – 194)

3. **სე ბადერ ცო მოქცევალა უდშ ტირ, მუ შარწ ოჯახ დაფადლორ** „ჩემი შვილი არ მოიქცევა ისე, რომ თავისი ოჯახი შეარცხენოს.“

დამოკიდებული წინადადება უფრო ხშირად მოსდევს მთავარს, მაგრამ გვხვდება აგრეთვე მთავარის წინაც და შუაშიც.

მაგალითად:

1. **სოგო ლარე ნეფნიში მენა დამშე, უმაყ დამშე სოხ საჟებუ ხაწინა** „ჩემი ყურისმგებლები ვინც ხართ, ყველანი ჩემზე რუფროი ნასწავლები ხართ.“ (მიქელაძე 2011 – 211)

2. **ლარაყ ოსი მიჩახ ბჟარე ვახუბინას, მუ ხიე უნახ ლესტოდო** „უცებ იქ სადღაც თვალი მოგეკარი, რომ წყალი რადაცას აქანაგებდა.“ (მიქელაძე 2011 – 157)

3. **წყე, მაცნე ტატო ოპერე ლევეგორ, სცენენმაქ ნიკლოზე სურათ დეცნორ** „ერთხელ, როცა ტატო ოპერაში ყოფილიყო, სცენაზე ნიკოლოზის სურათი შემოეტანათ.“ (მიქელაძე 2011 – 133)

ქვეწყობილი წინადადების დასახელებული სამი მაგალითიდან დამოკიდებულ წინადადებას პირველში მთავრის წინა პოზიცია უკავია, მეორეში – მთავარის მომდევნო, მესამეში კი მთავარის შუაშია მოქცეული.

წოვათუშურ ენაში გვაქვს იმდენივე და იმავე სახის ქვეწყობილი წინადადება, რამდენი და რა სახის ქვეწყობილი წინადადებაც ქართულში ფიქსირდება, კერძოდ: ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება, დამატებითი დამოკიდებული წინადადება, გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, შემასმენლური დამოკიდებული წინადადება, შედეგობითი დამოკიდებული წინადადება, პირობითი დამოკიდებული წინადადება და დათმობითი დამოკიდებული წინადადება.

დამოკიდებულ წინადადებათა უმეტესობა ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს. კითხვაში შედის მთელი მთავარი წინადადება, ჰასუსხს კი დამოკიდებული წინადადება იძლევა. დამოკიდებული წინადადება იმავე კითხვაზე ჰასუსხობს, რაზეც მისი შესაბამისი წევრი მთავარში, კერძოდ: ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ქვემდებარის კითხვაზე ჰასუსხობს, გარემოებითი დამოკიდებული გარემოების კითხვაზე და ა. შ. მაგალითად:

1. ოშტუქ ლამზურ ლევმორ წინუს, მუ ოჟმას ოჯუდგო

ჰიტუსრალო „ისეთი ლამაზი ყოფილიყო ჰატარძალი, რომ ყველა მას უყურებდა თურმე.“

2. უმსო დანხორ ნახ ვაშბარ, მიჩჰე კრებ მარიც დანიშნოდმიენო

„იქ შეკრებილიყო ხალხი, სადაც კრება იყო დანიშნული.“

დამოწმებული მაგალითებიდან პირველი ქვეწყობილი წინადადების მთავარს დაესმის კითხვა:

მოლოქ ლამზურ მარ თამარო? „როგორი (რანაირი?) ლამაზი იყო თამარი?“

ჰასუსხია: **ოშტუქ** „ისეთი.“

„მაგრამ სახელდობრ როგორი?“

პასუხი: **მე ოუმაყ ოჯუმგო ჰიტსრალო** „რომ ყველა მას უყურებდა თურმე.“

დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარში ჩვენებითი ნაცვალსახელით გადმოცემულ განსაზღვრებას და კითხვაც განსაზღვრებისა დაესმის. აღნიშნული ვითარების გამო ეს დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია.

განსხვავებული ვითარება გვაქვს მეორე ქვეწყობილ წინადადებაში. აქ მთავარს დაესმის კითხვა:

მიჩ დახნორ ნახ? „სად შეკრებილიყო ხალხი?“

პასუხია: **უმს** „იქ“.

„იქ, მაგრამ სახელდობრ სად?“

პასუხი: **მიჩჰე კრებ მარც დანიშნოდენო** „სადაც კრება იყო დანიშნული.“

დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარში ზმნიზედით გადმოცემულ ვითარების გარემოებას და კითხვასაც ვითარების გარემოებისას დაისვამს. ეს ნიშნავს, რომ მოცემული დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია.

§20. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ასრულებს ქვემდებარის როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან, ან კონკრეტული შინაარსით ავსებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარის ზოგად მნიშვნელობას. მაგალითად, განვიხილოთ წინადადება:

ბაცბილო ზორაძეში დაჯიწ ლე დარ, მუ დადას ბადერ ლე ამრკი ხაცდორალოქ, ლე ჰალორ ეცრალო „წოვათუშებში დიდი სირცხვილი იყო, რომ მამას შვილი ან კალთაში ჩაესვა, ან კიდეც ხელში აეყვანა.“ (მიქელაძე 2014 – 201)

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია – ბაცბილო ზორაძეში დაჯიწ ლე ლეველორ „თუშებში ძალიან დიდი სირცხვილი ყოფილიყო.“ მის შემასმენელს ლე ლეველორ „სირცხვილი ყოფილიყო“ ქვემდებარე აკლია. მოცემულ შემთხვევაში ქვემდებარის როლს დამოკიდებული წინადადება ასრულებს. ის პასუხობს კითხვაზე:

უხ დარ ლე? „რა იყო სირცხვილი?“

პასუხი: დადას ბადერ ლე ამრკი ხაცდორალოქ, ლე ჰალორ ეცრალო „მამას შვილი კალთაში ჩაესვა–და ან ხელში აეყვანა.“

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით ცხადდება, რომ მოცემული დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია.

როგორც ზევით გვაქვს აღნიშნული, დამოკიდებული წინადადების კვალიფიკაციის საკითხში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მთავარში წარმოდგენილი საკორელაციო სიტყვა. მოცემული თვალსაზრისით განვიხილოთ შემდეგი წინადადება:

თხაბუს სეჩუ ჰაშედ ცო ვეცქ ო, მენუ ჰამახეც ზორაძეში სტეხრას „წუხელ ჩემთან სტუმრად არ მოვიდა ის, ვისაც ყველზე მეტად ველოდი.“

ამჯერად მთავარი წინადადებაა თხაბუს სეჩუ ჰაშედ ცო ვეცქ ო „წუხელ ჩემთან სტუმრად არ მოვიდა ის.“

მოცემულ მთავარში საკორელაციო სიტყვაა ო „ის“, რომელიც ქვემდებარის როლს ასრულებს. დამოკიდებული წინადადება

ხსნის მთავარში ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარის ზოგად მნიშვნელობას. აღნიშნულის მიხედვით ირკვევა, რომ მოცემული დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება უმეტეს შემთხვევაში მოსდევს ან უსწრებს მთავარს. ორსავე შემთხვევაში განხილულ რთულ წინადადებაში ქვემდებარული დამოკიდებული მოსდევს მთავარს. როგორც აღვნიშნეთ, ხშირად ის უსწრებს კიდევ მთავარს.

მაგალითად:

1. **სე მადრგაშქ წე მქ წე, ო სტაკ ვარ საქმუნმაქ ისე** „ჩემი მანლის სახელი რომ ჰქვია, ის კაცი იყო საქმეზე აქ.“ (მიქელაძე 2014 – 201)

2. **მენჯ სომეღქ და, ო გაჯიბრბალიბნლ სოხ ლეთხო** „ვინც ჩემი ტოლია, ის გამეჯიბროს ჭიდაობაში.“

ქვემდებარული დამოკიდებული მთავარი წინადადების შუაში ნაკლებად გვხვდება, მაგრამ მაინც გვაქვს ამის შემთხვევები.

მაგალითად:

1. **ო, მქ აღმენეგ შარჲ ბანდერ დაქებადოლოჲ, თხა ტყოყ ნახეუ და ბაცბილო** „ის, რომ აღამიანმა თავისი შვილი აქოს, დღეს კიდევ სირცხვილია თუშებში.“

2. **ოჯუს, ჰანჯ ი ამბუჲ დეყქ შუქ, ახდიქშუ** „მან, ვინც ეს ამბავი მოგიტანათ, მოგატყუათ.“

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება უპასუხებს ქვემდებარის კითხვებზე: **მქ?** „ვინ?“ (სახ. ბრ.), **ჰანჯ?** „ვინ?“ (მოთხ. ბრ.), **უხ?** „რა?“ (სახ. ბრ.), **სტეგ?** „რამ?“. ნაცვალსახელი, რომლის განმარტებასაც დამოკიდებული წინადადება იძლევა, დგას ქვემდებარ-

რის ერთ-ერთ ბრუნვაში: სახელობითსა ან მოთხრობითში. მისი ბრუნვის საკითხი წყდება მასთან შეწყობილი ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობის მიხედვით. ზმნის გარდაუვლობის შემთხვევაში მოცემული თვალსაზრისით ანგარიში ეწევა მის გვარსაც და პირის რომლობასაც.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების კორელატებად მთავარში გამოიყენება ჩვენებითი ნაცვალსახელები: ე „ეს“, ო „ის“, ის „ეგ“ და განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ოჟმაც** „ყველა, ყველაფერი“ სახელობითსა ან მოთხრობით ბრუნვაში, მხოლოდითსა ან მრავლობით რიცხვში:

ა) ზმნა გარდაუვალია, კორელატი-ნაცვალსახელი სახელობითში დგას:

ო, მენჲ ამში ლეხუამი, ჩუჰ ცო ვა „ის, ვისაც თქვენ ეძებთ, სახლში არ არის.“

ბ) ზმნა გარდამავალია, კორელატი-ნაცვალსახელი მოთხრობითშია:

ოჯუს, ჰანჲ ი მოჯ დაწერადიქ, მაჯო საქმ თაგმიქ „იმან, ვინც ეს ლექსი დაწერა, დიდი საქმე გააკეთა.“

მისათითებელი ნაცვალსახელი უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია მთავარში, მაგრამ ზოგჯერ ის გამოტოვებულიცაა და მარტივად შეიძლება ადვადგინოთ, რადგან ადვილად იგულისხმება. გარიანტები ადვილად ენაცვლება ერთმანეთს. შდრ.:

ა) უკორელატო ვარიანტი:

ჰანჲ ალუმან დაპლანოდმარქ გეგმ შედგენადმიქ, მაჯო საქმ თაგმიქ „ვინც ალუმის გაპლანიანების გეგმა შეადგინა, დიდი საქმე გააკეთა.“

ბ) კორელაციანი ვარიანტი:

**ჰანუ ალუმნ დაპლანოდარქ გეგმ შედგენადმიქ, ოჯუს მაჯოქ
საქმ თაგმიქ „ვინც ალუმნის გაპლანანების გეგმა შეადგინა,
იმან დიდი საქმე გააკეთა.“**

მისათითებელი სიტყვის გამოტოვება გამოორიცხულია მხოლოდ მაშინ, როცა ის განსაზღვრებითი ნაცვალსახელითაა გადმოცემული. მაგალითად:

**ოჟმაც ჰალო ასრულობადლოქ სოქ, უნუ დანატროდინას
„ყველაფერი ამისრულდა, რაც ვინატრე.“**

ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირი **მუ „რომ“** და მიმართებითი ნაცვალსახელები **მენა / მენუ „ვინც“**, **უნა / უნუ „რაც“**, **მენუნა „რომელიც“** – სათანადო ბრუნვისა და რიცხვის ფორმით. მათგან კავშირი **მენა / მენუ „ვინც“** იხმარება მხოლოდ მაშინ, როცა მთავრის ქვემდებარედ ადამიანი იგულისხმება, ყველა სხვა შემთხვევაში კი ფუნქციონირებს კავშირი **უნა / უნუ „რაც“**.

მაგალითად:

1. **დაჰ ცო დიცლა სოქ, აჰ მუ სო, ახმიტრქ ვადუმნ, ალუნელო
ვანრეხ ვისვადჯრა** „არ მავიწყდება, შენ რომ მე, ახმეტიდან მომავალი, ალაზანში დახრჩობას გადამარჩინე.“

– **უნ ცო დიცლა სოქ?** „რა არ მავიწყდება?“

2. **ჩუჰ ო ბჰარვანქ სოქ, მენუ ცო სტეხრას** „სახლში ის დამხვდა, ვისაც არ ველოდებოდი.“

– **მქ ბჰარვანქ სოქ ჩუჰ?** „ვინ დამხვდა სახლში?“

3. **ოჯუს ოწდებულ ტოტ, ჰანუ იჯ საქმლო სოქ ლეცო ფე** „იმან ასწიოს ხელი, ვინც ამ საქმეში მე მიჭერს მხარს.“

– ჰა ოწღებჳლ ტოტ? „ვინ ასწიოს ხელი?“

4. ღანიშ ტყობალა ის ვაჰონ, მოღუჩრ ნანას ვა გაცვიენრ
„კარგად ეტყობა მავ ბიჭს, როგორი–ც დედის გაზრდილია.“

– უხ ტყობალა ის ვაჰონ ღანიშ? „რა ეტყობა მავ ბიჭს
კარგად?“

§21. დამატებითი დამოკიდებული წინადადება

დამატებითა დამოკიდებუკლი წინადადება, რომელიც ასრულებს ამა თუ იმ სახის დამატების ფუნქციას მთავართან მიმართებით, ან ხსნის და აზუსტებს მთავარში მისათითებელი სიტყვით გადმოცემული დამატების ზოგად მნიშვნელობას. წოვათუშურ ენაში იმდენივე სახის დამატება გვაქვს, რამდენიც ქართულ ენაში ფუნქციონირებს, კერძოდ: პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება და უბრალო დამატება. შესაბამისად, დამოკიდებული წინადადებაც იმდენივე სახისაა, გვაქვს: პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება, ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება და უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება.

I. პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება

პირდაპირდამატებითა დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს პირდაპირი დამატების როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან, ან ხსნის მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი დამატების ზოგად მნიშვნელობას.

პირდაპირი დამატება წოვათუშურში ზმნის პირთან შეწყობილი სახელია, ისევე როგორც ქართულში, იმ განსხვავებით, რომ კლასნიშნით გამოიხატება და არა პირისნიშნით. განსხვავება გვაქვს იმ მხრივაც, რომ ქართულში პირდაპირი დამატება ბრუნვაცვალეზადია, წოვათუშურის ზმნასთან კი იგი მუდმივად, ნებისმიერი მწკრივისა თუ სერიის ფორმასთან, სახელობით ბრუნვაში დგას. ამ ტიპის დამატებითი დამოკიდებული წინადადება მაშინაა შესაძლებელი, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული.

მაგალითად:

ნიკოს კნათილორქ ქუარწლებ დაჩოკ ობი ბინნორ, მენწ ოჯუენ ფეხ ბაბწერ „ნიკოს ბიჭებიდან ქორწილში მარტო ისინი დაეპატიჟნა, ვისაც ის ახლოს იცნობდა.“

მოცემული წინადადება რთული ქვეწყობილია, სადაც მთავარია **ნიკოს ქუარწლებ კნათილორქ დაჩოკ ობი ბინნორ** „ნიკოს ბიჭებიდან ქორწილში მარტო ისინი დაეპატიჟნა.“ დამოკიდებული კი არის **მენწ ოჯუენ ფეხ ბაბწერ** „ვისაც ის ახლოს იცნობდა.“ მოცემულ მთავარ წინადადებაში საკორელაციო სიტყვაა **ობი** „ისინი“; შემასმენელი **ბინნორ** „დაეპატიჟნა“ გარდამავალია და მასში წარმოდგენილია საკორელაციო სიტყვის – პირდაპირი დამატების – მრავლობითობის კლასნიშანი თავსართი **ბ-**. მთავარ წინადადებას დაესმის კითხვა: **კნათილორქ ქუარწლებ მენიშ ბინნორ ნიკოს?** „ბიჭებიდან ქორწილში ვინ დაეპატიჟნა ნიკოს?“

ყველა ნიშნის მიხედვით მოცემული დამოკიდებული წინადადება პირდაპირდამატებითაა, ის ხსნის მთავარში ნაცვალსახელით გადმოცემული პირდაპირი დამატების ზოგად მნიშვნელობას.

პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადების მისათი-
თებელი სიტყვების როლს მთავარში ასრულებს სწორედ იგივე
ჩვენებითი და განსაზღვრებითი ნაცვალსახელები, რაც გვქონდა
ქვემდებარული დამოკიდებულის შემთხვევაში.

ესენია: ე „ეს“, ის „ეგ“, ო „ის“, ები / ებე „ესენი“, იფსი „ეგენი“,
ობი „ისინი“, უმაყ „ყველა“, დანიყ „ყველაფერი.“

განსხვავებას მათ შორის მოცემულ შემთხვევაში ქმნის ის გა-
რემოება, რომ ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობის მიხედვით
ქვემდებარის როლში ისინი მოთხრობითსა, ან სახელობით ბრუნვა-
ში გვხვდება, პირდაპირი დამატების შემთხვევაში კი მხოლოდ გარ-
დამავალ ზმნებთან და მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმით
ფუნქციონირებენ.

პირდაპირდამატებითი სახის დამოკიდებულ წინადადებას
მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირი მჟ „რომ“ და მი-
მართებითი ნაცვალსახელები: მენა / მენჟ „ვინც“, უხა / უხჟ „რაც“.

მაგალითად:

1. ცოჰანჟ დეჟჟ სოჟ საჩუჟრედ ო, ვუნჟ ზორაჟში სტენრას – კუჟ
ვარდი „არავინ მომიტანა საჩუჟრად ის, რასაც ძალიან
ველოდებოდი – თეთრი ვარდები.“
2. დაჰ დიციდინას უმაყ, ჰანგო სიკეთე ცო მაგოჟმაკჟ სოჟ
„დავიფიჟყე ყველა, ვისაც სიკეთე ვერ დავანახე.“
3. ფჰეჰ ჰამიფაყ ო დენორ მთავრბახ, მჟ სეტყვას დეჟენო ზარალ
ანაზლაჟრებადგორალო „სოფელში ყველა იმას სთხოვდა
მთავრობას, რომ სეტყვის მოყენებული ზარალი აენაზლაჟრე
ბინა.“

საგულისხმოა, რომ პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადების მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში ხშირად არის გამოტოვებული და ის ადვილად იგულისხმება იმ შემთხვევაში, როცა ის არაა განსაზღვრებითი **ოჰმაყ** „ყველა“, ან **დანის** „ყველაფერი, ყოველივე“ ნაცვალსახელით გამოხატული.

მაგალითად:

1. **თხლომცქ დეფცრ აღნი, მოჰ გაჰირ ოსი აღზნეე ჩუ**

მზოგმალჩრ ჰეტკიკელ თასვალინრ ბლუჯრჷ მიხელ „დღემდე ყვებიან აღვანში, აღაზანმა როგორ ჩაიტანა ჩატეხილი ზვაგის ქვეშ ჩავარდნილი ბლუჯრთანთ მიხეილი.“ (მიქელაძე 2014 – 238)

2. **ე მელოდია ზორამშ დაკოხ ვაცყმნზ მაჷ, დაკველორ ჰამინას, მჷ ბედნიერებზ, უბიდრობზ ჰამინას ქუმრთმაქ მა** „ეს მელოდია ძალიან გულზე მოსახვედრია, შთააგონებს ყველას, რომ ბედნიერებაც და უბედურებაც ყველას თავსაა.“ (მიქელაძე 2014 – 240)

3. **ვეჩნაირ ამბუდ თავმალქ ვქ. დაკლავრზ, ხაწქ ბათან ნანჷ**

ქოთხოლამნრ „სხვანაირი ამბავი მოხდა მერე. იფიქრებდი, გაიგონა მთვარემ დედების წუხილიო.“ (მიქელაძე 2014 – 167)

პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადების პოზიცია მთავარის მიმართ სხვადასხვანაირია, უფრო ხშირად ის მოსდევს მთავარს, მაგრამ გვხვდება მთავარის წინა პოზიციაშიც და შუაშიც. შდრ.:

1. **ცო ღეფხეთემ ოჰმაყ დაჰ დიცდიქ ანკოს, ვუნჷ თხლომცქ ას ოვემნ ღაზქ თავდინას** „უსირცხვილოდ ყველაფერი დაივიწყა

ანიკომ, რაც დღემდე მე მას კარგი გაუუკეთე.“

2. გუნთ თხლომცჳ ას ოჯუნ ღაზქ თაგღინას, ცო ლეფხეთეშ
ოჷმას ღაჰ დიცღიქ ადნკოს „რაც ღღემღე მე მას კარგი
გაფუკეთე, უსირცხვილოდ ყველაფერი დაიფიწყა ანიკომ.“

3. ოჷმას, უნთ თხლომცჳ ას ოჯუნ ღაზქ თაგღინას, ცო
ღეფხეთეშ ღაჰ დიცღიქ ადნკოს „ყველაფერი, რაც ღღემღე მე
მას კარგი გაფუკეთე, უსირცხვილოდ დაიფიწყა ანიკომ.“

მოცემულ მაგალითებში ჰირდაჰირდამატებითი დამოკიდებუ-
ლი წინადადებაა: გუნთ თხლომცჳ ას ოჯუნ ღაზქ თაგღინას „რაც
ღღემღე მე მას კარგი გაფუკეთე“; ჰირველ შემთხვევაში მას მთავ-
რის მომღვენო ჰოზიცია უკაფია, მეორეგან ის მთავრის წინა ღგას,
მესამე მაგალითში კი ის მთავრის შუაშია მოქცეული. როგორც
ადენიშნეთ, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავრისა და ჰირდა-
ჰირდამატებითი დამოკიდებული წინადადებაის განლაგების სამივე
ვარიანტი ფიქსირღება წოვათუშურში მეტნაკლები სიხშირით.

II. ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება

მოცემულ საკითხში წოვათუშური ენის ვითარღება თავისებუ-
რია იმ მხრივ, რომ ტრადიციულად აქ ირიბი დამატება ზმნაში არა
ფიქსირღებოღა რაიმე ფორმანტით. თუ ქვემღებარე და ჰირდაჰირი
დამატება კლასნიშნიან ზმნებში ყოველთვის გამოიხატებოღა
კლასნიშნით, ირიბი დამატება მუღმივეად გამოუხატაფი რღებოღა.
მეტყველების ჰროცესში მას გამოარღვეღა სახელის უთანღებულო
ბრუნვის-მიცემითის განსაკუთრებული ფორმები. ეს ფორმები იც-
ვლება ზმნის შინაარსობრივი ნიუანსების შესაბამისად, რის საფუძ-
ველზეც წოვათუშურში ოთხი სახის მიცემითი ბრუნვაა გამოყოფი-

ლი სათანადო ფორმანტებით. ეს ბრუნვებია: მიცემითი I (მაწარმო-
ებელი ფორმანტია სუფიქსი -ნ), მიცემითი II (სუფიქსი -გო), მიცე-
მითი III (სუფიქსი -გო), მიცემითი IV (სუფიქსი -ხ).

როგორც აღვნიშნეთ, მოცემულ შემთხვევაში მიცემითი ბრუნ-
ვის მრავალსახეობას იწვევს სახელთან შეწყობილი ზმნის განსხვა-
ვებული შინაარსობრივი ნიუანსები. მაგალითად, თუ ზმნა მასთან
შეწყობილი სახელით აღნიშნული საგნების სასარგებლო მოქმე-
დებას გამოხატავს, სახელი ნარიანი მიცემითის ფორმით შეეწყობა
მას, ხოლო როცა ამ თვალსაზრისით ვითარდება საპირისპიროა, სა-
ხელი -გო-სუფიქსიანი მიცემითის ფორმას იღებს.⁶

ამ მხრივ ვითარება თანამედროვე წოვათუშურში უცვლელი
დარჩა, მაგრამ კარდინალურად შეიცვალა ზმნაში ირიბი ობიექტის
ფორმალური გამოხატვის საკითხი. მხედველობაში გვაქვს ამჟღე-
რად ის გარემოება, რომ ქართული ენის ინტენსიური ზეგავლენით
ბოლო დროს უკვე ირიბი დამატება პირის ნიშნით გამოხატება
წოვათუშური ენის ზმნაში. აღნიშნული ინტერფერენტული პრო-
ცესით დამოწვეული ცვლილების შედეგად ირიბი დამატებისა და
ზმნის ფორმალური ურთიერთობა თითქმის გათანაბრდა ამ ორ ენა-
ში, განსხვავებას ახლა უკვე წოვათუშურში არსებული მიცემითი
ბრუნვის მრავალსახეობა ქმნის.

მოცემული ვითარების მიხედვით შეგვიძლია განვაცხადოთ,
რომ თანამედროვე წოვათუშურში ირიბი დამატება ზმნის ირიბი
ობიექტური პირის ფარდი სახელია. შესაბამისად, ირიბდამატები-
თია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს ირიბი და-
მატების როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან, ან კიდევ

⁶ დაწვრილებით იხ. მიქელაძე 2011 – 21-50.

ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალ-სახელით გადმოცემული ირიბი დამატების ზოგად მნიშვნელობას.

ირიბდამატებითი დამოკიდებულის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარში მისათითებელ სიტყვებად გვგვდება იგივე ჩვენებითი და განსაზღვრებითი ნაცვალსახელები, რაც ქვემდებარულსა და პირდაპირდამატებით დამოკიდებულ წინადადებებში დაფიქსირდა, კერძოდ, ჩვენებითი ნაცვალსახელები: ე „ეს“, ო „ის“, ის „ეგ“ და განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: **ოჟმანც / უმანც** „ყველა, ყველაფერი“. მთავარში წარმოდგენილი კორელატების კითხვებადაც იგივე **მე?** „ვინ?“ და **უხ?** „რა?“ ნაცვალსახელები იხმარება. საგულისხმოა ისიც, რომ კავშირებადაც იგივე მიმართებითი **მენან / მენენ** „ვინც“ და **უხან / უხენ** „რაც“ ნაცვალსახელები ფუნქციონირებს, რომლებიც ამჯერადაც ისევ დამოკიდებული წინადადების შემასმენლის შესატყვის ბრუნვაში წარმოგვიდგებიან.

მიუხედავად ამდენი დამთხვევისა, ირიბდამატებითი დამოკიდებულის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების სპეციფიკას ქმნის ის გარემოება, რომ ჩამოთვლილი ჩვენებითი, განსაზღვრებითი და კითხვითი ნაცვალსახელები მოცემულ შემთხვევაში ოთხი ზემოთ ჩამოთვლილი განსხვავებული მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგებიან.

მაგალითად:

1. **ას დაჩოკ ოჯუან-ნ ჩუქბადოს სქ ჟანგრო, ჰანენ დოკ დილოშ ჰალორ ნატრ ქორთი ლათინო ბოლომცა** „მე მხოლოდ იმას ვაჩუქებ ჩემს წიგნს, ვინც გულდასმით წაიკითხავს თავიდან ბოლომდე.“

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **ას დაჩოკ ოკუენ ჩუქბადოს სქუაგნო** „მე მხოლოდ იმას ვაჩუქებ ჩემს წიგნს“; დამოკიდებულია **ჰანწ დოკ დილოშ ჰალორ ხატო ქორთი ლათინო ბოლომცწ** „ვინც თავიდან ბოლომდე წაიკითხავს გულდადებით.“

მთავარი წინადადების მისათითებელ სიტყვას წარმოადგენს ჩვენებითი ნაცვალსახელი **ოკუენ**– „იმას“, რომელიც მოცემულია ნარიანი მიცემითის ფორმით და პასუხობს ირიბი დამატების კითხვაზე **ჰანწ? „ვის?“**

როგორც მოსალოდნელი იყო, კითხვითი ნაცვალსახელიც ნარიან მიცემითშია გაფორმებული, ირიბი დამატების იმავე კითხვაზე პასუხობს დამოკიდებული წინადადებაც. ჩამოთვლილი ყველა ნიშნის მიხედვით მოცემული დამოკიდებული წინადადება ირიბდამატებითია.

2. ტათებ ოკარ–გო აჰნლ ყუიე, ჰანგოჰწ დუენ და ბჰკე გაგდიენო
„ფული იმათ ჰპარონ ქურდებმა, ვისაც ბევრი აქვს ბანკში შენახული.“

მოცემულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია: **ტათებ ოკარ–გო აჰნლ ყუიე** „ფული იმათ ჰპარონ ქურდებმა“; დამოკიდებულია **ჰანგოჰწ დუენ და ბჰკე გაგდიენო** „ვისაც ბევრი აქვს ბანკში შენახული“. დაქვემდებარებისათვის დამახასითებელი ყველა სახის მიმართება მთავართან ამჯერადაც ირიბი დამატებისთვის ნიშანდობლივ **–გო**–სუფიქსიან მიცემითში გაფორმებული კორელატითა და მაქვემდებარებელი კავშირით არის გამოხატული. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ დამოკიდებული წინადადება ირიბი ობიექტის კითხვაზე პასიურობს. შეგვიძლია ამჯერადაც და–

ვასკენათ, რომ განხილული დამოკიდებული წინადადება ირიბდამატებითია.

3. **წა ოჯუღ-გოღ დეწიშ თაგლითჳ, ჰჳგოჰჳ მაცოღ გამოცდილებ მას** „სახლი იმას უნდა გააკეთებინოთ, ვისაც დიდი გამოცდილება აქვს.“

საანალიზო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია შემდეგი წინადადება: **წა ოჯუღ-გოღ დეწიშ თაგლითჳ** „სახლი იმას უნდა გააკეთებინოთ“; დამოკიდებულია **ჰჳგოჰჳ** (< ჰჳგოღ? „ვის?“) **მაცოღ გამოცდილებ მას** „ვისაც დიდი გამოცდილება აქვს.“

ამჯერად უკვე ირიბი დამატების გადმოსაცემად მოცემულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში -**გოღ**-სუფიქსიანი მიცემითი ფუნქციონირებს: ამ ბრუნვაშია წარმოდგენილი კორელატი, ამ ბრუნვაში დგას მთავრის მიმართი კითხვითი ნაცვალსახელიც. ცხადია, რომ მოცემული დამოკიდებული წინადადება ირიბდამატებითია, რაკი კითხვაც ირიბი დამატებისა დაესმის.

4. **დოშ ოჯუღ-ხ თეშდებათ, ჰჳნჳ გეჩონღ დალტბადარღ ცო კისრბადო** „სიტყვა მას ანდეთ, ვინც სხვის დალატს არ იკისრებს.“

მოცემულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **დოშ ოჯუღ-ხ თეშდებათ** „სიტყვა მას ანდეთ“; დამოკიდებულია **ჰჳნჳ გეჩონღ დალტბადარღ ცო კისრბადო** „ვინც სხვის დალატს არ იკისრებს.“ აქ ყველაფერი ზემოთ წარმოდგენილი სქემის მიხედვით არის რეალიზებული – მოცემული დამოკიდებული წინადადება ყველა ნიშნის მიხედვით ირიბდამატებითია, ერთადერთი განსხვავება ზემოთ განხილული სხვა სახის პირდაპირდამატებითი დამოკი-

დებული წინადადებებისაგან -**ხ**-სუფიქსიანი მიცემითის გამოყენებაში მდგომარეობს.

განხილულ საილუსტრაციო მაგალითებში ერთმანეთის მიმართ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების პოზიცია ერთნაირია: ოთხსავე შემთხვევაში მთავარი უსწრებს, დამოკიდებული მოსდევს მთავარს. მთავარი და ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადებების ასეთი მიმდევრობა ყველაზე ფართოდ არის რეალიზებული წოვათუშურში, თუმცა საკმაოდ ხშირია მათივე შებრუნებული წყობის შემთხვევებიც, მთავარში მოქცეული ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება კი ამ ენაში თითქმის არ გვხვდება.

დავასახელებთ მთავრისა და ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადებების შებრუნებული მიმდევრობის მაგალითებს:

1. **ჭჭჭ სომაქ ამაგ მა, ოჯუნ ბჷ ლეცემ ლაძტას** „ვისაც ჩემზე ამაგი აქვს, იმას ყოველთვის სიამოვნებით დავეხმარები.“
2. **მენუ ფსარე გაკვეთილმაქ ცო დარ, უჩიტლეს ოჯარგო თხა ბოდიშ ბჷოფითქ** „ვინც გუშინ გაკვეთილზე არ იყო, მასწავლებელმა იმათ დღეს ბოდიშში მოახდევინა.“
3. **ჰანუ შადრ დროჰ ცო გათოვნადიქ, ოჯარგო სიმძღ დაჰ დაყდალქ** „ვინც თავის დროზე არ გათოხნეს, იმათ სიმინდი გაუხმათ.“
4. **ის ქაგნო ჰჭჭჭ ჰალორ ხატინო და, ოჯახ ხატათ ის ამბუდ** „ეგ წიგნი ვისაც წაკითხული აქვს, იმას ჰკითხეთ ეგ ამბავი.“

მისათითებელი სიტყვა ირიბდამატებითი დამოკიდებულის შემცველ ჩვენს მიერ დამოწმებულ ყველა რთული წინადადების მთავარში სახეზეა, მაგრამ ზოგჯერ ის შეიძლება არც იყოს წარ-

მოდგენილი. ჩვეულებრივ ეს დამახასიათებელია გაბმული მეტყვე-
ლებისათვის, სადაც კონტექსტის მიხედვით მისი გათვალისწინება
ადვილია.

მაგალითად:

1. **ზორადში ქასტქ ეითნორ ნან, სტჩოჰჰ ძარიც საქმ** „ძალიან
მალე მიმხვდარიყო დედა, რაშიც იყო საქმე.“ (მიქელაძე 2011 –
107)
2. **ჰჭგო ნაყითნათხ, ჰამინაყ ზორადში ღოსხეთი ოც ბუსლოურ**
შეკრებქ ამბუდ „ვისაც გაგაგებინეთ, ყველას ძალიან გაუხარდა
იმდამინდელი შეკრების ამბავი.“ (მიქელაძე 2014 – 165)

III. უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება

ახლა, როცა წოვათუშური ენის ირიბი დამატებაც ქვემდებარე-
სა და პირდაპირ დამატებასთან ერთად ქართული ენის გრამატი-
კულ სქემაზე გადაერთო და პირის ნიშანი გაიჩინა, უბრალო დამა-
ტება უკვე უპირისპირებით შეგვიძლია დაუუპირისპიროთ სხვა სა-
ხის დამატებებს: პირდაპირსა და ირიბს. ასეთ შემთხვევაში რეალუ-
რია უკვე მისი შემდეგი განმარტება: „უბრალოა დამატება, რომე-
ლიც არ არის შეწყობილი ზმნის ობიექტურ პირთან.“

უბრალო დამატება ამ ენაში ჩვეულებრივ არსებითი სახელით
და ნაცვალსახელებით გადმოიცემა, ზოგჯერ კი – გაარსებითებუ-
ლი სხვა მეტყველების ნაწილებითაც. იგი უთანდებულოა, ან თან-
დებულოა. მისი ბრუნვებია: მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედები-
თი და გარდაქცევითი (ვითარებითი), კითხვებად კი დაესმის „ვინ?“

და „რა?“ კითხვითი ნაცვალსახელები იმ ბრუნვის ფორმით, რა ბრუნვის ფორმითაც თვითონ უბრალო დამატებაა გადმოცემული.

წინადადებაში უბრალო დამატება ძირითადად შემასმენელს ახლავს: **ჰაში დოიგ დახკქ** „სტუმრები ცხენებით მოვიდნენ“; გვგვდება წინადადების სხვა წევრებთანაც:

ქვემდებარესთან: **მასთხუაჲტ ბუჰ გამარჯვებევ დამთავრბად-ბაღ** „მტერთან ომი გამარჯვებით დამთავრდა.“

დამატებასთან: **გარმონმაქ თეფხარ ლამლოს** „გარმონზე დაკვრას ესწავლობ.“

განსაზღვრებასთან: **სიცხოგორქდა ქოთღალოჩჩო ჰაშიევ ქ ლე-ხორ** „სიცხისგან შეწუხებული სტუმრები ჩრდილს ეძებდნენ.“

გარემოებასთან: **ბნდერ ჩუ ხაყქ გაკვეთლი ლამაჲ** „ბავშვი დაჯდა გაკვეთილების სასწავლებლად.“

სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებთან ერთად წოვათუ-შურში აქტიურად ფუნქციონირებს უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება. უბრალოდამატებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს უბრალო დამატების როლს მთავარი წინადადების რომელიმე წევრის მიმართ, ან კიდევ ხსნის და აზუსტებს მთავარში მისათითებელი სიტყვით გადმოცემული უბრალო დამატების ზოგად მნიშვნელობას.

მაგალითად:

ჩტ უკვე სტემახევ ქოთღას, უხნ სქ საქმ მაჲ, ცო მა „ახლა უკვე ყველაფერზე ვწუხდები, რაც ჩემი საქმე არის და არ არის.“

მოცემულ შემთხვევაში მთავარი წინადადებაა **ჩტ უკვე სტემახევ ქოთღას** „ეხლა უკვე ყველაფერზე ვწუხდები“; დამოკიდებულია **უხნ სქ საქმ მაჲ, ცო მა** „რაც ჩემი საქმე არის და არ არის.“ საკორელა-

ციო სიტყვაა **სტემანეც** „ყველაფერზე“, კავშირად კი წარმოდგენილია მიმართებითი ნაცვალსახელი **უხნ** „რაც“. მთავარს დაესმის კითხვა **სტენას ქოთლას ჩც უკვე?** „რაზე ვწუხდები ეხლა უკვე?“

საანალიზო წინადადებაში საკორელაციო სიტყვა ასრულებს უბრალო დამატების როლს და კითხვასაც მთავარი წინადადება უბრალო დამატებისას დაისვამს, რის გამოც დამოკიდებული წინადადება არის უბრალოდამატებითი.

საგულისხმოა, რომ უბრალოდამატებითი დამოკიდებულის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების სარეალიზაციო სქემა თითქმის მთლიანად ემთხვევა ირიბდამატებითი დამოკიდებულის შემცველი ქვეწყობილისას, კერძოდ:

1. გვაქვს იგივე საკორელაციო სიტყვები:

ა) ჩვენებითი ნაცვალსახელები: ე „ეს“, ო „ის“, ის „ეგ“, ები / ებე“ „ესენი“, იფსი „ეგენი“, ობი „ისინი.“

ბ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელი: უმაც / ოუშმაც „ყველაფერი, ყველა.“

2. იგივეა კავშირებად გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელები: უხნა / უხნ „რაც“, მენა / მენნ „ვინც.“

3. იგივეა მთავრის მიმართი კითხვითი ნაცვალსახელები: მქ? „ვინ?“ , უხ? „რა?“

4. მეორდება საკავშირებელი, მისათითებელი თუ კითხვითი სიტყვების ბრუნვები: მიცემითი I (-ნ-სუფიქსიანი), მიც. II (-გო-სუფიქსიანი), მიც. III (-გო-სუფიქსიანი), მიც. IV (-ბ-სუფიქსიანი).

მიუხედავად აღნიშნულისა, ამ ორი სახის რთულ ქვეწყობილ წინადადებას შორის სერიოზულ განსხვავებას ქმნის ის გარემოება, რომ:

1. ირიბი დამატება ახლავს მხოლოდ ჰირიან ზმნა-შემასმენელს, უბრალო დამატება კი სინტაქსურ წყვილს ქმნის ჰირიან ზმნებთანაც და გაარსებითებული თუ გაზედსართავებული უბირო ზმნით გადმოცემულ სხვა წევრებთანაც წინადადებისა;

2. ირიბი დამატება მხოლოდ უთანდებულოდ იხმარება ყველა სხვის მიცემითში, უბრალო დამატება კი თანდებულისანიც გვხვდება ხშირად.

3. გარდა მიცემითი ბრუნვისა, უბრალო დამატება წოვათუ-შურში ხშირად გვხვდება სხვა ბრუნვაშიც: სახელობითში, მოთხრობითში, მოქმედებითში და ვითარებითში.

დავასახელებთ უბრალოდამატებითი დამოკიდებულის შემცველ რთული ქვეწყობილი წინადადების მაგალითებს:

1. **ოჯუნანანო** (თანდებულისანი მიცემითი – „იმას-თვის“)

გამეტებადოს ამსო დიენო ჩხოდრი, ჰანნა წანიშ გმარბაღ ჯეთე „იმისთვის“ გავიმეტებ ჩემ მოქსოვილ წინდებს, ვინც კარგი ხმარება იცის.“

2. **ოჯუნგორქ** (თანდებულისანი მიცემითი – „იმას-გან“) **სტენოს დანმარებ, ჰანნაქა ამაგ და სოგო „იმისგან“** გელოდები დანმარებას, ვისზეც ამაგი მაქვს.“

3. **დაჯო შეცდომ და ოჯუხ** (უთანდებულო მიცემითი – „იმას“) **თეშარ, მენე დანიშ ცო დაპწ ჰო** „დიდი შეცდომაა იმისი ნლობა, ვისაც კარგად არ იცნობ.“

4. **თინ ოჯუე** (უთანდებულო მოქმედებითი – „იმით“) **ამყებალა, უნე შადრო დადცა თაგდიენო** „თინა იმით ამყობს, რაც თავისი გაკეთებულია.“

5. **დალ ოჯულ** (უთანდებულო გარდაქცევითი – „იმაღ“) **მა**

გერწეებალასო, ჰანჯ დენლე ვალარ ნატროდო „დმერთი იმად
ნუ გადამაქცევს, ვინც სიცოცხლეში სიკვდილს ნატრობს.“

გარდა ზემო აღნიშნულისა, წოგათუშური ენის უბრალო დამატება ამავე ენის ირიბ დამატებასთან მიმართებით კიდევ ერთ არსებობითი ხასიათის განსხვავებას გვიჩვენებს. თავისებურება ამჯერად შემდეგში მდგომარეობს.

მიმღეობასა თუ საწყისთან ქვემდებარისებრ, პირდაპირობიექტისებრ თუ ირიბობიექტისებრ უბრალო დამატებად შეწყობილი სახელი ინარჩუნებს ფორმას იმავე ბრუნვებისა, რითაც ისინი (ქვემდებარე, პირდაპირი თუ ირიბი დამატება) უკავშირდებოდნენ პირიან ზმნას. შესაბამისად:

I. ქვემდებარისებრი უბრალო დამატება გარდამავალი ზმნის საწყისსა და მიმღეობასთან მოთხრობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, გარდაუვალი ზმნის საწყისსა და მიმღეობასთან – სახელობითში, ან მოთხრობითში;

II. იმავე კატეგორიის სახელებთან შეწყობილი ირიბდამატებისებრი უბრალო დამატება მუდმივად მიცემითშია, პირდაპირდამატებისებრი უბრალო დამატება კი ასევე ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია.

შდრ.:

1. ა) გარდამავალი ზმნის პირიანი ფორმა: **დადას აშენბადიქ**
„მამამ ააშენა.“

ბ) გარდამავალი ზმნის მიმღეობა: **დადას აშენბადიენო** „მამამ აშენებული.“

გ) გარდამავალი ზმნის საწყისი: **დადას აშენბადარ** „მამამ აშენება.“

2. ა) გარდაუვალი ზმნის პირიანი ფორმა: **ბადერ დოქე** „ბავშვი წაიქცა.“

ბ) გარდაუვალი ზმნის მიმღეობა: **დოქენო ბადერ** „წაქცეული ბავშვი.“

გ) გარდაუვალი ზმნის საწყისი: **ბადერ დოქარ** „ბავშვი ისწავლა.“

ანალოგიური ვითარება გვაქვს ირიბსა და პირდაპირ დამატებებთან მიმართებითაც.

აღნიშნული ვითარება, ცხადია, სათანადო გავლენას ახდენს ქვემდებარისებრი, ირიბდამატებისებრი თუ პირდაპირდამატებისებრი უბრალოდამატებითი დამოკიდებულის შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში წარმოდგენილი საკორელაციო, საკავშირებელი თუ კითხვითი ნაცვალსახელის ფორმაზე. კონკრეტული ვითარების მიხედვით ეს ნაცვალსახელები სახელობით ბრუნვაშიც შეგვხვდება, მოთხრობითშიც და მიცემითშიც.

მაგალითად:

I. მთავარში წარმოდგენილი მისათითებელი ნაცვალსახელი მოთხრობით ბრუნვაშია:

ოჯუს („იმან“) **ჩუქბადიენო ჟაგნო დეწქ სოქ**, **ჰანნა ჟაგნუმ მახხეციტა** „იმან ნაჩუქარი წიგნი მინდა, ვინც წიგნის ფასი იცის.“

II. მისათითებელი ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაში:

სოქ ო („ის“ – სახ. ბრ.) **ალო ლეც, ვუნე შუგო თხალომცქ ცოჰანე ალოდა** „მე ის (იმის) თქმა მინდა, რაც თქვენთვის დღემდე არავის უთქვამს.“

III. **აჰ ოჯუნ** („იმას“) **ლატარ ლოყდინა, ჰანნა გენაყ ცომენა**

ლექტი „შენ იმას (იმის) დახმარება მოიმდომე, ვისაც სხვა არა-
ვინ ეხმარება.“

გარდა მიმართებითი ნაცვალსახელებისა, უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს ხშირად უერთება მაქვემდებარებელი მწ „რომ“ კავშირით.

მაგალითად:

1. **სოქ შუგრო ო** („ის“) **ხაყითა ლეყ, მწ ის საქმ ჰალო ცო თაგლა**
ჩც „მე იმის გაგებინება მინდა თქვენთვის, რომ ეგ საქმე არ გა-
კეთდება ახლა.“

2. **ტყვენი დენიჰ-ბუსუ ოჯუხ დაკლევირ, მწ ბანკერქ მოჰეცდა**
შუენ დეწერ აჰდალან „ტყვეები დღემდე იმაზე ფიქრობდნენ,
რომ როგორმე ბანაკიდან უნდა გაპარულიყვნენ.“

3. **სე ნანგო ოჯუფ გასქა მიჩე მარ, მწ თხო ნიფსინო ნაყმაქ**
ოთდორალორ – სწავლო-განათლებ ლორალორ თხო „დღეაჩემს
იმის შესძლებლობა სად ჰქონდა, რომ ჩვენ სწორ გზაზე დავე-
ყენებინეთ – სწავლა-განათლება მოეცა ჩვენთვის.“ (მიქელაძე
2014 – 70)

მთავართან დასაკავშირებლად აღნიშნული სახის დამოკიდე-
ბულში ზოგჯერ ერთდროულად გვხვდება ესა თუ ის მიმართებითი
ნაცვალსახელიც და კავშირი მწ „რომ.“

მაგალითად:

1. **ოჯუნანანო ცო გამეტბადმომაკ სოქ ცჰანანცჰა მანნი მოჰ,**
ჰანნა მწ ფსტუმნ ღაზიშ გაგმა ცო მაკე „იმისთვის ვერ
გავიმეტებ ჩემს ერთადერთ ქალიშვილს, ვისაც რომ ქალის
კარგად შენახვა არ შეუძლია.“

2. **სოქ ოჯუნანანო მეტბალა დაჩოკ სიკეთე, ჰანნა მწ ო**

დაფასბადან გეთუ, დაჰ ცო დიცლა „მე იმისთვის მეშეგება მხოლოდ სიკეთე, **ვინც რომ** მისი დაფასება იცის და არ იფიქრებს.“

როგორც ყველა სხვა სახის დამოკიდებული, უბრალოდამატებითი დამოკიდებულიც უშეტეს შემთხვევაში მოსდევს მთავარს. ასეთია მთავრისა და უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადების პოზიციური ურთიერთმიმართება ჩვენს მიერ დასახელებული უბრალოდამატებითი დამოკიდებულის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების ყველა მაგალითში.

მიუხედავად აღნიშნულისა, მოცემული სახის დამოკიდებული წინადადება მთავრის წინა პოზიციაშიც ხშირად გვხვდება, მთავრის შიდა პოზიციაში კი ის ძალიან იშვიათად ფიქსირდება.

მაგალითები, სადაც უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის წინა პოზიციაშია:

1. **ჰანნი იმედ მარ სოგო დანმარბქ, ჰამიგორქდაჰოყ უარ მიღებადინას** „ვისიც იმედი მქონდა მე დანმარებისა, ყველასგან უარი მივიღე.“
2. **უნე მუ ცომაცნუ ჰალო ცო ასრულბალა, ოჯახ დაკლევარ მაცრ გოწოლო მოთ სო** „რაც რომ არასოდეს ასრულდება, იმაზე ფიქრი დიდი სისულელე მგონია.“
3. **მენუ მუ ჩუჰ დაგურ ყოწო ბუჰლო, ოჯუგორქდა ხეყ სო** ის ამბუჟ „ვინც რომ შიგ ერია ახალგაზრდობის ჩხუბში, იმისგან გავიგე ეგ ამბავი.“

§22. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მთავარი წინადადების არსებითი სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს, ან კიდევ გადმოგვცემს ასეთ წევრთან განსაზღვრებად დაკავშირებული მისათითებელი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარსს. მოცემული სახის დამოკიდებული წინადადება მოგვიგებს განსაზღვრების კითხვებზე, კერძოდ:

მენუხ? „რომელი?“, **მოლუ?** „როგორი?“, **მელ?** „რამდენი?“, **ჰანნი?** „ვისი?“, **სტინი? / სტენი?** „რისა?“, **მიჩრქ?** „საიდან? / სადაური?“, **მაცლუ?** „როდინდელი?“, **სტენაირ?** „რანაირი?“ ...

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კორელატივად გვხვდება სათანადო ჩვენებითი ნაცვალსახელები: ე „ეს“, ო „ის“, ის „ეგ“, იშტუ „ასეთი“, ოშტუ „ისეთი“, ეჯუმფლუ „ამდენი, ამხელა“, ოჯუმფლუ „იმდენი, იმხელა“, ეჯნაირ „ამნაირი“, უჯნაირ „იმნაირი“, ეჰათლუ „მაშინდელი“ ...

დამოკიდებული წინადადების მთავართან მიმართებას ყველაზე ხშირად მაქვემდებარებელი კავშირი მუ „რომ“ გამოხატავს, მაგრამ სათანადო შემთხვევაში ასევე ხშირად ასრულებს იმავე ფუნქციას მიმართებითი ნაცვალსახელები:

მენუხან „რომელიც“, **მოლუნან** / **მუდლუნ** „როგორიც“, **მელუნ** „რამდენიც“, **ჰანნი** / **ჰანან** „ვისიც“, **სტინი** / **სტენი** „რისიც“, **მიჩრუნან** „სადაურიც“, **მაცლუნან** „როდინდელიც“, **მელან** / **მელუნ** „რამდენიც“, **სტენაირან** „რანაირიც“ ...

მაგალითად:

ოშტუ ლამზურ ლევდორ ნიფანი შიკეც, მუ ჰეჭუშ ცო

ნაპამაკრალო აღმენენ „ისეთი ლამაზი ყოფილიყო ნეფიონი (ნეფე და პატარძალი), რომ ყურებით ვერ გაძღებოდა თურმე ადამიანი.“ (მიქელაძე 2011 – 107)

მოცემულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია: **ოშტუქ ლამზურ ლევდორ ნიფანი შიკეც** „ისეთი ლამაზები ყოფილიყვნენ ნეფე-პატარძალი ორიენი“; დამოკიდებულია **მე ჰეჭუშ ცო ნაპამაკრალო აღმენენ** „რომ ყურებით ვერ გაძღებოდა თურმე ადამიანი.“

კორელატია ჩვენებითი ნაცვალსახელი **ოშტუქ** „ისეთი“, რომელიც მთავარ წინადადებაში ასრულებს განსაზღვრების როლს; დამოკიდებული წინადადება პასუხობს განსაზღვრების კითხვაზე **მიოლუქ? „როგორი?“**

ყველა მოცემული ნიშნის მიხედვით განხილული დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია.

ანალოგიურად ქართულისა, განსაზღვრება წოგათუშურში ორი სახისაა: ატრიბუტული და სუბსტანტიური. საზღვრულთან ურთიერთობის თვალსაზრისით ორივე სახის განსაზღვრება გარკვეულ თავისებურებას გვიჩვენებს საკვლე ენაში. ატრიბუტული განსაზღვრების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარდა სახელობითისა, ყველა სხვა ბრუნვაში –**ჩო** სუფიქსს დაირთავს და უბრუნვისნიშნოდ შეეწყობა საზვრულს. რაც შეეხება სუბსტანტიურ განსაზღვრებას, ის სახელობითში საზღვრულს ნათესაობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა, სხვა ბრუნვაში კი ნათესაობითი ბრუნვის ფუძის სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნული გარემოება, ცხადია, სათანადო გაგლენას ახდენს კორელატებისა თუ საკავშირებელი სიტყვების ფორმაზე.

მაგალითად:

ოშტუ-ჩრ სტაკ იმედ და სოგო, ჰანი ვაჟკაცბქ ამბუჲ ჰამინასუ ხაწენა „ისეთი კაცის იმედი მაქვს, ვისიც ვაჟკაცობის ამბავი ყველას გაგონილი აქვს.“

მოცემულ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელი **ოშტუ** „ისეთი“ საზღვრულის ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან ჩო-სუფიქსიანი უბრუნვისნიშნო ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო მიმართებითი ნაცვალსახელი **ჰანი / ჰანა** „ვისიც“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს კითხვითი ნაცვალსახელისა **ჰანა?** „ვისი?“

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება უშეტეს შემთხვევაში მოსდევს მთავარს, ნაკლებად გვხვდება მთავრისწინა პოზიციაში, ხოლო რაც შეეხება მთავრისშუა პოზიციას, აქ ის, სხვა სახის დამოკიდებულთაგან განსხვავებით, საკმაოდ ხშირად ფიქსირდება.

მაგალითად:

ა) განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის მომდევნო პოზიციაში.

1. **ოშტუ ნიჭიერ ვანორ ტატო, მუ ჰამივასუ გადაწყვეტადინორ ო დამღ სანღვარგარეთ ჰაჭვარ** „ისეთი ნიჭიერი ყოფილიყო ტატო, რომ ყველას გადაეწყვეტა მისი სასწავლებლად საზღვარგარეთ გაგზავნა.“ (მიქელაძე 2011 – 132)

2. **ოშტუ მაწრწ დანარ ლევდორ ი ნახგო ვაშიცრ ეჰათ, მუ დანიხ თამარ მეფე მათხონ დადრალორ** „ისეთი ტკბილი ცხოვრება ჰქონოდა ამ ხალხს ერთმანეთთან მაშინ, რომ ყველანი თამარ მეფის მხეს ფიცგულობდნენ თურმე.“ (მიქელაძე 2014 – 198)

3. **ო პირობ დაჰ მამაცნე დიცომო, უნე ყოწლე მაღლორაჰ სო** „იმ პირობას ნურასოდეს დაივიწყებ, რაც ახალგაზრდობაში მომეცა.“

4. **ოჯუწ იმედ მარ თხოგო, უბნერერო ბანდრიგო, მე ბამო მამამჰ დედმიწ გოგინ მერწარ ცო დეჰლარ თხოგო** „იმის იმედი გექონდა ჩვენ, უბნელ ბავშვებს, რომ მთვარის შუქზე დედამიწის შემოტრიალება არ გამოგვეპარებოდა“. (მიქელაძე 2014 – 166)

ბ) განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის წინა პოზიციაში:

1. **ჰანე ღაზიშ დამოდო, უც ბანდრინ სკოლას ქებჰ სიგელი დარიგბადიქ** „ვინც კარგად სწავლობს, იმ ბავშვებს სკოლამ ქების სიგელები დაურეგა.“

2. **მაცნე ყენა, ბახა ცო ხილუგე, ოშტურო დროჰ მახა ლეყერ სო** „როდესაც ღარიბი და მდიდარი აღარ იქნება, ისეთ დროში მინდოდა ცხოვრება.“

3. **მიჩჰე იჯნო და, უც ნაყმაქ დუღ თხილოშ ლელდებათ!** „სადაც მკვეთრი დახრილობაა, იმ გზაზე ცხენები ფრთხილად ატარეთ!“

გ) განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის შუაში:

1. **ჰეტქო ო ნაჭერ, სტენნმაქა სოგო ქოკ ლათერ, ხიე შარნ დოტმორ** „ზეაგის ის ნაჭერი, რომელზედაც მე ფეხი მედგა, წყალს მიჰქონდა.“ (მიქელაძე 2014 – 43)

2. **ო ლეკა სტაკგო, ჰანე ო ბანდერ დატლიწ, ზორამში ღაზინო დაკაფ ფსტუ გუმალიქ** „იმ ლეკის კაცს, ვინც ის ბავშვი

მოიტაცა, ძალიან კარგი გულის ცოლი აღმოაჩნდა.“ (მიქელაძე 2011 – 118)

3. ო ფსტუმნო, ჰანი ამბუდ მეფცორ სოგო ნანას, წარო მახრალოჟ, მეჰირ წერალო „ის ქალი, ვის ამბავსაც მიყვებოდა დედა, წაროში ცხოვრობდა თურმე და მეჰირი რქმეოდა.“ (მიქელაძე 2011 – 143)

§23. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავართან ფუნქციური თუ პოზიციური მიმართების იმავე პრინციპებით რეალიზდება, რაც გვქონდა ქვემდებარული, დამატებისებრი თუ განსაზღვრებითი დამოკიდებულის შემთხვევაში და ფიქსირდება იმდენივე სახის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რა სახეებიც გააჩნია თვითონ გარემოებას; გვაქვს: დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება, ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება, ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება, მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება და მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

1. დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება

დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს დროის გარემოების როლს მთავართან მიმართებით, ან კიდევ ხსნის და აზუსტებს მთავარში მისათითებელი ზმნიზედით

გადმოცემული დროის გარემოების ზოგად მნიშვნელობას. მისი კითხვებია:

მაცა? „როდის?“, მაცლომცა? „როდემდე?“, მაცალოლო? „როდღიდან?“, მელ ხანე? „რამდენ ხანს?“

მთავარში კორელატებად გვხვდება შემდეგი ზმნიზედები: **ჩტ** „ენლა“, **ეჭათ** „მაშინ“, **ლუდახ** „წედან“, **ჩტლოლო** „ამიერიდან“, **ეჭათლოლო** „მაშინდღიდან“, **ლუდახლოლო** „წედანდელიდან“, **ჩტლომცა** „აქამდე, ამ დრომდე“, **ეჭათლომცა** „იქამდე, მანამდე, იმ დრომდე“, **ოკუმფლეერ ხანე** „იმდენ ხანს“, **იკუმფლეერ ხანე** „მაგდენ ხანს“, **ეკუმფლეერ ხანე** „ამდენ ხანს“ ...

მთავართან დამოკიდებულის საკავშირებელ ძირითად საშუალებას კავშირი **მე** „რომ“ წარმოადგენს. კონკრეტული ვითარების მიხედვით იმავე ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე მიმართებითი ზმნიზედები: **მაცნე** „როდესაც, როცა“, **მაცლომცინა** „როდემდეც“, **მაცალოლინა** „როდღიდანაც“, **მელ ხანეჰა** „რამდენ ხანსაც“ ...

მაგალითად:

1. მარა ღანა მოც ეჭათ დარ, ბაცბიე ბაცბრათ მე ამბუდ მორ „როგორი ძალიან დიდი კარგობა იყო მაშინ, თუშები (ბაცბები) თუშურად (ბაცბურად) რომ ღაპარაკობდენ.“
(მიქელაძე 2011 – 194)

მოცემულ რთულ ორშემადგენლიან წინადადებაში მთავარია **მარა ღანა მოც ეჭათ დარ** „როგორი ძალიან დიდი კარგობა იყო მაშინ“; დამოკიდებულია **ბაცბიე ბაცბრათ მე ამბუდ მორ** „თუშები თუშურად რომ ღაპარაკობდენ.“

დამოკიდებული წინადადება ჰასუხობს დროის გარემოების კითხვაზე **მაცტ დარ ღანან?** „როდის იყო კარგობა?“ და ხსნის მისათითებელი ეჭათ „მაშინ“ ზმნისზედის ზოგად მნიშვნელობას.

დასახელებული ყველა ნიშნის მიხედვით განხილული დამოკიდებული წინადადება დროის გარემოებითია.

2. **ტყუაჰსტლოჲ სადღეგრძელო ლეგბორალო თამდეს, მაცტნ მატ ლეკი გეთჲ ეცმაჲ სუფრენ გოგის ლედახკჲუმენ** „ბოლო სადღეგრძელოს ამბობდა თურმე თამადა, როდესაც თავს ლეკები დაესხნენ მწვანე მოლზე სუფრის გარშემო მსხდომარეებს.“ (მიქელაძე 2011 – 109)

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **ტყუაჰსტლოჲ სადღეგრძელო ლეგბორალო თამდეს** „უკანასკნელ სადღეგრძელოს ამბობდა თურმე თამადა“; დამოკიდებულია **მაცტნ მატ ლეკი გეთჲ ეცმაჲ სუფრენ გოგის ლედახკჲუმენ** „როდესაც თავს ლეკები დაესხნენ მწვანე მოლზე სუფრის გარშემო მსხდომარეებს.“ მთავარ წინადადებას აკლია კორელატი, ანუ არა აქვს დროის გარემოების ამსახველი წევრი, რის გამოც მას დაესმის დროის გარემოების კითხვა **მაცტ ლეგბორ თამდეს ტყუაჰსტლოჲ სადღეგრძელო?** „როდის ამბობდა თამადა უკანასკნელ სადღეგრძელოს?“

დასმულ კითხვაზე ჰასუხს იძლევა დამოკიდებული წინადადება, ანუ ის ასრულებს დროის გარემოების როლს მთავართან მიმართებით. ყველა ნიშნის მიხედვით განხილული დამოკიდებული წინადადება დროის გარემოებითია.

საგულისხმოა, რომ დროის გარემოებითი დამოკიდებულის შემცველი ქვეწყობილი წინადადება სხვებთან შედარებით გაცილებით მეტი სინშირით ფუნქციონირებს წოვათუშური ენის ზეპირ-

მეტყველებასა თუ წერილობითს წყაროებში, რაც შეპირობებული უნდა იყოს იმ განსაკუთრებული როლით, რაც დროის ფაქტორს უკავია ადამიანის პირადსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება სამსახვე პოზიციაში ფიქსირდება მთავრის მიმართ: თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც.

მაგალითად:

ა) დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის მომდევნო პოზიციაში:

1. **მუყმათღე ლევედორ, მაცნე წიგორ ნაყე უპ ღენი ლაჟმჟ დეღტნიში მეღორნ წყარუღგო ჯაღნორ** „შუადღე ყოფილიყო, როცა წინაგორის გზით იმ ღღეს მთაში მიმავლებმა მეღორის

წყაროს მიაღწიეს.“ (მიქელაძე 2011 – 108)

2. **სწორეთ ეჭათ სტაბო ლევედორ, მაცნე ზაღრზენინ დაღქრნ ზურბეს ჰაჭღიენო მარჭკეღ ოთნორ სჭგო** „სწორედ მაშინ შემოდგომა ყოფილიყო, როცა ზარიძეებს აბაშიძე ზურაბის გაგზავნილი მაჭანკალი მისდგომოდათ კარს.“ (მიქელაძე 2011 – 107)

3. **ეჭათ ცუღ თეღერ, მაცნე მჟ ათხა ზურიტა იხორა** „მაშინ არ სჯობდა, როცა რომ ზურეტში დავდიოდით.“ (მიქელაძე 2011 – 163)

4. **თხნ ტყოც დაკე ჰეჭყო სო, მაცნე ოჯუღ ნატყირნღქ ბჭარკი დაკიხო სო** „ღღესაც ისევე გული მიჭერს (მტკივა), როცა მისი ცრემლიანი თვალები მაგონდება.“ (მიქელაძე 2011 – 55)

ბ) დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის-
წინა პოზიციაში:

1. **მაცნე ბშივ ვასერ ჰათსბან ვაჭ ბანც ფუჰენობიფ, ლეგრო ოჯხე
ლანზრენ ვამზნორ ვახარ, ვაგუამრო ვაშენ** „როდესაც ომში

კატების გაგზავნაზე წილი ეყარათ სოფლელებს, ლეოს ოჯახ-
ში ლანზარს შეხვედრია წასვლა, უფროს ძმას.“ (მიქელაძე 2011
– 129)

2. **მაცნე ვაჭობ ჰერჩეშ ნან დაჰ მალმალტ, დიჯათ, ცო ქასტლაშ
მაქ ვახნო'ერ დად ვაჭონ, ჭჷალოშ, ვაჟკამცრათ დაჰან ჰადრზნორ**
„როცა შეილის ხვევით დედა დაიღალა, დინჯად, აუჩქარებ-
ლად მისულიყო მამა შეილთან და მაგრად, ვაჟკაცურად ჩაეკ-
რა გულში.“ (მიქელაძე 2011 – 121)

3. **სავარძლან ნებასკეჩო ვაჭრილორქ მაცნე გამომახბადგუმანი
ცომენ ვისქ, სანიგო ქოკიმაქ ლათინი სუმიშ დაკლევადგინორ**
„სავარძლებში მსხდარ ვაჭართაგან როცა გამოსამახებელი
აღარავინ დარჩა, კარებთან ფეხზე მდგარი სიმონი მოეკით-
ხათ.“ (მიქელაძე 2014 – 155)

4. **სანამ ას იფსი დაკლეგდორას, ო ნარჭიშ დოფხდალოჩო ნახტ
ალზან დაჰ თილოქ სოს** „სანამ მე მაგეებს ვფიქრობდი, ის
შეადრხაცმული ადამიანების მდინარე (ალაზანი) გამცდა.“
(მიქელაძე 2014 – 177)

5. **უნე ათხ რუსთილოქ ალუმან ჩამოსახლბადამლნათხ, ეჰათ-
დოლოქ დუე დრო მახქ** „რაც ჩვენ ალვანში ჩამოვსახლდით რუ-
სეთიდან, მაშინდლიდან დიდი დრო გავიდა.“ (მიქელაძე 2014 –
69)

გ) დროისგარეშობითი დამოკიდებული წინადადება მთავრის შუა პოზიციაში:

1. **ჩტა'ე, მაცნე შეგო ე დაშნი დეფტოს, ოშტიც ო ბჟარკიე**

ნათბადო სოქ სახეს, ბახო ბჟარკიე... „ახლაც, როცა მის ამ სიტყვებს გადმოგცემთ, ისევე ის საოცარი თვალეები მინათებენ სახეს, ბახვას თვალეები...“ (მიქელაძე 2014 – 29)

2. **ქიქოც, მაცნე ლეკიანობ მარ, დუღ მოსქ ამბუდ თეგლარ**

„წინათ, როცა ლეკიანობა იყო, ბევრი ცუდი ამბავი ხდებოდა.“ (მიქელაძე 2011 – 118)

3. **წყე, მაცნე ტატო ოპერე ლევეორ, სცენენმაქ ნიკლოზქ**

სურათ მეცნორ „ერთხელ, როცა ტატო ოპერაში ყოფილიყო, სცენაზე ნიკოლოზის სურათი შემოეტანათ.“ (მიქელაძე 2011 – 133)

4. **ეჰათდოლოქ, სკოლას მუ დიკრათვად ექსკურსიენმაქ, სო მცხე-**

თა ცო ხილენმაგ „მას შემდეგიდან, სკოლამ რომ ექსკურსიაზე წაგვიყვანა, მე მცხეთაში აღარ ვყოფილვარ.“

5. **ეჰათ, ათხ მუ კაწოქ ბაკალ ჰომ რუსუდან მაგან დახერ, ო**

მოსქქ შარში დარ „მავს შინ, ჩვენ რომ ცოტაოდენი საჭმლით რუსუდანის სანახავად წავედით, სწორედ ის გაუსაძლისი წლები იყო.“ (მიქელაძე 2011 – 52)

დროისგარეშობით დამოკიდებულ წინადადებასა და მის მთავარს ხშირად მოეპოვებათ საერთო სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია ორივეში და იგულისხმება წინა ნათქვამისა თუ ზმნის პირიან ფორმათა მიხედვით; ხშირად ასეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა საერთო სიტყვა დასახელებულია ერთ-ერთში, მეორეში კი იგულისხმება.

მაგალითად:

1. მაცნე ჰალ ქორთმი დიქ, ლე ო „ბრადიაგ“ ცო ლევეგოვერ ოსიჰე, ლე ოჯუფ ბანჯგლანრქ ფჰუ „როდესაც თავები ასწიეს, აღარც ის „ბრადიაგა“ ყოფილიყო იქ და აღარც მისი ბანჯგვლიანი ძაღლი.“ (მიქელაქე 2011 – 25)
2. ტატო მენ დამდნ საფრანგით ვახერ, ეჰათ იცხუნანანო უმს ცომენან იხორ „ტატო რომ სასწავლებლად საფრანგეთში წავიდა, მაშინ მაგისტრის იქ არაგინ დადიოდა.“
3. ოუმაც მოკითხოდინას, მაცნე ჰაშილორ ჩუ იგნას „ყველა მოვიკითხე, როცა სტუმრებში შევეერიე.“

II. ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს მთავარში გამოტოვებული ადგილის გარემოების როლს, ან ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედით გადმოცემული ადგილის გარემოების ზოგად მნიშვნელობას.

ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების კითხვები: **მიჩე?** / **მიჩუხ?** „სად, რა ადგილას?“, **მიჩრენა?** „საიდან?“, **მიჩემცა?** „სადამდე?“, **მიჩივჰ?** „საითკენ?“

მთავარ წინადადებაში კორელატებად გვხვდება მისათითებელი ზმნიზედები: **ესე** „აქ“, **ისი** „მანდ“, **ოსი** „იქ“, **ესერნ** „აქედან“, **ისირნ** „მანდედან“, **ოსირნ** „იქიდან“, **ესემცა** „აქამდე“, **ისიმცა** „მანდამდე“, **ოსიმცა** „იქამდე“, **ესემჰ** „აქეთკენ“, **ისიგჰ** „მანდეთკენ“, **ოსიგჰ** „იქითკენ“.

ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავარ-თან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირი **მე „რომ“** და მიმართდები თი ზმნიზედები **მიჩქე „სადაც“**, **მიჩრენაჰჰ „საიდანაც“**, **მიჩეცინს „სადამდეც, სადამდისაც“**, **მიჩეგჰჰ „საითკენაც“**.

მაგალითად:

1. **ალუმნ ბალუმნ შიგო, ოჯუმ ნაყბისტა შუე ჟევაჰ ოსი**

ბინებალარ, მიჩქე უჩი ხილურ „ალგანში მომავალი შიო და მისი ამხანაგი თავიანთი ცხვრითვე იქ ბინავდებოდნენ, სადაც დაულამდებოდათ.“ (მიქელაძე 2014 – 51)

2. **დაჰ ოთოდებალ ი ლამზურ თეფშა, მიჩქე გენი თეფში დატიც!**
„გადადგი რა ეს ლამაზი თეფშიც, სადაც სხვა თეფშები ალაგია!“

მაგალითად დასახელებულ პირველ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **ალუმნ ბალუმნ შიგო, ოჯუმ ნაყბისტა შუე ჟევაჰ ოსი ბინებალარ** „ალგანში მომავალი შიგო და მისი ამხანაგი თავიანთი ცხვრითვე იქ ბინავდებოდნენ“; დამოკიდებულია **მიჩქე უჩი ხილურ** „სადაც დაულამდებოდათ“. მთავარ წინადადებაში გვაქვს კორელატი, ადგილის ზმნიზედა **ოსი „იქ“**; დამოკიდებული წინადადება პასუხობს ადგილის გარემოების კითხვაზე **მიჩე ბინებალარ შიგო, ოჯუმ ნაყბისტა?** „სად ბინავდებოდნენ შიო და მისი ამხანაგი?“ და აზუსტებს კორელატის ზოგად შინაარსს. ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით მოცემული დამოკიდებული წინადადება ადგილის გარემოებითია.

მეორე ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **დაჰ ოთოდებალ ი ლამზურ თეფშა** „გადადგი რა ეს ლამაზი თეფშიც“, ხოლო დამოკიდებულია **მიჩქე გენი თეფში დატიც** „სადაც სხვა თეფშები ალაგია“.

მთავარში არა გვაქვს ადგილის გარემოება, დამოკიდებული წინადადება კი პასუხობს ადგილის გარემოების კითხვაზე და ასრულებს იმავე წევრის როლს მთავრის მიმართ, რის გამოც ის ადგილისგარემოებითია.

ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება სამსავე პოზიციაში ფიქსირდება მთავრის მიმართ: თავშიც, შუაშიც და მომდევნოდაც, თუშეცა ყველაზე ხშირად მომდევნო პოზიციაში ფუნქციონირებს.

მაგალითად:

ა) ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის მომდევნო პოზიციაში:

1. **ღუგ ნახ თიფურ ჰათხეც უმსი, ხუნ ქონმხხ, მიჩჰე ჩც ტბათინაჲ მსქ გორკნი ლათე** „ბეგრი ხალხი ისვენებდა წინათ იქ, ხის ქონმხეხში, სადაც ახლა ტბათანის ცარიელი გორები დგას.“

2. **ოსიმცჳ ლილნათხ თუშით დანჳ მანქანეც, მიჩრენაჰო უკვე აღმართჳ მებლოარ** „იქამდე ვიარეთ თუშეთში ასასვლელად მანქანით, საიდანაც უკვე აღმართი იწყებოდა.“

3. **კახითაჲ მეფე ბაცბინ დანჳ ადგილ მალორეს ოსიმცჳ შეპირბადვლოჲ, მიჩემცინჳ აღნირნა ხახკაჩო დონენ ბანმაკერ** „კახეთის მეფე თუშებს საცხოვრებელი ადგილის მიცემას იქამდე შეჰპირდა, სადამდეც აღვნიდან გაჭენებული ცხენი ივლიდა.“

ბ) ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის წინა პოზიციაში:

1. **მიჩჰე ცო დიგო, უმს ცომ დაცმაკ ჰო** „სადაც არ დათეს, იქ ვერაფერს მოიმიკი.“

2. მიჩვეულებად მოღვაწის, მიხმაც საქმ ჩაშლადმოლო
სოგო „სადაც მუშაობა დაფიწყე, ყველგან საქმე ჩამეშალა.“

3. მიჩვეულებად მკერ სო ლელა, ოსიმცა ლინხას ბავინო დეტ
მძღრე „სადამდეც შემეძლო სიარული, იქამდე ვეძებე მინ-
დორში დაკარგული ძროხა.“

გ) ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავ-
რის შუაში.

როცა ადგილის გარემოებითი დამოკიდებული მთავრის შუა-
შია და საკავშირებელ საშუალებას მიმართებითი ზმნიზედა წარ-
მოადგენს, ის თითქმის ყოველთვის წვეგრკავშირით იწყება და უშუ-
ალოდ მოსდევს კორელატს:

მაგალითად:

1. ოსი, მიჩვეუ „ვეფხისტყაოსნ“ დეხკლარ, მხაჩ რიგ ლათერ „იქ,
სადაც „ვეფხისტყაოსანი“ იყიდებოდა, გრძელი რიგი იდგა.“

2. ოსიმცა, მიჩვეუ შობა ფუჟე ბა, მანქანჩ ნიყ ცო ბუძტუ „იქამდე,
სადაც ფშავლების სოფელია, სამანქანე გზა არ მიდის.“

3. ოსირნა, მიჩვეუ ვამ დუძტუ ჰაშედ, სო ქუძათათ დუხ ცო მაცმაკე
„იქიდან, სადაც ჩვენ მივდივართ სტუმრად, მე ფეხით უკან ვერ
დავებრუნდები.“

მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგჯერ გვხვდება ისეთი შემ-
თხვევებიც, როცა ამგვარი მიმდევრობა დარღვეულია.

მაგალითად:

ოსი, თიშიჩო თეატრე შენობ მიჩვეუ ლათრიც, იუსტიციე წა

თავდიე „იქ, ძველი თეატრის შენობა სადაც იდგა, იუსტიციის
სახლი ააშენეს.“

საგულისხმოა, რომ კავშირის პოზიციური განაწილების მხრივ საპირისპირო ვითარება იქმნება, როცა ადგილისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს მაქვემდებარებელი მქ „რომ“ კავშირით უერთდება: ეს კავშირი არასოდეს დგას დამოკიდებულის თავში, ანუ არასოდეს იწყებს მას. ასეთი ვითარება გვაქვს ყოველთვის, სულ ერთია, დამოკიდებული მოსდევს მთავარს, უსწრებს, თუ მთავრის შუაშია მოქცეული. შიდა:

1. **დადას ვენა გ გაშენბადიძე ოსი, ჰათხეც მქ მასე სტკო ლათერ**
„მამამ ვენახი გააშენა იქ, წინათ რომ ცარიელი ეზო იდგა.“
2. **აჰ მქ თიგა მკრაჰ სო, დუხანე ცო მძიკმაკა სო ოსი** „შენ რომ დასასვენებლად წამიყვანე, დიდხანს ვერ გაფრედი იქ.“
3. **დგას ოსი, ფჰე ქორთის მქ ლამზურ გორნაკ ლათე,**
ხთიშობელ მამრამქ საყდარ თავდიქ „დინგამ იქ, სოფლის თავში რომ ლამაზი გორა დგას, მარამ დვთიშობლის ეკლესია ააშენა.“

იმდენად აქტიურია მქ „რომ“ კავშირის როლი ადგილის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში, რომ ის ნებისმიერ შემთხვევაში პარალელურად შეიძლება ახლდეს საკავშირებლად გამოყენებულ ამა თუ იმ წევრ-კავშირს.

მაგალითად:

უმრენვ, მიჩჰე მქ ლეთხა იხუმნ სტაკ ლათერ, წშამქო დახანკო
დექარ ხაძწორო ლეკინ „იქიდან, სადაც რომ მოცეკვავე კაცი იდგა, უცებ შურთხის ხმიანობა გაეგოთ ლეკებს.“ (მიქელაძე 2011 – 178)

III. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

გასაგები მიზეზით, ადგილის გარემოებითი დამოკიდებულის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება ნაკლები სიხშირით ფუნქციონირებს წოვათუშური ენის წერილობით წყაროებში, რაც ზედმიწევნით დაფიქსირდა მასზე მსჯელობისას დამოწმებული მაგალითების მიხედვით; მხედველობაში გვაქვს ამჯერად ის გარემოება, რომ დასახელებულ მაგალითებში მხოლოდ ერთია წერილობითი წყაროებიდან ამოღებული. საპირისპიროა ამ მხრივ მდგომარეობა ვითარების გარემოებითი დამოკიდებულის შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებასთან დაკავშირებით, რაც იმაში გაცხადდება, რომ ყველა საანალიზო მაგალითი ახლა უკვე წერილობითი წყაროებიდან იქნება ამოღებული.

ვითარების გარემოება სხვა სახის გარემოებებთან მიმართებით გარკვეულ თავისებურებას გვიჩვენებს იმ მხრივ, რომ ის მნიშვნელობის მიხედვით მრავალფეროვანია. მასში გარდა საკუთრივ ვითარების გარემოებისა, პირობით აერთიანებენ მნიშვნელობის მიხედვით მასთან ახლო მდგომ სხვა გარემოებებსაც, როგორცაა ზომა-ოდენობისა და ჯერობის გარემოებები. აღნიშნული ვითარება თავის მხრივ, ცხადია, სათანადო ასახვას პოულობს ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების შინაარსობრივ მრავალფეროვნებაში. შესაბამისად: ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც გამოხატავს მსგავსება-შედარებას, როგორობას, ზომა-ოდენობასა თუ ჯერობას იმ მოქმედებისა, რაც გადმოცემულია მთავარ წინადადებაში.

მთავარ წინადადებაში, რომელსაც ერთვის ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, კორელატებად გვხვდება

ჩვენებითი ზმნიზედები: იშტ „ასე“, უდშტ „ისე“, იცნადრათ / ეცნადრათ „ამნაირად“, იცხნადრათ „მაგნაირად“, უცნადრათ „იმნაირად“, ოკუშფულეშუ „იმდენჯერ“, იკუშფულეშუ / ეკუშფულეშუ „ამდენჯერ“...

კითხვებად გვაქვს სათანადო კითხვითი ზმნიზედები: მოჰ? „როგორ?“, სტენადრათ? „რანაირად?“, მელწ? „რამდენჯერ?“, მელწოლადეშ? „მერამდენედ?“

ვითარების გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირი მჟ „რომ“ და მიმართებითი ზმნიზედები: მოჰჟ „როგორც“, სტენადრათან „რანაირადაც“, მელწან / მელწჟ „რამდენჯერაც“...

ვითარებისგარემოებით დამოკიდებული წინადადების დასახასიათებლად განვიხილოთ შემდეგი ორი მაგალითი:

1. **ცქ ე თხქ აგ... უდში ზორადში დაკ ჰადჰნორ, მჟ მოჩვენბი დამართბადმადონორ** „მერე ეს ჩვენი ბებია... ისე ძალიან დამწუხრებულეყო, რომ ჩვენებები დამართვოდა.“ (მიქელაძე 2014 – 52)

2. **ზორადში მადხვორალორ უნივერსიტეტე პროფესრივ ტატო, მოჰჟ ცენხადრათ ნიჭიერ სტუდენტ** „ძალიან აფასებდნენ თურმე უნივერსიტეტში პროფესორები ტატოს, როგორც სხვანაირად ნიჭიერ სტუდენტს.“ (მიქელაძე 2011 – 132)

მაგალითებად დასახელებული რთული ქვეწყობილი წინადადებებიდან პირველ წინადადებაში მთავარია **ცქ ე თხქ აგ... უდში ზორადში დაკ ჰადჰნორ** „მერე ეს ჩვენი ბებია... ისე ძალიან დამწუხრებულეყო“, დამოკიდებულია **მჟ მოჩვენბი დამართბადმადონორ** „რომ მოჩვენებები დამართვოდა“. მთავარში კორელატია ჩვენებითი

ზმნიზედა უამში „ისე“, რომლის ზოგად მნიშვნელობასაც ხსნის და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. ყველა ნიშნის მიხედვით მოცემული დამოკიდებული წინადადება ვითარებისგარემოებითია.

მეორე ქვეწყობილი წინადადებაში მთავარია **ზორაში მამხვორალო უნივერსიტეტე პროფესრიე ტატო** „ძალიან აფასებდნენ თურმე უნივერსიტეტში პროფესორები ტატოს“, დამოკიდებულია **მოჭე გეჩნადრათ ნიჭიერ სტუდენტ** „როგორც სხვანაირად ნიჭიერ სტუდენტს“. დამოკიდებული წინადადება პასუხობს ვითარების გარემოების კითხვაზე **მოჭ მამხვორ უნივერსიტეტე პროფესრიე ტატო?** „როგორ აფასებდნენ უნივერსიტეტში პროფესორები ტატოს?“

დამოკიდებული წინადადება პასუხობს ვითარების გარემოების კითხვაზე და მთავარი წინადადების მიმართ ასრულებს ვითარების გარემოების ფუნქციას, რის გამოც ის ვითარებისგარემოებითი დამოკიდებულია.

ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს ყველაზე უფრო ხშირად მაქვემდებარებელი მქ „რომ“ კავშირით უერთდება. ასეთი დაკავშირებისას დამოკიდებულს უმეტესწილად მთავრის მომდევნო პოზიცია უკავია, მაგრამ საკმაოდ ხშირად მთავრის წინა პოზიციაშიც ფიქსირდება.

მაგალითად:

ა) მქ „რომ“ –კავშირიანი ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის მომდევნო პოზიციაში:

1. უამში მოწონადდლოწ სოი ო წინი მუსიკ, მქ ბუტლერქ ტოტი კაბახ დაჭ წამიე'ნეს, ბანერო ბილიკმაქა აჭო ჰიტანას შარეგომცაქ „ისე მომეწონა ის ახალი მუსიკა, რომ მტვრიანი ხელები კაბა-

ზე შევიწმინდე და გრძელი ბილიკით გაგიქეცი ქუჩამდე.“ (მიქელაძე 2014 – 177)

2. **უამო გეჩნადრათ შეცხადბადინორ ლაჟმრეჩო ნახე თამარ მეფე მაღარ, მე ყოველ ოჯახეო ჩუჭ თხუდლ ლევედორ** „ისე სხვანაირად შეეცხადებინა მთის ხალხს თამარ მეფის სიკვდილი, რომ ყოველ ოჯახს შინ სატირალი ჰქონოდა გამართული.“ (მიქელაძე 2014 – 198)

3. **საყდრეგორქ ღუხ ღერწინო ნახ უამო ქასტლაშ დოტურ, მე გაძნელბადლოქ სო ოჯარ ნადხეხ აწყობადმაღარ** „ეკლესიიდან გამობრუნებული ხალხი ისე ჩქარა მიდიოდა, რომ გამიჭირდა მათთვის ნაბიჯის აწყობა.“ (მიქელაძე 2014 – 170)

ბ) მე „რომ“ –კავშირიანი ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის წინა პოზიციაში:

1. **უჯარ ბუძსუ მე შამ ბალკონმაქ ბათაგო ჰიჭუნას, უამოტ გეჩო დროჭ ცო ჰეჭუნმაგეს** „იმ დამეს მე რომ შამიდას აიგანზე მთვარეს ვუყურე, ისე სხვა დროს აღარ მიყურნია.“ (მიქელაძე 2014 – 166)

საგულისხმოა, რომ მთავრისა და ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზემოთ განხილულ კონსტრუქციაში კავშირი მე „რომ“ ხშირად გამოტოვებულია.

მაგალითად:

1. **უამო ლეგბორ გამწარბადბალინო ვაწ ვასერ, ლეკინ ბაცურ ნაყე ჰათხნ მაგნო'ერ, ცჰაყ დინო ცო ვახითინორ** „ისე ყოფილიყვნენ გამწარებულიები ჩვენი კაცები, ლეკებისთვის მოკლე გზით წინ გადაესწროთ და ერთიც ცოცხალი არ გაეშვათ.“ (მიქელაძე 2011 – 110)

2. **უძველესი ვიქტორ ე კაწკო სტაკ მუ, ლევი ბანიც ცახცახანანო ბეკინი** „ისე დაეყვირა ამ პატარა კაცს, რომ ლეკები ყველა-ნი აცახცახებულებიყვენ.“ (მიქელაძე 2011 – 179)

სხვა კავშირების ანუ წევრ-კავშირების შემთხვევაში ვითარე-ბისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება ძირითადად ისევე მთავრის მომდევნო პოზიციაში ფუნქციონირებს, მაგრამ ზოგჯერ წინა და შუა პოზიციებშიც გვხვდება.

მაგალითად:

ა) წევრ-კავშირიანი ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის მომდევნო პოზიციაში:

1. **ლაშინ დაკდახკე სქ დოკად დაშ, მოჰე წარმაქ – დათქ** „მთე-ბის გახსენებაზე ჩემი გული დნება, როგორც ცეცხლზე ერ-ბო.“ (მიქელაძე 2011 – 83)

2. **მადრხუნ ტატო უძე ზორამე ვეწერ, მოჰე დეწდარ შადრო დინე** „მარხეს ტატო ისე ძალიან უყვარდა, როგორც ეყვარებოდა საკუთრივ თავისი გაჩენილი შვილი.“ (მიქელაძე 2011 – 132)

3. **უძველესი ცო ბძარბახე თათბირმაქ სე დიდვაჭარ ბაბუნ, მოჰე კუთნალარ ოკუმიფლქ ტათე დაჩო სტაკონ** „ისე არ შეხვდნენ თათბირზე ჩემს დიდვაჭარ პაპას, როგორც ეკუთვნოდა იმდენი ფულის პატრონ კაცს.“ (მიქელაძე 2014 – 152)

ბ) წევრ-კავშირიანი ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის წინა პოზიციაში:

1. **მოჰე ივუს ცო ვოთოგე ფოთოლ, ოშტიც სქ დოკ ჰალარ ცო აყოვბალაგეგე** „როგორც ამას აღარ მოესხმება ფოთოლი (აღარ შეიმოსება ფოთლით), ისე ჩემი გული აღარ აყვავდება.“

(მიქელაძე 2011 – 131)

2. **მოჭე დარბიგბადვიჭ რქმეს, უდშტრ დინორ სე ყაფჩო დადას**
„როგორც დაერბიგებინა ექმს, ისე გაეკეთებინა პაპახემს.“

(მიქელაძე 2014 – 144)

3. **წკიპო ვაჭოჭ, მოჭე ხატენ ჰათხ, უდშტრ დეწეთხ ჰოხ**
ლოცადალტ „წკიპო ხარ და, როგორც ხატის წინ, ისე უნდა
ვილოცოთ შენზე.“ (მიქელაძე 2011 – 179)

IV. მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზეზის გარემოებითა დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს მთავარ წინადადებაში გამოტოვებული მიზეზის გარემოების როლს ან კიდევ ხსნის და აზუსტებს მთავარში მისათითებელი ზმნიზედით გადმოცემული მიზეზის გარემოების ზოგად მნიშვნელობას. ის მოგვიგებს კითხვაზე: **უ?** „რატომ?“, **სტენ-ნდალა?** „რის გამო?“, **სტე მიზეზუე?** „რა მიზეზით?“

მთავარში გვხვდება მისათითებელი ზმნიზედები: **ისაძნო** „იმიტომ“, **დახეც** „ამიტომ“, **ოცუფდალან** „იმის გამო“, **ივუფდალა / ევუფდალა** „ამის გამო“.

მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს ძირითადად **მე** „რომ“ კავშირით უერთდება; ამავე ფუნქციით გვხვდება მიმართებითი ზმნიზედებიც: **უნან / უნენ** „რატომაც“, **სტენნდალაჭო** „რის გამოც“, **სტე მიზეზუევ** „რა მიზეზითაც“. ორენოვნების ბოლო პერიოდში უკვე წოვათუშთა მეტყველებაში დავაფიქსირებთ ქართულიდან ყოველგვარი ცვლილების გარეშე ნასესხებ **რაკი** და **რადგან** კავშირებსაც.

მაგალითად განვიხილოთ შემდეგი ორი ქვეწყობილი წინადადება:

1. **ჰამანუც ყენიწ, მაც-მადონწ დარათხრ ფჰეჰე, რაკი სჟ დად ტყავორლამტ შარე დაჰ ვარ დანვრეტადვიენრ** „ყველაზე ღარიბები და მშიერ-მწყურვალეები ვიყავით სოფელში, რაკი მამაჩემი ოცდაჩვიდმეტ წელში დანვრეტილი იყო.“ (მიქელაძე 2011 – 163)
2. **მერაბან, მედიკო დახეც დათანხმადლოწ სოხ ჰათეც, მე სოგო მაჯწ ავტორიტეტ მარ ოჯარცწ** „მერაბი და მედიკო იმიტომ დამეთანხმნენ მაშინვე, რომ მე დიდი ავტორიტეტი მქონდა იმათთან.“ (მიქელაძე 2014 – 165)

მაგალითად წარმოდგენილ პირველ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **ჰამანუც ყენიწ, მაც-მადონწ დარათხრ ფჰეჰე** „ყველაზე ღარიბები და მშიერ-მწყურვალეები ვიყავით სოფელში“; დამოკიდებულია **რაკი სჟ დად ტყავორლამტ შარე დაჰ ვარ დანვრეტადვიენრ** „რაკი მამაჩემი ოცდა-ჩვიდმეტ წელში დანვრეტილი იყო“. დამოკიდებული წინადადება პასუხობს მიზეზის გარემოების კითხვაზე **ჟ დარათხრ ჰამანუც ყენიწ, მაც-მადონწ ფჰეჰე?** „რატომ ვიყავით ყველაზე ღარიბი და მშიერ-მწყურვალეები სოფელში?“ და ასრულებს მიზეზის გარემოების როლს მთავარი წინადადების მიმართ, რომელსაც მიზეზის გარემოება საერთოდ არ გააჩნია. ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით ირკვევა, რომ განხილული დამოკიდებული წინადადება მიზეზისგარემოებითია. ამგვარ დასკვნას მხარს უჭერს წევრ-კავშირიც **რაკი**.

მეორე ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **მერაბან, მედიკო დახეც დათანხმადლოწ სოხ ჰათეც** „მერაბი და მედიკო იმიტომ დამ-

თანხმდნენ მაშინვე“. დამოკიდებულია **სოგო მაგნ ავტორიტეტ მარ ოკარტ** „მე დიდი ავტორიტეტი მქონდა მათთან“.

მთავარ წინადადებაში გვაქვს მიზეზის გარემოების გამომხატველი კორელატი **დახეც** „იმიტომ“.

დამოკიდებული წინადადება ჰასუხობს მიზეზისგარემოების კითხვაზე: **უქ დათანხმადლო სოხ მერაბზ, მედიკო ჰათეც?** „რატომ დამთანხმდნენ მერაბი და მედიკო მაშინვე?“

დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია, რადგან ის განმარტავს მთავარში მისათითებელი სიტყვით გადმოცემული მიზეზის გარემოების ზოგად მნიშვნელობას.

მთავართან მაქვემდებარებელი **მე** „რომ“ კავშირით შეერთებული მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება თითქმის ყოველთვის მთავრის მომდევნო პოზიციაშია, მთავარში კი ასევე ყოველთვის გვაქვს მისათითებელი ზმნიზედა **დახეც** „იმიტომ“ ან **ოკუფდალზ** „იმის გამო“. აღნიშნული ვითარება სათანადოდ დაფიქსირდა ჩვენს მიერ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებულის შემცველი ქვეწყობილის მაგალითად განხილულ მეორე წინადადებაში.

როცა კორელატად გამოყენებული მისათითებელი ზმნიზედები **დახეც** „იმიტომ“ ან **ოკუფდალზ** „იმის გამო“ მთავარი წინადადების ბოლოში მოხვდება, ინტონაციაურად ისინი დამოკიდებულ წინადადებას ეკედლებიან და ვლდებულობთ რთულ კავშირებს: **დახეც მე** „იმიტომ რომ“, **ოკუფდალზ მე** „იმის გამო რომ“.

მაგალითად:

1. **მარინო ცოჰანნა მაგნორო მათხინო, დახეც მე გაო ნახ დელიო მარ ვათხეოჩო ფსტუნახ** „მარეჩი არაგის ენახა

მტირალი, იმიტომ რომ ჩვენი ხალხი დასცინოდა ქმრის მოტი-
რალ ქალს.“ (მიქელაძე 2011 – 130)

2. **ე გეობ ზორაძე საშიშ და, ო გუფდაღა მენ ზორაძე კოკრუქ
დაქ, გეილომცა მაჯა ჰეტ ნაუფუ მაქ კიკელ მალოზრ აღზნეგო**
„ეს ხევი საშიშია, იმის გამო რომ ძალიან ღრმაა და გვიანამდე
სქელი ზეავი აფარია აქ ალაზანს, ზეავის ქვეშ რომ მოედინება.“
(მიქელაძე 2014 – 238)

3. **ტატო ჰალო ცო ვითნორ ქოკიმაქ, დახეც მე ო გუენ ცო
წონლარალო მეთქ წყუბლობ, რესპუბლიკა წონლარალო**
„ტატო არ ამდგარიყო ფეხზე, იმიტომ რომ იმას არ მოსწონდა
თურმე მეფის წყობილება, რესპუბლიკა მოსწონდა თურმე.“
(მიქელაძე 2011 – 133)

მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც
მთავარს წევრ-კავშირით უერთდება, ძირითადად მთავრის მომდევ-
ნო ან წინა პოზიციაში რეალიზდება. როცა ამ ტიპის დამოკიდებუ-
ლი წინადადება ბოლოშია, მაშინ მთავარში არა გვაქვს მისათითე-
ბელი ზმნიზედა, მაშინ კი, როცა დამოკიდებული წინადადება თავ-
შია, მთავარში თითქმის ყოველთვის გვაქვს კორელატი **დახეც** „იმი-
ტომ“ ან **ო გუფდაღა** „იმის გამო“.

მაგალითად:

ა) მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავ-
რის მომდევნო პოზიციაში:

1. **ცომ დამლოზორ ლეკინ, რაკი ბაცბნ ვასერგ თოჰშე ცო
დასტრალო მაქრქ გერწ** „არაფერი გამოსვლოდათ ლეკებს,
რაკი თუშის კაცები ძილშიც არ იხსნიდნენ თურმე იარაღს.“
(მიქელაძე 2011 – 109)

2. **ო თამაშად კაწკოწ გოჭ ხაყვიენო მეგარმონა'ქ დაჭ მოწალოთ
ოჯარხ, რაკი ოჯუქ მარ ოსი ვაწურ ქეხ** „ხურჯინში პატარა
ბიჭჩასმული მეგარმონეც გაჭყვა იმათ, რაკი იმისი ქმარი იქ
დასდევდა ცხვარს.“ (მიქელაძე 2014 – 137)

3. **სონჯ ცო დავმაკქ კრებემაქ იშ, რაკი აჭად ატინო ლათრა** „მეც
ვერ ამოვიღე კრებაზე ხმა, რაკი შენც ჩუმაღ იდექი.“

ბ) მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავ-
რის წინა პოზიციაში:

1. **რადგან ჯანმრთელებეც ქო ცო წყობადო ჰოქ, დახეც შილღერო
სპეციალებემაქ დამდარენ მაც ბეწწ ბალოქ** „რადგან ჯანმრთელო-
ბა ხელს არ გიწყობს, ამიტომ მეორე სპეციალობაზე სწავლას
თავი უნდა დაანებო.“

2. **რაკი სქ ყანჩი ბაბო ვაგურ ჩუჭ, ას ნამხ ამბუდგო დახეც
ნეფტლათრას ლარკ ქორთო წონალაშ** „რაკი პაპაჩემი ერია შიგ,
მე ხალხის ლაპარაკს იმიტომ ვუგდებდი ყურს თავმომწონედ.“
(მიქელაძე 2014 – 152)

3. **შესაფერის კაბ მქ ცო მარ სოგო, დახეც ცო მარასოქ შაბთინე
იგსებ ქუმრწოლეს** „შესაფერისი კაბა რომ არ მქონოდა, იმიტომ
არ ვიყავი შაბათს იოსების ქორწილში.“

მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის
შუა პოზიციაში ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება, მა-
გალითად:

1. **ჰე ბიძინქ, რაკი ზორამში ბუჭლაკ ვარ, ოჟმაც ჩან რიდბალარ
„ბიძაშენისგან, რაკი ძალიან ჩხუბისთავი იყო, ყველა შორს
იჭერდა თავს.“**

2. სქ ქორთო, რაკი ზორამში უბედურ მარასო, დახეც ყახეთერ სოქ „ჩემი თავი, რაკი ძალიან უბედური ვიყავი, იმიტომ მეცოდებოდა.“

V. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის და აზუსტებს მთავარში მისათითებელი ზმნიზედით გადმოცემული მიზნის გარემოების ზოგად მნიშვნელობას, ან კიდევ ასრულებს მიზნის გარემოების როლს მთავარ წინადადებასთან მიმართებით.

მთავარ წინადადებაში კორელატებად გვხვდება ნაცვალსახელური წარმოშობის მიზნის ზმნიზედები: **ისამნო** „იმისთვის“ და **ოგუჟდალან** „იმის გულისთვის“. დამოკიდებული წინადადება პასუხობს მიზნის გარემოების კითხვებზე **სტენნამნო?** „რისთვის?“, **სტენნდალან?** „რისი გულისთვის?“, **სტე მიზნუგ?** „რა მიზნით?“. მთავართან მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელ საშუალებას ძირითადად მაქვემდებარებელი კავშირი **მე** „რომ / რათა“ წარმოადგენს, თუმცა ზოგჯერ ამავე ფუნქციით შეგვხვდება მიმართებითი ზმნიზედებიც: **სტენნამნო** „რისთვისაც“, **სტენნდალაჰო** „რისი გულისთვისაც, რის გამოც“.

მაგალითად:

1. **შინ-გან დენი წყე აჰო იხორ გეგები ო თხე დად, მე ხიე გამორიყადიენო უნახი ვაშარ დაქუჩადო'ერალო, ჰალო დაჰრალო თხი** „ორ-სამ დღეში ერთხელ ჩადიოდა ხეეში მამაჩენი, რომ (რათა) წყლის გამორიყული ნივთები

მოეგროვებინა და ამოეტანა ჩვენთვის.“ (მიქელაძე 2014 – 44)

2. აჭოყ ბახჭ ესერნა ვასერ შირიქ ისანდრ, მქ თჷაქმაქ უდორალო ი მაწირ სკქმუნ „ისეე წავიდნენ აქედან კაცები შირაქში იმისთვის, რომ (რათა) კვალზე დასდგომოდნენ ამ მძიმე საქმეს.“ (მიქელაძე 2014 – 51)

მაგალითად დასახელებულ პირველ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **შინ-გვ დენი წყე აჭო იხორ გეგები ო თხქ დად** „ორ-სამ დღეში ერთხელ ჩადიოდა ხევში მამაჩვენი“; დამოკიდებულია: მქ ხიე გამორიყადიენრ უნახი ვაშნრ დაქუჩადო'ერალო, ჰალო დაჭრალო თხო „რომ / რათა წყლის გამორიყული რაღაცები ერთად მოეგროვებინა და ამოეტანა ჩვენთვის“.

დამოკიდებული წინადადება ჰასუხობს მიზნის გარემოების კითხვაზე: **სტენნანდრ იხორ გეგები თხქ დად?** „რისთვის ჩადიოდა ხევში მამაჩვენი?“

მთავარ წინადადებაში კორელატი არა გვაქვს, რის გამოც დამოკიდებული წინადადება ასრულებს მიზნის გარემოების როლს მთავართან მიმართებით, აღნიშნულის გამო ის მიზნისგარემოებით დამოკიდებულ წინადადებას წარმოადგენს.

მეორე ქვეწყობილი წინადადების მთავარია **აჭოყ ბახჭ ესერნა ვასერ შირიქ ისანდრ** „ჩავიდნენ ისეე აქედან შირაქში კაცები იმისთვის“; დამოკიდებულია **მქ თჷაქმაქ უდორალო ი მაწირ სკქმუნ** „რომ (რათა) კვალზე დასდგომოდნენ ამ მძიმე საქმეს“.

მთავარ წინადადებაში გვაქვს კორელატი: **ისანდრ** „იმისთვის“. დამოკიდებული წინადადება ჰასუხობს მიზნის გარემოების კითხვაზე **სტენნანდრ ბახჭ შირიქ ვასერ აჭოყ?** „რისთვის ჩავიდნენ კაცები შირაქში ისეე?“

დამოკიდებული წინადადება ამჯერად ხსნის და აზუსტებს მთავარში მისათითებელი სიტყვით გადმოცემული მიზნის გარემოების ზოგად მნიშვნელობას, რის გამოც ის მიზნისგარემოებითი დამოკიდებულია.

მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება თითქმის ყოველთვის მთავრის მომდევნო პოზიციაში ფუნქციონირებს, თუმცა იშვიათად მთავრის წინა პოზიციაშიც შეიძლება შეგვხვდეს.

ა) მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავრის მომდევნო პოზიციაში:

1. **ზურბეს შარჲ ვაშრ ჰაჭვიეჲ კონანხ, მე ოჯხეჲ წევრი ბარელჲ ჰალორ დიკრალორ** „ზურაბმა თავისი ძმა გამოგზავნა კახეთში, რომ (რათა) ოჯახის წევრები ბარიდან აეყვანა.“ (მიქელაძე 2011 – 108)

2. **ვახე'ნე, ო იბოს ლარკი დაჰ თეტი'ნე ო ჩნიგო, დაჰნ მაჰნ ნაეტრი, მე ოსი ლუი დაჰ თეშბორალორ, მე ას, ვოიტ შარლუფრო ფეშკრევე, ჩნ ბშიგნას** „ადგა ის იბო და ყურები დააჭრა იმ დათვის და წაიღო ბინაში, რათა იქ დაერწმუნებინა მწყემსები, რომ მე, ცამეტი წლის ბიჭუნამ, დათვი მოგვკალი.“ (მიქელაძე 2014 – 120)

3. **ზურბეს ო გუმანანო ნიფსდორ ვაშბან ღე-ბუმან, მე მოჰეგდა ოჯახს ქოკიმაჲ ოთამორალორ** „ზურაბი დღე-ღამეს იმისთვის ასწორებდა, რომ როგორმე ოჯახი ფეხზე წამოეყენებინა.“

ბ) მიზნისგარემოებითი დამოკიდებული მთავრის წინა პოზიციაში:

1. **მისაღებ გამოცდი მე წარმატებით ჩაბარბადმორლოს, დახეც მხადბალარას კერძო უჩიტლიცჲ** „მისაღები გამოცდები რომ

წარმატებით ჩამებარებინა, იმისთვის ვემზადებოდი კერძო მასწავლებლებთან.“

§24. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება

როგორც წინ უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე წოვათუშურ ენაში გვაქვს თითქმის ყველა სახის დამოკიდებული წინადადება, რაც ქართულში ფიქსირდება, მათ შორის შემასმენლური დამოკიდებულიც.

შემასმენლურია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის და განმარტავს მთავარი წინადადების შედგენილ შემასმენელში ნაცვალსახელით წარმოდგენილი სახელადი ნაწილის ზოგად შინაარსს.

მაგალითად:

ჰო ო ვაჰო, ჰანე სე მაჯუმრო გაჭირბა გამეტბით ლატდირა სოქო
ქო „შენ ის ხარ, ვინც ჩემს დიდ გაჭირვებაში გამეტბულად
შემაშველე ხელი.“

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **ჰო ო ვაჰო** „შენ ის ხარ“; დამოკიდებულია **ჰანე სე მაჯუმრო გაჭირბა გამეტბით ლატდირა სოქო** „ვინც ჩემს დიდ გაჭირვებაში გამეტბით შემაშველე ხელი“. მთავარი წინადადების შედგენილი შემასმენელია **ო ვაჰო** „ის ხარ“, რომლის სახელადი ნაწილი **ო „ის“** ზოგადი შინაარსისაა და მოითხოვს ახსნას და დაკონკრეტებას. მას დაესმის კითხვა: **ქქ დაჰო ჰო?** „ვინ ხარ შენ?“, რომელზეც პასუხს იძლევა დამოკიდებული წინადადება. მაშასადამე, განხილული დამოკიდებული წინადადება შემასმენლურია.

შემასმენლური დამოკიდებული წინადადების შემცველი მთავარი წინადადების შედგენილ შემასმენელში სახელად ნაწილად გვხვდება შემდეგი ჩვენებითი ნაცვალსახელები: ე „ეს“, ო „ის“, ის „ეგ“, იშტჟ „ისეთი“, ოშტჟ „ისეთი“, იგნაირ / ეგნაირ „ამისთანა“, უგნაირ „იმისთანა“... სახელად ნაწილად გამოყენებული ჩამოთვლილი ნაცვალსახელები მუდმივად სახელობით ბრუნვაში დგას. მეშველად ამ დროს ვასრ „ვარ“ ზმნა ფუნქციონირებს სხვადასხვა პირისა, რიცხვისა, დროისა თუ კილოს ფორმით. აღნიშნული ტიპის დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირი მჟ „რომ“ და მიმართებითი ნაცვალსახელები: მენწ / მენწ „ვინც“, უხწ / უხწ „რაც“, მოლუნწ / მუღლწ „როგორიც“, მენუხწ „რომელიც“...

რაც შეეხება მთავრისა და შემასმენლური დამოკიდებული წინადადების პოზიციურ ურთიერთმიმართებას, დამოკიდებული, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში მოსდევს მთავარს, მაგრამ ზოგჯერ მთავრის წინა პოზიციაშიც შეიძლება შეგვხვდეს.

მაგალითად:

ა) შემასმენლური დამოკიდებული წინადადება მთავრის მომდევნო პოზიციაში:

1. ო ოშტჟ ცო ვა, მჟ შარწ ქო თელოჩო საქმოხ უარ ალოლო „ის ისეთი არაა, რომ თავისთვის ხელსაყრელ საქმეზე უარი თქვას.“

2. ობი უმწნი ბა, ჰანწ შუწ ჯავრ ცოჰანწ მყეოდ „ისინი ისეთები არიან, ვინც თავის ჯავრს არავის შეარჩენს.“

3. სო ოშტჟ მასრ, მუღლწ უვრ მაწიჩო დროჰ სე ეერო ნანას მაგაქსრ „მე ისეთი ვარ, როგორიც იმ ძნელ დროში ჩემმა

ქვრივმა ღედამ გამზარდა.“

ბ) შემასმენლური დამოკიდებული წინადადება მთავრის წინა პოზიციაში:

1. **ჰანნა გეჩოვ მიენო სიკეთე დაჰ ცო მიცლა, სო ო ვასო** „ვისაც სხვისი გაკეთებული სიკეთე არ ავიწყდება, მე ისა ვარ.“

2. **ჰანნე სად ქორთისს თეშეს, ჰო ო ვაჰო** „ვისაც საკუთარ თავსავით ვენდობი, შენ ისა ხარ.“

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება იშვიათად მთავრის შუაშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად:

სო, ჰანნე ბნდროლე ჰო სიკვდლებ გადარჩენადვიერ, ო ვასო „მე, ვინც ბავშვობაში შენ სიკვდილს გადაგარჩინა, ისა ვარ.“

§25. პირობითი დამოკიდებული წინადადება

გარდა ისეთი დამოკიდებული წინადადებებისა, რომლებიც მთავარი წინადადების ამა თუ იმ კონკრეტულ წევრს მიემართებიან, წოვათუშურ ენაში გვხვდება მთლიანად მთავრისადმი მიმართული დამოკიდებული წინადადებებიც. ამ რიგის წინადადებათაგან თანამედროვე წოვათუშურ ენაში ფართო გავრცელება აქვს პირობით დამოკიდებულ წინადადებას.

პირობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს პირობას, რაზეც არის დამოკიდებული იმის შესრულება, რაც მთავარ წინადადებაშია გადმოცემული. ამ დროს დამოკიდებულ წინადადებაში პირობაა დასახელებული, მთავარში კი – შედეგი, რის გამოც ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება პირობით-შედეგობითის სახელითაც მოიხსნება.

მთავარი წინადადება, რომელსაც პირობითი დამოკიდებული ახლავს, დაისვამს კითხვას: **მატა?** „როდის? რა შემთხვევაში?“, რომელზეც პასუხს იძლევა დამოკიდებული; ძირითადი კავშირია **თუკი**.

მაგალითად:

ზორაძე ნანბადოჭ, თუკი დენიყ დრო სწავლენ ცო

მოკმარბადმოჭ „ძალიან ინანებ, თუკი მთელ დროს სწავლას არ მოახმარ.“

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **ზორაძე ნანბადოჭ** „ძალიან ინანებ“; დამოკიდებულია **თუკი დენიყ დრო სწავლენ ცო მოკმარბადმოჭ** „თუკი მთელ დროს სწავლას არ მოახმარ“. დამოკიდებული პასუხობს პირობითი დამოკიდებულის კითხვაზე: **მატა ნანბადოჭ ზორაძე?** „რა შემთხვევაში ინანებ ძალიან?“

ნიშანდობლივია ამ მხრივ დამოკიდებულში გამოყენებული კავშირიც **თუკი**. მოცემული მახასიათებლების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ განხილული დამოკიდებული წინადადება პირობითია.

კავშირი **თუკი** ძალიან პროდუქტიულია წოვათუშური ენის პირობითი დამოკიდებულის შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. აღნიშნული კავშირის პირობითი დამოკიდებული წინადადება გვხვდება როგორც მთავრის წინ, ისე მომდევნოდ:

მაგალითად:

1. **ას ის საქმეხ ქო ცო ვაწდოს, თუკი ვოჭ ცო ლადტუ სო** „მე მაგ საქმეს ხელს არ მოეკიდებ, თუკი ბიჭი არ მიშველის.“

2. **თუკი ბაზრე წესიერ მახ ცო ბა, ას სად ბაჯჩა პამიდორ ცო დოყდოგეს** „თუკი ბაზარში წესიერი ფასი არა აქვს, მე ჩემს

ეზოში ჰამიდორს აღარ მოვიყვან.“

3. ას ნინო ქუმარაშვილს ცო ღოს, თუკი დაკრეშ ცო მესოსო „მე ნინოს ქორწილში არ წავალ, თუ გულიანად არ დამპატიყებს.“

§26. უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება

როგორც ცნობილია, „რთული უკავშირო წინადადებათა ერთი წყება აზრობრივ და სტრუქტურულად ახლო დგას რთულ კავშირთან ქვეწყობილ წინადადებასთან. ამ ტიპის რთული უკავშირო წინადადებების ერთი ნაწილი მოგვაგონებს მთავარ წინადადებას, მეორე კი დამოკიდებულს, რომელიც, საზოგადოდ, იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, რასაც კავშირიანი დამოკიდებული წინადადება“ (კვაჭაძე 1966 – 420).

წოვათუშური ენის ზეპირმეტყველებასა თუ წერილობითს წყაროებში საკმაო სიხშირით ფუნქციონირებს უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება. ეს ის შემთხვევებია, როცა რთული უკავშირო წინადადების ერთი ნაწილი მოგვაგონებს მთავარ წინადადებას, მეორე კი დამოკიდებულს, რომელიც უკავშირობის შემთხვევაში იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, რასაც სათანადო კავშირიანი წინადადება. ასეთ შემთხვევაში, როცა კავშირი გამოტოვებულია, დამოკიდებულს მთავართან აკავშირებს აზრობრივი მიმართება და სათანადო ინტონაცია. ამიტომაც, რომ შესაფერისი კავშირის აღდგენა ცნობიერებაში ძალიან ადვილად, თითქმის მქანაკურად ხდება.

მაგალითად:

1. ომტყ ლამზურ ლევდორ ნიფანი შიკეჟ, ჰეჭუშ ცო

ნაპამაკრალო ადმენენ „ისეთი ლამაზი ყოფილიყო ნეფიონი (ნეფე და პატარძალი), ყურებით ვერ გაძლებოდა თურქე ადამიანი.“ (მიქელაძე 2011 – 107)

მოცემულ უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში შემაჯავლი მეორე მარტივი წინადადება ხსნის და აზუსტებს პირველ მარტივ წინადადებაში ჩვენებითი ნაცვალსახელით გადმოცემული განსაზღვრების ზოგად მნიშვნელობას ისევე, როგორც ეს მოხდებოდა კავშირიანი დაქვემდებარების შემთხვევაში:

ოშტუ ლამზურ ლევდორ ნიფანი შიკეც, მუ ჰეჭუშ ცო

ნაპამაკრალო ადმენენ „ისეთი ლამზები ყოფილიყვნენ ნეფიონი ორივენი, რომ ყურებით ვერ გაძლებოდა თურქე ადამიანი.“

2. მოლუ მაჯოზ ზოროლ და ფსტუქოზ, მაღონმოტუანა

ნეფუეთუხ ქოთლალო „როგორი დიდი გპირობაა ქალისა, მომაკვდავი ისევ სირცხვილ-ნამუსზე წუხდეს.“ (მიქელაძე 2011 – 110)

მეორე მაგალითში უკვე დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია, რადგან პასუხობს კითხვაზე ქვემდებარისა: **უხ და ზოროლ?** „რა არის სიყოჩაღე?“ და ასრულებს ქვემდებარის როლს წინამავალი მთავარი წინადადების მიმართ.

სანალიზო უკავშირო ქვეწყობილი წინადადების პირველ ნაწილში შეიძლება ჩავსვათ კორელატი **ო** „ის“, ხოლო მეორე ნაწილში კავშირი **მუ** „რომ“ გვექნება:

მოლუ მაჯოზ ზოროლ და ფსტუქოზ ო, მუ მაღონმოტუანა ოშტიც ნეფ-წეთუხ ქოთლალო „როგორი დიდი გპირობაა ქალისა ის, რომ მომაკვდავი ისევ სირცხვილ-ნამუსზე წუხდეს.“

კორელატი განამტკიცებს ამჯერად კითხვის დასმით მიღებულ ჩვენს დასკვნას იმის შესახებ, რომ დამოკიდებული წინადადება მოცემულ შემთხვევაში ქვემდებარულია.

უკავშირო ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის შინაარსობრივ მიმართებას ზეპირმეტყველებაში ძირითადად ინტონაცია წარმართავს; ამასვე ემსახურება წინადადებათა წყობა და ზმნურ ფორმათა ურთიერთმიმართება; რაც შეეხება წერილობით წყაროებს, აქ მთელი დატვირთვა სასვენიშნებს ენიჭება. უკავშირო ქვეწყობილში მარტივ წინადადებათა წყობის განსაკუთრებულ როლს შინაარსობრივ მიმართებათა გამოხატვაში წარმოაჩენს ის გარემოება, რომ მათი წყობა მყარია და თანამიმდევრობათა შეცვლას არ ექვემდებარება: დამოკიდებული უსწრებს ან მოსდევს მთავარს.

შინაარსობრივი ფუნქციის მიხედვით უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადება იმდენივე სახისაა, რაც კავშირიანი დაქვემდებარებისას დაფიქსირდა.

გვაქვს:

1. უკავშირო ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

ასეთი დამოკიდებული წინადადება ყოველთვის მოსდევს მთავარს, რომელშიც ქვემდებარე არა გვაქვს საერთოდ ან გადმოცემულია ნაცვალსახელით.

მაგალითად:

1. **წესულ დარ, დუჯ მეზობლინ, ნათესეინ ცჰჰლ იხორ ლაჟმჟ**
„წესად იყო, ნათესავეები და მეზობლები ერთად მიდიოდნენ მთაში.“ (მიქელაძე 2011 – 108)

2. **ბაცბილო ზორამში დაჯო დეფ დარ, მქ დადას ბადერ ლე ამრკი ხაყდორალოქ, ლე ჰალორ ეტრალო** „წოგათუშებში დიდი სირცხვილი იყო, რომ მამას შვილი ან კალთაში ჩაესვა, ან კიდევ ხელში აეყვანა.“ (მიქელაძე 2014 – 201)

ორივე დასახელებულ ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება აღვადგინოთ კავშირი მქ „რომ“; რაც შეეხება კორელატს, მეორე მაგალითში ის წარმოდგენილია ჩვენებითი ო „ის“ ნაცვალსახელით, პირველში კი შეიძლება მისი აღდგენა, გვექნება ისევე ო „ის“.

II. **უკავშირო პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება**

1. **შილდერ დენი სამსაუხრი ვახჭო ტატუმგო**

გამოცხადბადინორ, თავისუფალ ვაჭუმნო „მეორე დღეს სამსახურში მისული ტატოსთვის გამოეცხადებინათ, თავისუფალი ხარო.“ (მიქელაძე 2011 – 133)

2. **ალნირეჩო მამასახლისეს ფუჟე ვაშბარ გიბლნო'ერ,**

დავალბადინორ, მქ ყოველ ოჯახურქ ცჰატ ყონო ვოჰ ვეწქ ბჰეხ ვახანანო „ალგნელ მამასახლისის სოფელი დაებარებინა და დაევალებინა, ყოველი ოჯახიდან თითო ახალგაზრდა ვაჟი უნდა ლაშქარში წავიდესო.“ (მიქელაძე 2011 – 129)

უკავშირო პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება ისევე, როგორც ქვემდებარული დამოკიდებული, ყოველთვის მთავრის მომდევნო პოზიციაშია. კორელატი აქ თითქმის ყოველთვის გვაკლია და უშუალოდ ასრულებს დამოკიდებული წინადადება პირდაპირი დამატების როლს მთავარი წინადადების შემასმე-

ნელთან. ყოველთვის შესაძლებელია აღდგენა კორელატისა და სათანადო კავშირისა.

III. უკავშირო ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება

პოზიციური თუ სტრუქტურული ურთიერთმიმართება მთავარსა და დამოკიდებულს შორის აქაც ისეთივე გვაქვს, როგორც უკავშირო ქვემდებარული თუ პირდაპირდამატებითი დამოკიდებულის შემთხვევაში დაფიქსირდა: არა გვაქვს კორელატი. დამოკიდებული წინადადება ასრულებს ირიბი დამატების როლს მთავართან მიმართებით.

მაგალითად:

ლეკივ გატვიჩრო ვამჟ ნანენ ცო ვეთმაკი, უხამნო თელორ ევუმფლქ შეკითხვი ჰაშედ მეცქრო უცხო ფსტუმჩოვ „ლეკების მიერ მოტაცებული ბიჭის დედა ვერ მიხვდა, რატომ აძლევდა ამდენ შეკითხვას სტუმრად მოსული უცხო ქალი.“ (მიქელაძე 2011 – 120)

IV. უკავშირო უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება

უკავშირო უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება თითქმის ყოველთვის მოითხოვს კორელატს, რაკი მთავრის ზმნა მის შესახებ, ქვემდებარისა და სხვა სახის დამატებათაგან განსხვავებით, რაიმე სახის მინიშნებას არ იძლევა, ანუ მასში არ აისახება პირის ნიშნისა თუ კლასნიშნის საშუალებით.

მაგალითად:

1. ას მიჩნეაყ ოჯეე ამყეებლას, დუჯე, დანჯე ბნდრი დაცდინას სად ქვეყანანან „მე ყველგან იმით ვამაყობ, ბევრი და კარგი შვილი გაუზნარდე ჩემს ქვეყანას.“

2. ოჯეუხ ცომენან დაკლივი, მოლუქ ძნელ და ის საქმ ბოლომცა მიკარ „იმაზე არაფინ ფიქრობს, როგორი ძნელია მაგ საქმის ბოლომდე მიყვანა.“

ორსავე მაგალითში დამოკიდებული წინადადება უბრალო დამატებითია. ნიშნუელია ის გარემოება, რომ ამჯერად ორსავე მთავარში გვაქვს ნაცვალსახელით გამოხატული უბრალო დამატება, რომლის ზოგად მნიშვნელობასაც განმარტავს დამოკიდებული წინადადება. მთავარში კორელატის ქონა განაპირობებს იმასაც, რომ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შექანიკურად, ყოველგვარი ცვლილების გარეშე შეიძლება შევუნაცვლოთ ადგილები.

V. უკავშირო განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება საერთოდ გამორჩეული სინშირით ფუნქციონირებს სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათა შორის, რასაც კომუნიკაციის პროცესში საგანთა და მოვლენათა დახასიათების განსაკუთრებული მოთხოვნადობა განაპირობებს. წოვათუშური ენის ზეპირმეტყველებასა და წერილობითს ძეგლებში ხშირია მთავრისადმი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო დაქვემდებარების შემთხვევები.

უკავშიროდ დაქვემდებარებულ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას მთავარში თითქმის ყოველთვის მოეპოვება შე-

საბამისი კორელატი, თუმცა ზოგჯერ უკორელატო დაქვემდებარების შემთხვევებიც გვაქვს. მისათითებელი სიტყვის როლს ასრულებს ჩვენებითი ნაცვალსახელი **ოშტყ** „ისეთი“. კორელაციანი დაქვემდებარების შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება თავისუფალ პოზიციურ მიმართებაშია მთავართან, უსწრებს ან მოსდევს მას, უკორელატო დაქვემდებარების დროს კი წყობა ქვეწყობილში შემავალი მარტივი წინადადებებისა შეუცვლელია და მყარი.

მაგალითად:

1. **მაწი ამბუჲ მა, თხალომცჳ ტყოყ აგ-ბაბუჲგ ბნდერ-ბნდრიგო**

მეფცო „მძიმე ამბავია, დღემდე კიდევ ბებია-პაპები

შვილიშვილებს უყვებიან.“ (მიქელაძე 2014 – 236)

2. **ი ზორამში კაწკუჲრო დჟღ სტაკგო, წკიპუჲგო, ოშტყ მაჯოწ**

იშ ლეგორო, ზურტილნ ტბათინ დაჭ ვუღწლათრალო „ამ ძალიან

პატარა ტანის კაცს, წკიპოს, ისეთი დიდი ხმა ჰქონოდა, ზუროს-

გორიდან ტბათანაში გადასძახოდა თურმე სალაპარაკოდ.“ (მი-

ქელაძე 2014 – 188)

მოცემული ორივე რთული უკავშირო ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებული განსაზღვრებითია. მათ შორის სტრუქტურულ განსხვავებას ქმნის ის გარემოება, რომ პირველში დამოკიდებული უკორელატოა, მეორეში კი გვაქვს კორელატი **ოშტყ** „ისეთი“. აღნიშნული განსხვავება ქმნის იმის საფუძველს, რომ პირველში შემავალ მარტივ წინადადებებს ადგილებს ვერ შევუცვლით, რადგან ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულმა შეიძლება სხვა ფუნქციური დატვირთვა მიიღოს; სამაგეროდ, ასეთი ადგილგადანაცვლება მეორე მაგალითში თავისუფლად გაკეთდება, რაკი აქ კორელატი ყველა პოზიციაში ზუსტად განსაზღვრავს დამოკიდებულის სტატუსს.

ორივე დამოკიდებულში შეიძლება აღვადგინოთ ერთი და იგივე კავშირი მხ „რომ“, პირველი მაგალითის მთავარში კი განსაზღვრებითი დამოკიდებულის კორელატი **ოშტჟ** „ისეთი“.

VI. უკავშირო დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

უკავშირო დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება წოგათუშურში თითქმის არ გვხვდება. ასეთი მიმართება მთავარსა და დამოკიდებულს შორის დასტურდება მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მთავარსა და დამოკიდებულში მოვლენათა ერთდროულობა ან თანამიმდევრობაა გამოხატული. ასეთ შემთხვევაში, როგორც გამოტოვებული, დამოკიდებულში იგულისხმება კავშირი **მაცნე** „როცა, როდესაც“, მთავარში კი შეიძლება დაცული იყოს კორელატი **ეჰათ** „მაშინ“. ასეთი კონსტრუქციის უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული მთავარს ტირეთი გამოეყოფა.

მაგალითად:

1. **გოჩნადგოს – ვიღო სოგო სქ კაწკოქ გოჰ, ჯარბაღას – ეჰათო ვიღო სოგო** „ვეფერები – მიცინის ჩემი პატარა ბიჭი, ვუწყრები – მაშინაც მიცინის.“

2. **მთავრბახ დანხარებ დინხას – ცო ლატქ სოქ, დაჰ ადტნას – ოჯახ მაცლოლო თასდალო სოგო** „მთავრობას დანხარება ვთხოვე – არ დამეხმარა, გაეჩუმი – ოჯახი შიმშილში ჩამივარდა.“

სათანადო კავშირისა და კორელატის აღდგენის შემთხვევაში ორივეგან მივიღებთ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების შემცველ ტრადუციულ ქვეწყობილ წინადადებებს.

VII. უკავშირო ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ვითარებისგარემოებითი დამოკიდებული უკავშირო წინადადება საკმაოდ სინშირით გვხვდება წოგათუშურ ენაში. ამ ტიპის დამოკიდებული მოსდევს ან უსწრებს მთავარს, მთავარში თითქმის ყოველთვის გვაქვს მისათითებელი ზმნიხედა **უდშტ** „ისე“, შესაძლო კავშირს კი დამოკიდებულში წარმოადგენს **მე** „რომ“.

მაგალითად:

1. **უდშტ დაზიანებადმიქ სეტყვას სქ ვენან, ცჰა გაგ ქანწქ ცო ეტობმაკქ სო** „ისე დააზიანა სეტყვამ ჩემი ვენახი, ერთი მტევანი ყურძენი ვერ მოგწყვიტე.“

2. **წყეც ცო დახმარებადმაკქ სო, უდშტ დანდიქ სე მაჭოგ ცჰაგჩოგ ბანდრი** „ერთხელაც ვერ დავეხმარე, ისე გაზარდა ჩემმა გოგომ მარტომ შეილები.“

მთავარ წინადადებაში მოცემული კორელატი ქმნის მყარ საფუძველს მთავრისა და დამოკიდებულის პოზიციათა თავისუფალი შენაცვლებისათვის, რაც შეიძლება გაკეთდეს მექანიკურად, ამ წინადადებათა ყოველგვარი სტრუქტურული ცვლილების გარეშე.

VIII. უკავშირო მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება

უკავშირო მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება გვხვდება მთავრის წინა ან მომდევნო პოზიციაში. როგორც ყველა სხვა სახის გარემოებითი დამოკიდებული უკავშირო წინადადება, მთავარში ის ყოველთვის საჭიროებს სათანადო კორელატს. ასეთი კორელატებია: **დახეც** „იმიტომ“, **ოჯუძდალან** „იმის გამო“, **უჯ მიზ-ზუე** „იმ მიზეზით“. სათანადო კითხვებია: **უხანო?** „რატომ?“,

სტენდალ? „რის გამო?“, **სტე მიზნუე?** „რა მიზეზით?“. მთავარში კორელატების მქონეობა თავის მხრივ განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ასეთ შემთხვევაში თავისუფლად ხერხდება მთავარის მიმართ დამოკიდებულის პოზიციათა ცვლა.

მაგალითად:

დანეც ცო ძალმაკა სო არჩევნახ დეუტატელ, მერიას ცო ლაცა სო ფე „იმიტომ ვერ გავედი არჩევნებში დეუტატად, მერიამ არ დამიჭირა მხარი.“

დამოკიდებული წინადადება პასუხობს მიზეზის გარემოების კითხვებზე: **უხანო ცო ძალმაკა სო არჩევნახ დეუტატელ?** „რატომ ვერ გავედი არჩევნებზე დეუტატად?“

კითხვაზე პასუხს იძლევა დამოკიდებული და ხსნის მთავარში მოცემული კორელატის **დანეც** „იმიტომ“ ზოგად მნიშვნელობას. ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით განხილული უკავშირო დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია.

როგორც აღვნიშნეთ, მოცემულ შემთხვევაში მთავარი და დამოკიდებული წინადადების სტრუქტურა და შინაარსობრივი ურთიერთმიმართება საშუალებას იძლევა, ყოველგვარი გარდაქმნის გარეშე შევუნაცვლოთ მათ ადგილები, გვექნება: **მერიას ფე ცო ლაცა სო, დანეც ცო ძალმაკა სო არჩევნახ დეუტატელ** „მერიამ მხარი არ დამიჭირა, იმიტომ ვერ გავედი არჩევნებში დეუტატად.“

IX. უკავშირო მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება

როგორც წესი, უკავშირო მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარში ყოველთვის საჭიროებს კორელატს. კორელატებად გვაქვს **ოჯუნანო** „იმისთვის“, **ჟე მიზნუე** „იმ მიზე-

ნით“, დამოკიდებული წინადადება კი ზასუხობს კითხვებს **სტენ-ნანბრ?** „რისთვის?“, **სტე მიზნუგ?** „რა მიზნით?“

უკავშირო მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება გვხვდება მთავრის წინა ან მომდევნო პოზიციაში. მთავრისა და დამოკიდებულის ადგილების ცვლა მექანიკურად, ყოველგვარი გარდაქმნის გარეშე ხდება.

მაგალითად:

ოკუენანბრ ნიფსდოს მუშებადოშ დე-ბუმს ვაშბან, მოჰ ნამდს საზღვარგარით ჰაჭუმ ლეც სო „იმისთვის ვასწორებ შრომაში დღე-ღამეს, ქალიშვილის საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა მინდა.“

მოცემულ უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებულია **მოჰ ნამდს საზღვარგარით ჰაჭუმ ლეც სო** „ქალიშვილის სასწავლებლად საზღვარგარეთ გაგზავნა მინდა.“

დამოკიდებული წინადადება ზასუხობს მიზნის გარემოების კითხვაზე **უხანბრ ნიფსდოს მუშებადოშ დე-ბუმს ვაშბან?** „რისთვის ვასწორებ შრომაში დღე-ღამეს (დღეს და ღამეს)?“

ის ხსნის და განმარტავს მთავარში მოცემული კორელატის – **ოკუენანბრ** „იმისთვის“ ზოგად მნიშვნელობას. ყველა ნიშნის მიხედვით მოცემული დამოკიდებული წინადადება მიზნისგარემოებითია.

მთავარ წინადადებაში მოცემული კორელატი იძლევა შესაძლებლობას მარტივად შეეფუცვალთ პოზიცია დამოკიდებულს. გვექნება **მოჰ ნამდს საზღვარგარით ჰაჭუმ ლეც სო**, **ოკუენანბრ ნიფსდოს მუშებადოშ დე-ბუმს ვაშბან** „ქალიშვილის სასწავლებ-

ლად საზღვარგარეთ გაგზავნა მინდა, იმისთვის ვასწორებ შრომა-
ში დღე-ღამეს.“

X. უკავშირო შემასმენლური დამოკიდებული წინადადება

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება საერთოდ შეზღუდულ შინაარსობრივ კონტექსტს მოიცავს, რის გამოც სხვა სინთეზით ფუნქციონირებს ქართული ენის ზეპირსა თუ წერიტს მეტყველებაში. კიდევ უფრო ნაკლებია აღნიშნული ტიპის დამოკიდებულ წინადადებათა უკავშიროდ გამოყენების შენთხვევები. მოცემულ საკითხში კიდევ უფრო შეზღუდული ვითარება გვაქვს წოვათუშურში, თუმცა მაინც ვხვდებით აღნიშნული ტიპის დამოკიდებულ წინადადებათა მთავართან უკავშირო შეერთების ერთეულ შემთხვევებს.

მაგალითად:

1. **სო ოშტუ ვასრ, ჯავრ ცოჭანნ მითოს** „მე ისეთი ვარ, ჯავრს არავის შევარჩენ.“
2. **ეჭათ დრო ოშტუ მარ, ჰამეგო ვეჩონ ლატუმლა ცო დარ** „მაშინ დრო ისეთი იყო, ვინმეს სხვისი დანმარების საშუალება არ ჰქონდა.“

მაგალითად, დასახელებულ პირველ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **სო ოშტუ ვასრ** „მე ისეთი ვარ“, მეორეში კი **ეჭათ დრო ოშტუ მარ** „მაშინ დრო ისეთი იყო.“

კორელატის საკითხს ამჯერად ცალკე ვერ დავსვამთ, რადგან აქ, ორივე მთავარ წინადადებაში, შემასმენლის ნაცვალსახელით გადმოცემული სახელადი ნაწილი ასრულებს კორელატის როლს.

გამოდის, რომ ასეთი ტიპის ქვეწყობილი წინადადების მთავარში, როგორც საგალობლო, ყოველთვის გვაქვს კორელატი, რომლის მიმართ დასმულ კითხვასაც პასუხობს დამოკიდებული. პირველი წინადადების დამოკიდებული პასუხს იძლევა კითხვაზე **მოლჟ ვასრ სო?** „როგორი ვარ მე?“

მეორე დამოკიდებული წინადადების კითხვაა **მოლჟ დრო მარ ეჭათ?** „როგორი დრო იყო მაშინ?“

ორივე დამოკიდებული წინადადებას ხსნის და აკონკრეტებს მთავარი წინადადების შემასმენლის სახელადი ნაწილის ზოგად მნიშვნელობას, ანუ ორივე უკავშირო შემასმენლური დამოკიდებული წინადადებაა.

საინტერესოა, რომ გვაქვს მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების ისეთი შემთხვევებიც, როცა კავშირიანთან შედარებით სტილური უპირატესობა მთავართან დამოკიდებულის უკავშირო შეერთებას ეძლევა.

მაგალითად:

1. **ხკოლის ბარე მისენრ ვშიროშ დაკლევლარასრ, ოშტიჟ კაჲ ფეხ ლათელრ ტშერამღრ ლამნიცჷ, ლე სჷ ბჷდროლსჷ ჩაჷ დამხნო-ლომნრ** „ნათხულში ბარად დარჩენილს ხშირად მეფეიქრებოდა, ისევე ისე ახლოს უდგანან ვარსკვლავები მთებს, თუ ჩემს ბავშვობასავით შორს წავეიდოდნენო.“ (მიქელაძე 2014 – 44)

2. **თხჷ ტყოჲ დოჲ ეჷწრ სჷ ოსრგჷ. მშვიდათ, თიგუშ ლამნიგრ ცო ჰეჷჷჷჷჷ სოჷ: ჰათეჲ დეთდალჷ იხრ ი სჷ დოჲ** „დღესაც კიდევ გული მიმიწევს იქით. მშვიდად, მოსვენებით მთებს ვერ ვუყურებ: მაშინვე აჩქარებულ ძვერას იწყებს ეს ჩემი გული!“ (მიქელაძე 2014 – 44)

თავი IV.

რთული სინტაქსური კონსტრუქციები

§27. რამდენიმე ერთგვარი და არაერთგვარი დამოკიდებული წინა- დადება მთავართან

ჩვენ მიერ აქამდე განხილული წინადადებათა დაქვემდებარების თითქმის ყველა შემთხვევა ისეთია, სადაც ერთ მთავარს ერთი დამოკიდებული ახლავს. წოვათუშურ ენაში, სადაც უკვე ბოლომდე არის დამკვიდრებული რთულში შემაჯალ მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების მდიდარი და დახვეწილი ქართული სისტემა, თავისუფალ მიმოქცევაშია რთული სინტაქსური კონსტრუქციებიც, სადაც ერთ მთავარს რამდენიმე დამოკიდებული უკავშირდება.

როგორც ცნობილია, რთულ წინადადებაში შემაჯალი რამდენიმე დამოკიდებულიდან შეიძლება ყველა უშუალოდ მთავარს უკავშირდებოდეს, ან კიდევ გვექონდეს თანამიმდევრული დაქვემდებარება, როცა მთავარს ახლავს ერთი დამოკიდებული, დამოკიდებულს კი თავისი დამოკიდებული.

დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც საერთო მთავარს უკავშირდება, ორი სახისაა: ერთგვარი და არაერთგვარი.

ერთგვარია ერთ მთავართან დაკავშირებული რამდენიმე დამოკიდებული წინადადება, რომლებიც ერთი და იმავე ფუნქციისანი არიან, ყველა ქვემდებარულია, ან განსაზღვრებითი და ა. შ. ასეთი დამოკიდებული წინადადებები ერთნაირად მიემართებიან მთავრის ერთსა და იმავე წევრს, ან მთლიანად მთავარ წინადადებას.

მაგალითად:

ზეზგაფ წე, რაკი შადრე ვაჟკაცბეე დაჰ გაკუმრბადმიერ ქვეყანან,
რაკი დაჰ გადარჩენადმიერ კახით თათრიე აონრბადმარეხ, ვად
ნახლო დაჰ ცომაცნე მაუ „ზეზგას სახელი, რაკი თავისი ვაჟკა-
ცობით ქვეყანა გააკვირვა, რაკი კახეთი გადაარჩინა თათრე-
ბისგან აონრებას, ჩვენს ხალხში არასოდეს დაიკარგება.“

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია **ზეზგაფ წე ვად**
ნახლო დაჰ ცომაცნე მაუ „ზეზგას სახელი ჩვენს ხალხში არასოდეს
დაიკარგება“. აქ მოცემულ შემასმენელს ორი მიზეზისგარემოები-
თი დამოკიდებული წინადადება ახლავს:

1. **რაკი შადრე ვაჟკაცბეე დაჰ გაკვირბადმიერ ქვეყანან** „რაკი
თავისი ვაჟკაცობით გააკვირვა ქვეყანა.“
2. **რაკი დაჰ გადარჩენადმიერ კახით თათრიე აონრბადმარეხ**
„რაკი გადაარჩინა კახეთი თათრებისგან აონრებას.“

შეიძლება დავასკვნათ, რომ განხილული ქვეწყობილი წინადა-
დება ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებაინია.

ანალოგიური ვითარება გავქვს შემდეგ რთულ ქვეწყობილ წი-
ნადადებაშიც, სადაც მთავარი წინადადების ერთ შემასმენელს
ორი დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება უკავშირ-
დება:

მარწ ღაზნნ მოყ ეჰათ დარ,
ბაცბიე ბაცბრათ მე ამბუდ დორ,
დონინმაქ თამლზი ნოხკიჩუდშე
ფსტი-ბანდრი ლაუმეუ მე ჰალო გელორ
„რა კარგი იყო მაშინ,
თუ შეები თუ შურად რომ ლაპარაკობდნენ,
ცხენებზე ხურჯინებაკიდებულეებს

ცოლ-შვილი მთაში რომ მიჰყავდათ.“ (მიქელაძე 2011 – 194)

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია: **მარჯ ლახნხ მოყ ეჭათ დარ** „მაშინ იყო რა კარგი“.

მთავარ წინადადებაში მოცემულ კორელატს **ეჭათ** „მაშინ“ განმარტება-დაზუსტებისათვის ახლავს ორი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება:

I. **ბაცბიე ბადცბრათ მუ ამბუჟ დორ** „თუშები თუშურად რომ ლაპარაკობდნენ.“

II. **დონმაქ თადღონი ვოხკოჩუდშე ფსტი-ბზდრი ლაჟიჟ მუ ჰალო გელორ** „ცხენებზე ხურჯინებაკიდებულებს, ცოლ-შვილი მთაში რომ მიჰყავდათ.“

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, მთავარი წინადადების ერთ წევრს ამჯერად ორი დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება ახლავს, ანუ ეს დამოკიდებული წინადადებები ერთგვარია.

როცა დამოკიდებული წინადადებები ერთგვარია ანუ ერთმანეთის მიმართ თანწყობილია, ისინი ხშირად მაერთებელი კავშირით უერთდებიან ერთმანეთს.

მაგალითად:

ო ადგილ, მიჩჰე წა დეწეთხ თაგდანჰ, მიჩჰე დახან დეწეთხ ხაბჰან, ფჰექქორთის და „ის ადგილი, სადაც სახლი უნდა ავაშენოთ და სადაც უნდა დავინაგდეთ, სოფლის თავშია.“

აქ მთავარი წინადადების ერთ წევრს (**ო ადგილ** „ის ადგილი“) ახლავს ორი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომლებიც, როგორც თანწყობილნი, „და“ კავშირით არის შეერთებული.

ერთ მთავართან დაკავშირებული დამოკიდებული წინადადებები არაერთგვაროვანია, როცა ისინი სხვადასხვა ტიპისანი არიან, ან მთავრის სხვადასხვა წევრს მიემართებიან.

მაგალითად:

1. **ჟაგნო, მენსუ დუდახ იცნას, უჯრ ადმენეე ქებადიქ სოგო, მენუ ზორადში ხეტინო და** „წიგნი, რომელიც წედან ვიყიდე, იმ ადამიანმა მიქო, ვინც ძალიან ნაკითხია.“

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია: **ჟაგნო უჯრ ადმენეე ქებადიქ სოგო** „წიგნი იმ ადამიანმა მიქო.“ მოცემულ მთავარ წინადადებას ახლავს ორი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება; პირველი: **მენსუ დუდახ იცნას** „რომელიც წედან ვიყიდე“; და მეორე: **მენუ ზორადში ხეტინო და** „რომელიც ძალიან ნაკითხია“. მიუხედავად ერთტიპიურობისა, ეს დამოკიდებული წინადადებები არაერთგვარია, რადგან ისინი მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრებს მიემართებიან. ეს წევრებია **ჟაგნო** „წიგნი“ და **უჯრ** „იმ“.

როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებული წინადადებები არაერთგვარია მაშინაც, როცა ისინი ერთსა და იმავე წევრს მიემართებიან, მაგრამ სხვადასხვა ტიპისანი არიან.

მაგალითად:

1. **მომხსენებლეგო ყურადღებით ლარკ ღუფუნოჰრადში, უეჭველათ დატყობადორადში, მე მოხსენებ ზეპირათ მარჯამიენო** „მომხსენებლისთვის ყურადღებით რომ მოგესმინათ, უეჭველად შეატყობდით, რომ მოხსენება ზეპირად ჰქონდა დასწავლილი.“

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადებაა **უეჭველათ დატყობადორადში** „უეჭველად შეატყობდით“.

მას ახლავს ორი დამოკიდებული:

1. **მომხსენებლები** **ყურადღებით ლარკ ლუდენოჰრაძე**

„მომხსენებლისთვის ყურადღებით რომ მოგესმინათ.“

2. **მე მოხსენებ ზეპირათ მარ ლამიენი** „რომ მოხსენება ზეპირად ჰქონდა დასწავლილი.“

მოცემული დამოკიდებული წინადადებები არაერთგვარია, იმიტომ რომ ისინი სხვადასხვა ტიპისანი არიან: პირველი პირობითი დამოკიდებულია, მეორე კი პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული.

II. **სანამ ეგუს დეფცინი დეფცუცას, ოჰნ დეწეს შუგ ალწ, მე დუემათ ხკულის მარ ე ამბუდ** „სანამ ამის მოყოლილს

მოგყვებოდე, ისიც უნდა გითხრათ, რომ შუა ზაფხულს იყო ეს ამბავი.“ (მიქელაძე 2011 – 77)

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში გვაქვს აგრეთვე ერთ მთავართან შეწყობილი ორი დამოკიდებული წინადადება;

მთავარია: **ოჰნ დეწეს შუგ ალწ** „ისიც უნდა გითხრათ“.

დამოკიდებული:

1. **სანამ ეგუს დეფცინი დეფცუცას** „სანამ ამის მონაცოლს მოგყვები“.

2. **მე დუემათ ხკულის მარ ე ამბუდ** „რომ შუა ზაფხულში მოხდა ეს ამბავი“.

მოცემული დამოკიდებული წინადადებები მთავრის ერთსა და იმავე წევრს – შემასმენელს – მიემართება, მაგრამ ისინი არაერთგვარია, რადგან სხვადასხვა ტიპისანი არიან: ერთი დროის გარემოებითა, მეორე კი – პირდაპირ დამატებითი.

§28. თანამიმდევრული დაქვემდებარება

დამოკიდებული წინადადებების თანამიმდევრული დაქვემდებარება გვაქვს მაშინ, როცა მთავრის დამოკიდებულს თავისი დამოკიდებული ახლავს, დამოკიდებულის დამოკიდებულს თავისი დამოკიდებული და ა. შ. ამ გზით იქმნება დაქვემდებარების კიბისებური სახე: წინადადება, რომელიც ერთი წინადადების მიმართ დამოკიდებულია, მეორის მიმართ არის მთავარი და ეს წესი გრძელდება ბოლომდე.

მაგალითად:

იბოს ას ბძევეწრო ჩნიგო ლარკი დაჰ თეტრ, მჟ ბინი ჰორალორ, მიჩჰჟ მწყემსი დარწმუნბადბორ სე სიმართლეს „იბომ ჩემ მოკლულ დათვის ყურები დააჭრა, რომ (რათა) ბინაში წაეღო, სადაც მწყემდებს დაარწმუნებდა ჩემს სიმართლეში.“ (მიქელაძე 2014 – 120)

მოცემულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია პირველი წინადადება **იბოს ას ბძევეწრო ჩნიგო ლარკი დაჰ თეტრ** „იბომ ჩემ მოკლულ დათვის ყურები დააჭრა.“

მთავარზეა დამოკიდებული მეორე წინადადება **მჟ ბინი ჰორალორ** „რომ (რათა) ბინაში მიეტანა.“ ეს დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითია, რადგან პასუხობს მიზნის გარემოების კითხვაზე და ასრულებს მიზნის გარემოების როლს მთავრის შემასმენელთან.

მეორე დამოკიდებული წინადადებაა: **მიჩჰჟ მწყემსი დარწმუნბადბორ სე სიმართლეს** „სადაც მწყემსებს დაარწმუნებდა ჩემს სიმართლეში.“ ეს დამოკიდებული წინადადება უკვე ექვემდებარება პირველ დამოკიდებულ წინადადებას, რადგან ასრულებს გარკვე-

ული წევრის (მიზნის გარემოების) როლს სწორედ პირველი დამოკიდებულის შემასმენელთან. ცხადია, ამჯერად დაქვემდებარება თანამიმდევრულია.

თანამიმდევრულად დაქვემდებარებული წინადადებების რიცხვი შეიძლება ორზე მეტიც იყოს. მაგალითად:

სამსაზნებოლო ჩუ დეცენო გაკვირბადმაღლო დისქსო, მაცნე ოჯხე ოშტუ ნახ ბჟარდახე სო, ჰანხინ ბჟ ჩაც რიდალარას, რაკი ოჯარხ დუც მოსო უმ ხაწქდარ სო, ვუხე დაჰ ცოჰანე ლეჭყდოგერ „სამსახურიდან დაბრუნებული გაკვირვებული დაგრჩი, როცა ოჯახში ისეთი ხალხი დამხვდა, ვისაც ყოველთვის ვერიდებოდი, რაკი მათს შესახებ ბევრი ცუდი მსმენმოდა, რასაც აღარაგინ მალავდა.“

მოცემული ქვეწყობილი წინადადება ხუთი მარტივი წინადადებისგან შედგება, რომელთა შორის მთავარია **სამსაზნებოლო ჩუ დეცენო გაკვირბადმაღლო დისქსო** „სამსახურიდან დაბრუნებული გაკვირვებული დაგრჩი“.

მთავარი წინადადების დამოკიდებულია (I ხარისხის დამოკიდებულია) **მაცნე ოჯხე ოშტუ ნახ ბჟარდახე სო** „როცა ოჯახში ისეთი ხალხი დამხვდა“.

I ხარისხის დამოკიდებული წინადადების დამოკიდებული წინადადებაა, ანუ II ხარისხის დამოკიდებულია **ჰანხინ ბჟ ჩაც რიდალარას** „ვისაც ყოველთვის ვერიდებოდი“.

III ხარისხის დამოკიდებულია **რაკი ოჯარხ დუც მოსო უმ ხაწქდარ სო** „რაკი მათ შესახებ ბევრი ცუდი მსმენმოდა“.

IV ხარისხის დამოკიდებულია **უხე დაჰ ცოჰანე ლეჭყდოგერ** „რასაც აღარაგინ მალავდა“.

თანამიმდევრული დაქვემდებარების დროს ერთმანეთის მომდევნო სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებულ წინადადებებს შორის ისეთივე მიმართება გვაქვს, როგორც გვაქვს მთავარსა და მის დამოკიდებულს შორის. მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში ჰირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადება დამოკიდებულია მთავრის მიმართ, მაგრამ მთავარია მეორე ხარისხის დამოკიდებულის მიმართ. მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადება მთავარია მიესამე ხარისხის დამოკიდებულის მიმართ და ა. შ.

§29. შერეული სახის რთული წინადადება

ისევე, როგორც ქართულში, წოვათუშურშიც ხშირად ვხვდებით ერთდროული თანწყობისა და ქვეწყობის შემცველ რთულ წინადადებებს. ისეთ რთულ წინადადებას, სადაც თანწყობაც გვაქვს და ქვეწყობაც, შერეული სახის რთული წინადადება ჰქვია. აღნიშნული ტიპის რთულში შემავალი თანწყობილი წინადადების ნაწილები ერთმანეთს უერთდება მავჯუფებელი ან მაპირისპირებელი კავშირებით, როგორცაა: **ჟ** „და“, **მწ** „მაგრამ“, **ხოლოთ** „ხოლო“...

ზოგჯერ მათივე უკავშირო შეერთებაც გვხვდება.

მაგალითად:

**ღუხანე ცო ზედაძენორ ობი უმსჷ, უკვე უკანასკნელ
სადღეგრძელო ღეგბორალო თამდეს, მაცნჷ მაქ ლეკი
ვითნორ** „დიდხანს არა მსხდარიყენენ ისინი იქ-და უკვე
უკანასკნელ სადღეგრძელოს ამბობდა თურმე თამადა, როცა
ზედ ლეკები დასხმოდნენ“ (მიქელაძე 2011 – 109)

მოცემული მაგალითი სამ მარტივ წინადადებას აერთიანებს, ესენია:

1. **ღუხანე ცო ღელაძეკნორ ობი უმსი** „დიდხანს არა მსხდარიყენენ ისინი იქ.“
2. **უკვე უკანასკნელ სადღეგრძელო ლეგებორალო თამდეს** „უკვე უკანასკნელ სადღეგრძელოს ამბობდა თურმე თამადა.“
3. **მაცნე მაქ ლეკი ვითნორ** „როცა თავს ლეკები დასხმოდნენ.“

ჩამოთვლილი მარტივი წინადადებებიდან რთულის შექმადგენლობაში პირველი ორი თანწყობის გზითაა ერთმანეთთან შეერთებული და ორშემადგენლიან თანწყობილ წინადადებას ქმნიან. რაც შეეხება მესამე მარტივ წინადადებას, ის, როგორც დროის გარემოებითი დამოკიდებული, დაქვემდებარების მიმართებაშია თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილიდან. გვაქვს თანადროული თანწყობაც და დაქვემდებარებაც, რის გამოც განხილული რთული წინადადება შერეული სახისაა.

წოვათუშური ენის ზეპირმეტყველებისა თუ წერილობითს წყაროებში გვხვდება შერეული სახის რთული წინადადების კომპონენტთა პოზიციური ურთიერთმიმართების ისეთი სახეებიც, როცა ქვეწყობილია რთული თანწყობილი წინადადების პირველი ნაწილი, ან ქვეწყობილია რთული თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი, ან კიდევ მისივე ორივე ნაწილი.

მაგალითად:

1. ქვეწყობილია რთული თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი:
1. **ივუფოდოლოქ სამუდმოთ დაჰამტნორ დოჰ, ლეგჰ მს უმშ**

დაჭეშტარგადონორ, მე სასწაფოთ დონნ ხაყენრ ტყუაჭე
გონწვადონორ მღევერენ „ამის მერე სამუდამოდ გაჩუქებულიყო
ქალი, ლეგანი კი ისე გაგოქებულიყო, რომ ცხენზე შემომჯღდა-
რი სასწრაფოდ უკან გამოსდევნებოდა მღევეარს.“ (მიქელაძე
2011 – 110)

2. დოდო შეყ ფსარლო ხილენე, დამბარჩე დაჭე გუბალქრო მღევე-
რინ დაგენ, მე ო შობიგო ოსი წარიშ აკურ „ამასობაში მოღამდა
და ალანისთავში გადაჩენილმა მღევეარმა დაინახა, რომ იმ
ფშავლებს იქ ცეცხლები ენთოთ.“ (მიქელაძე 2014 – 20)

დასახელებული შერეული სახის რთული თანწყობილი წინადა-
დებებიდან პირველი თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი შე-
იცავს ვითარებისგარემოებით დამოკიდებულ წინადადებას, მეორე
თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს კი ექვემდებარება პირ-
დაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება.

II. ქვეწყობილია რთული თანწყობილი წინადადების პირველი
ნაწილი:

მაგალითად:

1. ხეტრარლო მაჭოხ ნანას, ხუმ ცომენა ვეწე ჰონანნრ, მან დოჭე დუხ
ცო ლიფრარლო „ეკითხებოდა თურმე გოგოს დედა, ხომ არავინ
გიყვარსო, მაგრამ გოგო არ ჰასუხობდა.“ (მიქელაძე 2011 –
107)

2. ბუჭეხნე ვუხ ცო ვერწმადკჩე, ლაზრეგო ბანდრი ბანდო დისო,
სოგო მან ჯერ ბანდერ ცო დამცო „ომიდან თუ ვერ დაბრუნდა,
ლაზარს შეილები ობლად დარჩება, მე კი ხომ ჯერ შეილი არა
მყავს.“ (მიქელაძე 2011 – 129)

მაგალითებად დასახელებულ ორსავე რთულ წინადადებაში დამოკიდებული ახლავს თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილს. დამოკიდებული წინადადება პირველ შემთხვევაში პირდაპირ დამატებითია, მეორე შემთხვევაში კი – პირობითი.

III. ქვეწყობილია რთული თანწყობილი წინადადების ორივე ნაწილი.

მაგალითად:

1. **თხა და წყებუც დაწი მდგომარეობ გად მატგო დახუც, მუ ყოჩუდშნ ახნაც ცო მაკეგე გადღუშ ამბუდ ძა, ჰანნა მნ მითომ გეთე ე ვაჩ მოტტ, გეჩნადრათ დუგ შეცდომი შეგებადმო „დღეს აქვს ნამეტანი მძიმე მდგომარეობა ჩვენს ენას იმიტომ, რომ ახალგაზრდების ნახევარსაც კი აღარ შეუძლიათ ჩვენებურად ლაპარაკი, ხოლო ვინც ვითომ იცის, ძალზე ბევრ შეცდომას უშვებს.“** (მიქელაძე 2014 – 105)

2. **სო ზორადში გაკუდრბადლო, მუ აკადემიკოს შანიძენ სოხ დაზიშ გეთერ ვაჩ მოტ, ო მნ ნიკო ძიეგო ვერწი კუძნრათ, მუ ყოჩუდშე ზორადში ყიულ ბანრათხ თხაჩ მოტ „მე ძალიან გამიკვირდა, რომ აკადემიკოსმა შანიძემ ჩემზე კარგად იცოდა ჩვენი ენა, მან კი ძია ნიკოს შესჩივლა ქართულად, რომ ახალგაზრდები ძალიან ვადარბებდით საკუთარ ენას.“** (მიქელაძე 2014 – 109)

მაგალითებად დასახელებული შერეული სახის ორსავე რთულ წინადადებაში გვაქვს ერთდროული თანწყობაც და ქვეწყობაც. თანწყობილი წინადადებები ორივეგან ორშემადგენლიანია, რომელთაგან თითოეულს ახლავს თითო დამოკიდებული წინადადება. პირველ მაგალითში გვაქვს მიზეზის გარემოებითი და ქვემდება-

რული დამოკიდებული წინადადებები, მეორეში კი – ქვემდებარული და პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადებები.

ცხადია, შერეული სახის რთული წინადადება შეიძლება შეიცავდეს არა მხოლოდ ორშემადგენლიან თანწყობილ წინადადებას, არამედ სამ- და მეტშემადგენლიანსაც ისევე, როგორც შეიძლება მეტი იყოს თანწყობილი წინადადების თითოეულ შემადგენელზე დამოკიდებული წინადადებების რიცხვიც.

ზოგჯერ ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა თანწყობილი წინადადების ორსავე ნაწილს ერთი საერთო დაქვემდებარებული წინადადება გააჩნია.

მაგალითად:

ოშტჷ ლამზურ ლევდორ წინუსგო ბჷარკიჷ, ოშტჷ დარდ

ლათრალორ ჩუჷ, მჷ აღელბადვალჩორ მიქლეგო დელ

ლამსტნორ „ისეთი ლამაზი ჰქონოდა პატარძალს თვალები და ისეთი დარდი მდგარიყო შიგ, რომ აღელვებულ მიქელს ტანი შეჰქანებოდა.“ (მიქელაძე 2011 – 30)

მოცემულ შემთხვევაში საერთო დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია. ნიშნეულია ამჯერად ის გარემოება, რომ თანწყობილი წინადადების ორსავე ნაწილში გვაქვს დამოკიდებულის კორელატი **ოშტჷ** „ისეთი“.

თავი V.

წინადადებათა ქვეწყობის არქაული სინტაქსური კონსტრუქციები

§30. საკითხის ზოგადი მიმოხილვა

როგორც წინა თავებში განვიხილეთ, თანამედროვე წოვათუ-შურ ენაში სრულად დაფიქსირდა მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების ყველა ის ტიპური შემთხვევა, რაც თანამედროვე ქართულში გვაქვს; მათემატიკური სინთესით არის გადმოღებული კავშირიანი თუ უკავშირო ქვეწყობის მაორგანიზებელი კორელატები თუ კავშირები და წევრ-კავშირები, შონარსობრივი თუ ინტონაციური მიმართება მთავარსა და დამოკიდებულს შორის, მარტივი, ერთსაფეხურიანი ქვეწყობისა თუ რთული, მრავალსაფეხურიანი ქვეწყობის მოდელები.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, მიუხედავად წოვათუშური ენის მარტივ წინადადებათა ქვეწყობის ახალი მოდელების სრული შესატყვისობისა ქართული ენის სათანადო მოდელებთან, ამ მოდელთა მაორგანიზებელი მასალა: კორელატები, კავშირები თუ წევრ-კავშირები – ყველა, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, მსესხებელმა ენამ საკუთარი ლექსიკური ინვენტარიდან აწარმოვა ქართული სტანდარტის მიხედვით. ამ მოვლენას საფუძვლად, ცხადია, წყარო ენის გავლენისგან მსესხებელი ენის თავდაცვის ინსტინქტი უდევს. აღნიშნული ფაქტიდან კარგად იკვეთება ის გარემოებაც, რომ ენობრივი გავლენები ძირითადად სააზროვნო მოდელთა გარ-

დაქმნას ემსახურება, საორგანიზაციო მასალა კი ტექნიკური მომსახურების რიგით სამუშაოს ასრულებს მხოლოდ.

წოვათუშურში დღეს მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების ორი სისტემა მოქმედებს პარალელურად: საკუთარი და ქართულიდან შეთვისებული. ქართული სისტემა აქტიურ მომიტყვევაშია ამ ენაზე მოსაუბრეთა შორის, საკუთარი კი დავიწყებას ეძლევა სწორედ ნასესხები სისტემის აქტიური ზეგავლენით.

ზემოთ, მარტივ წინადადებათა ქვეწყობის საკითხებზე მსჯელობისას, ჩვენ დაგახსნათეთ წოვათუშურში ფართოდ მოქმედი დაქვემდებარების ქართული სისტემა, ახლა კი იმავე დაქვემდებარების საკუთრივ წოვათუშურ სისტემას შევხებით. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ეს არაა ბოლომდე ჩამოყალიბებული და დასრულებული სისტემა ქვეწყობისა, ეს მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების დიდი ხნის წინ დაწყებული, მაგრამ დაუმთავრებელი ნაგებობაა, რომლის შემდგომ სრულოქმნისა და გაფართოების ხელი შეუშალა ქართული ენის მზა, მრავლისმომცველმა სისტემამ.

ყველაზე დიდი თავისებურება დაქვემდებარების ძველი სისტემისა მდგომარეობს იმაში, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნურ ფორმათა ფუნქციურ ურთიერთობას ცალკე, დამოკიდებულ სიტყვებად წარმოდგენილი კავშირი და კორელატი კი არ განსაზღვრავს, არამედ ზმნის კონკრეტული ასპექტისა თუ დროის ფორმაზე დართული მაქვემდებარებელი სუფიქსები. თანამედროვე წოვათუშურ ენაში სულ რამდენიმე ასეთი სუფიქსი ფუნქციონირებს. ესენია: -ში, -ჩე, -ჰ, - ჰერ, -ჩუფ, -ჩეჰერ. მათზე დაყრდნობით ხდება ორგანიზება სამი სახის დამოკიდებული წინადადებისა, როგორცაა: დროისგარემოებითი დამოკიდებული წინ-

დადება, მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება და პირობითი დამოკიდებული წინადადება.

მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების საკუთრივ წოვათუშური სისტემის სიძველეს ცხადყოფს რამდენიმე გარემოება:

I. აღნიშნული სახით ის დღეს აქტიურად ფუნქციონირებს წოვათუშურის უახლოესად მონათესავე ჩეხურსა და ინგუშურ ენებში;

II. წოვათუშური ენის წინადადებათა ქვეწყობის საკუთარი სისტემის ყველაზე ძველ მოდელში, როგორცაა დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება, შემასმენლები მონაცვლეობენ არა დროის, არამედ ასპექტის მიხედვით.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად ითვლება უკვე ის გარემოება, რომ, როგორც გრამატიკული კატეგორია, ასპექტი უსწრებდა დროს. მოცემულ საკითხზე ვრცლად მსჯელობს პროფ. ზ. ჭუმბურიძე. მკვლევარი ასკვნის, რომ: „დროის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ასპექტი: დიურატიული და მომენტობრივი. ეს ორი ასპექტი საფუძვლად დაედო ორი დროის, აწმყოსა და წარსულის, გარჩევას, მომავალი დრო კი შედარებით გვიან გამოიყო“ (ჭუმბურიძე 1986 – 3).

დაქვემდებარების აღნიშნული სისტემის სიძველეს ჩეხური ენის მასალაზე დაყრდნობით ადასტურებს პროფ. ნ. იაკოვლევი: „Подчинение придаточных предложений с помощью особых глагольных форм, которые мы назвали *придаточными формами сказуемого*, представляет собою более древнее явление в языке, чем подчинение их с помощью относительных союзов и местоимений“ (იაკოვლევი 1940 – 178).

§31. დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე წოვათუშურ ენაში დაქვემდებარების ძველი სისტემა სამი სახის დამოკიდებულ წინადადებას მოიცავს, გვაქვს: დროისგარემოებითი, მიზეზისგარემოებითი და პირობითი დამოკიდებული წინადადებები. დროისგარემოებით დამოკიდებულ წინადადებას კონკრეტული ვითარების მიხედვით ორი სხვადასხვა სუფიქსი გამოხატავს, ესენია: **-ჩე** და **-ჭე**. განვიხილავთ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე.

მაქვემდებარებელი სუფიქსი „**-ჩე**“ ძირითადად დროულ მიმართებას გამოხატავს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების მიმართ, მაგრამ საკმაოდ ხშირად პირობასაც გადმოგვცემს იმავე მთავარში გადმოცემული მოქმედებისა,

გვაქვს: **-ჩე** 1. „მაშინ, როცა“; 2. „მაშინ, თუ“.

შდრ.:

1. **ნიკო ვეც-ჩე, სო უმსი ვარსსო** „ნიკო როცა მოვიდა, [მაშინ] მე იქ ვიყავი.“
2. **ნიკო ვეც-ჩე, ას უმს ცო ვალოს** „ნიკო თუ მოვა, [მაშინ] მე იქ არ მოვალ.“

საინტერესოა ის გარემოება, რომ მოცემული საგარემოებო სუფიქსი დაერთვის ზმნის მხოლოდ სრულასპექტიანი ფორმების ფუძეს და გამოხატავს მოქმედების სრულ ასპექტს დროის გარეშე. შესაბამისად, როგორც ზმნის სრულასპექტიან ფორმას, მას შეუძლია გამოხატოს მხოლოდ ორი დრო: წარსული და მომავალი; ხოლო ის, თუ ამ ორი დროიდან რომელია გამოხატული ზმნის **-ჩე**-სუფიქსიანი ფორმით, ზუსტდება მთავარი წინადადების ზმნის დროის მიხედვით: დასახელებული ორი დროიდან ისაა დამოკიდებული წინა-

ნადადების ზმნის დრო, რა დროცაა გამოხატული მთავარი წინადადების ზმნით.

შდრ.:

1. ნიკო ვეც-ჩე, სო უმსი ვარასო „ნიკო როცა მოვიდა, ჩაშინი მე იქ ვიყავი.“

2. ნიკო ვეც-ჩე, ასა უმსი ხილას „ნიკო როცა მოვა, ჩაშინი მეც იქ ვიქნები.“

როგორც ეს თარგმანებში გამოიხატა, ზმნის ერთმა და იმავე ფორმამ (ვეცჩე) კონკრეტული ვითარების მიხედვით ანუ მთავარი წინადადების ზმნის დროის მიხედვით ორი სხვადასხვა დრო გამოიხატა: წარსული და მომავალი.

დგება კითხვა: რით ავსებს ენა დამოკიდებული წინადადების ღიად დარჩენილი ახლანდელი დროის ფორმებს? საგულისხმოა, რომ ეს ხდება იმავე მოქმედების აღმნიშვნელი ზმნის უსრული ასპექტის ფორმებზე დაყრდნობით, ახლა უკვე ამ ფორმას დაერთვის მაქვემდებარებელი აფიქსი. ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოებაც, რომ იმავე ზმნის უსრული ასპექტის ფორმებს მაქვემდებარებელი ფუნქციით სულ სხვა სანიშნო სუფიქსი დაერთვის, ესაა -შ.

მაგალითად:

ნან სამსოხრელოქ ძალო-შ, ას სანიგო ბჰარინას „დედა

სამსახურიდან როცა მოდის, ჩაშინი მე კარებთან ვხვდები.“

მოცემული -ჩე და -შ სუფიქსიანი მაგალითების შედარება ნათლად წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ წოვათუშურში ასპექტის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება ერთი და იმავე ზმნის გან-

სხვაგვარი ფუძეები, ანუ სრული და უსრული ასპექტის გამო-
ხატველი ფუძეები.

აღნიშნული ასპექტობრივი დაპირისპირება დამოკიდებული
წინადადების სხვადასხვა დროის ფორმებს შორის განსაკუთრებით
ნათლად იჩენს თავს, როცა საანალიზოდ ქართულიდან ნასესხებ
ზმნისწინიან ფორმებს ვიღებთ. ასეთი დაკვირვების საშუალებას
გვაძლევს ის გარემოება, რომ წოვათუშურმა ენამ ქართულიდან
ნასესხები აუარებელი ზმნის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებ-
ზე დაყრდნობით ასპექტის გამოხატვის საკუთარი სისტემის პრა-
ლელურად გაითავისა და ნასესხები ზმნებისათვის დაუშვა ასპექ-
ტის გამოხატვის ქართული, ზმნისწინზე აგებული სისტემა.

მაგალითად:

1. **ას დავალებ დაწერადმიჩე, ნან ჩუჰ მარ** „მე დავალება
დავწერე-როცა, დედა შინ იყო.“
2. **ას დავალებ დაწერადმიჩე, ნან ჩუჰ ხილუ** „მე დავალებას
დავწერ-როცა, დედა შინ იქნება.“
3. **ას დავალებ წერადმოშ, ნან სოფ ფენის ღეაღტ** „მე დავალებას
ვწერ-როცა, დედა ჩემთან ახლოს ზის.“
4. **ას დავალებ წერადმოშ, ნან სოფ ფენის ღეაღტურ** „მე დავალე-
ბას ვწერდი-როცა, დედა ჩემთან ახლოს იჯდა.“

დასახელებულ მაგალითებში ყურადღებას იქცევს ის გარემო-
ება, რომ ნასესხებ „დაწერა“ ზმნაში სრული და უსრული ასპექტის
ფორმები ქართული სისტემით, ანუ ზმნისწინის დართვა-დაურთვე-
ლობით უპირისპირდება ერთმანეთს. მრავლისმეტყველია ის ფაქ-
ტიც, რომ ერთი და იგივე ფორმა ნასესხები ზმნისა დაწერადმიჩე
მთავარი წინადადების ზმნის დროის მიხედვით ერთ შემთხვევაში

სრულ ასპექტიან წარსულ დროდ გაიაზრება, მეორე შემთხვევაში კი ისევ სრულასპექტიანი მომავალი დროის გაგებას იძლევა. რაც შეეხება იმავე ზმნის მეორე ფორმას **წერადღოშ**, ის უსრული ასპექტის ფუძეს ეყრდნობა და ერთ შემთხვევაში რომ ახლანდელ დროის გამოხატავს, მეორე შემთხვევაში უსრულასპექტიანი წარსული დროის ფორმად გაიაზრება.

როგორც ვხედავთ, დამოწმებული ქართული ზმნის მაგალითებში დამოკიდებული წინადადების ზმნის ასპექტისა და დროის გამოხატვის სისტემა ნაჯვარია ანუ ჰიბრიდულია:

I. ქართულია ის, რომ ასპექტი ზმნისწინით გამოიხატება;

II. წოვათუშურია ის, რომ დამოკიდებული წინადადების ზმნის დრო მთავარი წინადადების ზმნის დროით განისაზღვრება, ისევე როგორც ეს ხდებოდა ამ ენის საკუთარი ზმნების შემთხვევაში.

საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ მოცემულ საკითხებზე ფაქტობრივი მასალის მოსაძიებლად აღებულ წოვათუშური ტექსტების ორსავე ტომში სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებთან შედარებით ყველაზე მეტი სიხშირით სწორედ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება დაფიქსირდა, თანაც უმეტესობა მათგან საყრდენი შემასმენლების -**ჩე** სუფიქსიან წარსული დროის ფორმებით არის რეალიზებული. მათმა საერთო რიცხვმა ორსავე ტომში 36-ს მიაღწია ქართული მოდელით აგებული იმავე შინაარსის 8 დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების საპირისპიროდ.

ვფიქრობთ, აღნიშნული შინაარსის დამოკიდებულის შემცველი ქვეწყობილი წინადადებების სიმრავლე წერილობით წყაროებში იმით უნდა აიხსნას, რომ მათში შეტანილი მთლიანი მასალა წო-

ვათუშების განვლილ ცხოვრებას ანუ წარსულ დროს ასახავს და თხრობაც ძირითადად წარსულ დროში ხდება; საკითხავია ოღონდ, ენაში უკვე ფართოდ დამკვიდრებული გამოცალკეებულ-კავშირიანი ქართული მოდელის დამოკიდებული წინადადებების გვერდით რას უნდა გამოეწვია იმავე შინაარსის საგარემოებო-სუფიქსიანი დამოკიდებული წინადადებების გვერდით რას უნდა გამოეწვია იმავე შინაარსის საგარემოებო-სუფიქსიანი დამოკიდებული წინადადებების სიმრავლე? ამისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ვფიქრობთ, ტრადიცია უნდა იყოს, მეორე მიზეზად კი, ალბათ, ის უნდა ჩაითვალოს, რომ დამოკიდებული წინადადების ასეთი ფორმები სამეტყველო დროისა და ენერჯის ეკონომიის თვალსაზრისით აშკარად მომგებიანია.

საანალიზო წერილობითი წყაროებიდან ამოღებული ქართული მოდელის დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მაგალითები წინათავში გვაქვს დამოწმებული სათანადო მსჯელობასთან დაკავშირებით. ამჯერად დავასახელებთ -ჩე სუფიქსიანი დროისგარემოებითი დამოკიდებულის შემცველი ქვეწყობილი წინადადების მაგალითებს იმავე წოგათუშური ტექსტებიდან: დამოკიდებული უსწრებს, ან მოსდევს მთავარს:

მაგალითად:

1. დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს.

1. **ათხ ჰალორ აყრადბაღლ-ჩე, მათხ ადრთვჳ დაჰ ბაგბანორ ლასტენორ** „ჩვენ რომ ავიყარენით, მზე უკვე საკმაოდ იყო გადახრილი.“ (მიქელაძე 2014 – 27)

2. **ბახტრიონი ას აპოკალიფსიკა-ზე, ნატა ვახინაძე მეცნიერული**
ქართული „ბახტრიონში მე-როცა ჩავაღწიე, ნატა ვახინაძე მოვიდა
სწორედ მაშინ.“ (მიქელაძე 2014 – 75)
3. **ათხ ვახინაძე-ზე ნახკინი დოვი, ნახე ნიე ბალო თხი** „ჩვენ
გამოგინდით-როცა გაჭენებული ცხენით, ხალხმა გზა მოგ-
ვცა.“ (მიქელაძე 2011 – 196)
4. **ჰალო ვით-ზე, ჩილი ტოტი მახითიე'ნე ბახოს, ქალაქი იწ-**
დიქ ჰალო „ადგა-როცა, უბეში ხელები ჩაიყო ბახვამ და ქა-
ლალდი ამოიღო.“ (მიქელაძე 2014 – 28)
5. **უნივერსიტეტი დაჰ დამთავრებადი-ზე, დინორ პროფესორი**
ტატოს ოსი ვიფარ „უნივერსიტეტი დაამთავრა-როცა, ეთხო-
ვით პროფესორებს ტატოსთვის იქ დარჩენა.“ (მიქელაძე 2011 –
132)
6. **ში ბაცაე ნაყმაქ ჩუ უთ-ზე, ბუნდუე მოციტავა ამბუა** „ორი
თუში გზაზე გაგჩერდებით-როცა, ქართულად ვიწყებთ აკი
ლაპარაკს.“ (მიქელაძე 2014 – 105)
7. **უმრქ დუხ დირწ-ზე, ნახ უკვე ქასტლაშ დოტურ** „იქიდან
გამობრუნდნენ-როცა, ხალხი უკვე სწრაფად მოდიოდა.“
(მიქელაძე 2014 – 179)
8. **ასწ ჩუ ხანას... სო მადე-ზე, მა დაკლავ, ლეც სო თივჭ** „მეც
დავჯექი... დამინახავ-როცა, ნუ იფიქრებ, დასვენება მინდა.“
(მიქელაძე 2011 – 83)
9. **ისლდე კლას დამთავრებადი-ზე, მარ ვინას** „მეცხრე კლასი
დავამთავრე-როცა, ქმარი შევირთე.“ (მიქელაძე 2014 – 78)

10. ლამნი დაკდახკ-ჩე, სქ დოკად დაშ, მოჰქ წარმაქ დათქ „მთე-ბი გამახსენდა-როცა, ჩემი გული დნება, როგორც ცეცხლზე ერბო.“ (მიქელაძე 2011 – 83)

11. დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს.

1. ჰო მაგარ დენიე გენას და: გაუგან ჩუ ვეხოსო, ჰო მაგ-ჩე „შენი დანახვა სულ სხვაა: მუხლები მერთმევა, დაგინახავ-როცა.“ (მიქელაძე 2011 – 97)

2. ფსარლო ლევგორალო, ობი ალუმნი ჰალორ გამჩ-ჩე „სადამოცოფილიყო, იმათ მიაღწიეს-როცა ალვანს.“ (მიქელაძე 2011 – 120)

3. ტყემწლოღერო საუკუნქ ბოლო ლევბორ, რუსით-თურქითაქ ბუჰ ბოლბადლ-ჩე „მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ყოფილიყო, რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო-როცა.“ (მიქელაძე 2011 – 129)

4. მატრქ დრო მიჩუხ ხილურ ჯერ, ათხ ნაყნ უდო-ჩე „სადილის დრო სად იქნებოდა ჯერ, ჩვენ გზას დავადექით-როცა.“ (მიქელაძე 2014 – 26)

მთავრისა და დროისგარემოებითი დამოკიდებულის პოზიციური მიმართების განხილული ორი წყობიდან, როგორც საილუსტრაციო წინადადებების რაოდენობრივი შეფარდება გვიჩვენებს, დიდი სიხშირული სხვაობით უპირატესობა ენიჭება პირველს. საგულისხმოა, რომ დამოკიდებული წინადადების მთავრის წინა პოზიციის დასახელებული ათი მაგალითის გარდა, ბევრი დარჩა საანალიზო ტექსტებში ისეთი, რომელთა დამოწმებაც კიდევ თავისუფლად შეიძლებოდა, მთავრის მომდევნო პოზიციაში კი იმავე

სახის დამოკიდებული მხოლოდ დამოწმებულ ოთხ მაგალითში და-
დასტურდა.

როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, დროისგარემოებითი დამო-
კიდებული წინადადების უსრულ ასპექტიან ზმნებში იმავე შინაარ-
სის დაქვემდებარება სუფიქსი -ში გამოხატავს. გვაქვს, მაგალითად:

1. **ას დისერტაცია დაცოდმო-ში, ლარაყ ბურჭულაძე გენადის
გაგუა რუსუდნქ რეცენზია ცუდ ხატჲსე დისერტაციენმაქ!** „მე
დისერტაციას ვიცავდი-როცა, უცებ ბურჭულაძე გენადიმ
რუსუდან გაგუას რეცენზია არ წაიკითხა ჩემი დისერტაციის
შესახებ!“ (მიქელაძე 2011 – 52)

2. **ჩტა’ტ, შუგ ე დაშნი დეფცო-ში, ოშტიჲს ო ბჭარკივ ნათბადო
სიჲ** „ახლაც, ამ სიტყვებს გიყვებით-როცა, ისევ ის თვალები
მინათებენ.“ (მიქელაძე 2014 – 29)

3. **ბუჭ ბო-ში, წკიპოს აშარე გერლობითაღლათრალრო მასთხუდ**
„ომობდა-როცა, წკიპო ხმას აშინებინებდა თურმე მტერს.“
(მიქელაძე 2014 – 188)

საყურადღებოა, რომ იმავე განხილულ მაქვემდებარებელი
კავშირების ფუნქციის საგარემოებო -ში და -ჩე სუფიქსებს გან-
სხვავებულ ენობრივ სიტუაციაში სხვა ფუნქციებიც აქვთ, კერძოდ:

ა) მარტივი წინადადების ფარგლებში საგარემოებო სუფიქსი
-ში ვითარების გარემოების ფუნქციას ანიჭებს ზმნურ ფორმას.

ბ) ზმნის ფუძეზე დართული სუფიქსი -ჩე გარკვეულ სიტუა-
ციაში პირობით დამოკიდებულ წინადადებას აწარმოებს.

განვიხილათ თითოეულ მათგანს ცაკ-ცალკე. დავიწყებთ სა-
გარემოებო -ში სუფიქსით. აღნიშნული ფუნქციით ანუ ვითარების
გარემოების მაწარმოებლის ფუნქციით ის დაერთვის ზმნის აწმყოს

მწკრივის ფუძეს; მაგალითები: ვათხ „ტირის“ – ვათხეშ „ტირილით“; ვულ „ყვირის“ – ვულეშ „ყვირილით“; კვენესალა „კვენესის“ – კვენესალაშ „კვენესით“ ...

მაგალითები ტექსტებიდან:

1. დაჰ მალდალთხნო უბნერქ მასკარ-კნათი ნიკლოზ სტეხო-შ „დავიდალეთ უბნის გოგო-ბიჭები ნიკლოზის ლოდინით.“

(მიქელაძე 2011 – 75)

2. კამჰანო გვ საათუ ნებადხკნათხ ქიფეხალა-შ,

სადღეგრძელოუდ აღწ ვაშინ ჯიბრბალა-შ „ზუსტად სამ საათს ვისხედით ქეიფით, სადღეგრძელოების თქმაში ერთმანეთთან შეჯიბრით.“ (მიქელაძე 2014 – 27)

3. ჩუ ხაბუე'ერათხ ბაწარ ჰანო გაუგან ჰერჩლო-შ, ჰალო გავი თეგლორათხ „დავსხდებოდით, ბაწარის ასე მუხლებზე ხევეით შულოებს ვაკეთებდით.“ (მიქელაძე 2014 – 82)

-ჩე სუფიქსის მეორე, დამატებით ფუნქციას ჰირობით დამოკიდებულთან დაკავშირებით განვიხილავთ.

§32. მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზეზის გარემოების ფუნქციის დაქვემდებარების ურთიერთობას დამოკიდებული წინადადების ზმნის ახლა უკვე არა ასპექტის, არამედ კონკრეტული დროის ფორმაზე დართული მაქვემდებარებელი სუფიქსი -ჩუდ გამოხატავს.

შეგადაროთ:

ა) კონკრეტული დროის უსუფიქსო ფორმები:

1. ახლანდელი დრო: მელორ „სვამს“

2. მომავალი დრო: **მალორ** „დალევს“

3. წარსული დრო: **მალოქ** „დალია“

ბ) კონკრეტული დროის მაქვემდებარებელ-სუფიქსიანი ფორმები:

1. ახლანდელი დრო: **მელო-ჩუდ** „რაკი / რადგან სვამს“

2. მომავალი დრო: **მალო-ჩუდ** „რაკი / რადგან დალევს“

3. წარსული დრო: **მალოქ-ჩუდ** „რაკი / რადგან დალია“

მაგალითად:

1. **და ეთჩ-უდ, ჰამივაც დოს მარგებადო** „ზამთარი დგება-რაკი, ყველა შეშას იმარაგებს.“

2. **დადას სოქ წა ეც-ჩუდ, თამამათ ვოლოლას ვნხჳ** „მამა მე სახლს მიყიდის-რაკი, თამამად დავიწყებ ცხოვრებას.“

3. **ლაგ დევქ-ჩუდ, ოჟმაც შუდ წენბოხ ჩუ ლაჰდალო** „თოვლი მოვიდა-რადგან, ყველა თავიანთ სახლებში შებინავდა.“

ეს უკვე დაქვემდებარების ახალი საფეხურია, რაკი დამოკიდებული წინადადების შემასმენლის დროის გასარკვევად ამჯერად აღარ არის საჭირო მთავარი წინადადების შემასმენლის დროის მოძიება, როგორც, მაგალითად, ეს აუცილებელი იყო ზემოთ უკვე განხილული დროისგარემოებითი დამოკიდებულის შემთხვევაში; სამივე დროის გაგება უკვე თვითონ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებულებული წინადადების შემასმენლის ფუძეში დევს. ცხადია, წინადადებათა დაქვემდებარების წარმოდგენილი მოდელი შედარებით გვიანდელი დროის შენაძენია, რადგან დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ასპექტის მაგიერ დროის ორიენტაციას იძლევა. თანაც მყოფადი, რომელიც დროის ფორმათაგან ყველაზე

გვიანდელად არის მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში, აქ უკვე ცალკე, დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

აღნიშნული სახის დამოკიდებული წინადადება ჩვენს საანალიზო ტექსტებში არ დადასტურდა, რის გამოც მაგალითებს ზეპირი მეტყველებიდან ვასახელებთ. გვაქვს, მაგალითად:

1. **გაკვეთლი ღაზიშ წამიქ-ჩუჲ, ილიკო ღოსხეთეშ ვახქ სკოლი**
„გაკვეთილები კარგად ისწავლა-რადგან, ილიკო სინარულით წავიდა სკოლაში.“

2. **სოგო ჰო ვა-ჩუჲ, ცხოვრბა ცოსტენხჲ ვერლისო** „მე შენ მყავახარ-რადგან, ცხოვრებაში არაფრისა მეშინია.“

3. **ბნდრილო ვაჯუხუ ვა-ჩუჲ, დადას ოჲშმა სოხ ვაღბადო**
„შვილებში უფროსი ვარ-რაკი, მამა ყველაფერს მე მავალებს.“

4. **პირობ ჰალორ ასრულბადმო-ჩუჲ, ნახე ჰო ჩავარგო დეპუტატელ**
„პირობას შეასრულებ-რაკი, ხალხი შენ აგირჩევს დეპუტატად.“

5. **ღაზიშ ამიქდუჲ ოთქ-ჩუჲ, ნახე ხორბლქ მაჯოქ მოსავალ სტენო**
„კარგი ამინდები დადგა-რადგან, ხალხი ხორბლის დიდ მოსავალს ელოდება.“

6. **ღაზიშ წამლო-ჩუჲ, სკოლას სქ მოჰ სიგელეჲ დაჯილდობადიქ**
„კარგად სწავლობს-რადგან, სკოლამ ჩემი გოგო სიგელით დააჯილდოვა.“

§33. პირობითი დამოკიდებული წინადადება

დამოკიდებული წინადადების შემასმენლის ამა თუ იმ დროის ფორმაზე დართული მაქვემდებარებელი სუფიქსები -ჰ, - ჰერ, -ჩე,

-ჩეჭერ გამოხატავენ ჰირობას, რაზეც არის დამოკიდებული მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემული მოქმედების შესრულება თუ შეუსრულებლობა. მათგან თავისი ფუნქციით სუფიქსი -ჭ ზუსტად შეესატყვისება ქართული ჰირობითი დამოკიდებული წინადადების „თუ“ კავშირს, ხოლო -ჭერ იმავე ქართული ჰირობითი დამოკიდებული წინადადების „რომ“ კავშირს ესადაგება. სუფიქსი -ჩე, რომელიც ძირითადად დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების მახასიათებელია და სათანადო „როდესაც“ კავშირის ფუნქციას ატარებს, გარკვეულ ჰირობებში ჰირობითი დამოკიდებულის „თუ“ კავშირის ფუნქციასაც ითავსებს. რაც შეეხება სუფიქსს -ჩეჭერ, ის რთული შედგენილობისაა, წარმომდგარია ორი სხვადასხვა, -ჩე და -ჭერ, სუფიქსების შეერთებით და შინაარსობრივადაც ორივე მათგანს მოიცავს: ითარგმნება რთული „თუ რომ“ კავშირის სახით.

ჰირობითი შინაარსის დამოკიდებულ წინადადებას წოვათუ-შურში აქვს თავისი საკუთარი ინტონაციური მოდელი, რასაც ქმნის მისი შემასმენლის ჰირველი მარცვლიდან ბოლო მარცვალზე გადატანილი ინტენსიური მახვილი. ასეთი ადგილგადანაცვლება მახვილისა მხოლოდ ამ ერთი სახის დამოკიდებული წინადადების შემასმენელში ხდება, რაც ქმნის მისი ინტონაციის სპეციფიკას, ანუ, გარდა მაქვემდებარებელი სუფიქსისა, ინტონაციაც გამოარჩევს მას სხვა სახის დამოკიდებულთაგან.

შდრ.:

წერადო „წერს“

წერადო'-ჭ „თუ წერს“

წერადო'-ჭერ „რომ წერდეს“

როგორც აღვნიშნეთ, პირობითი დამოკიდებული წინადადების ძირითადი მაქვემდებარებელი სუფიქსებია -ჭ „თუ“ და -ჭერ „რომ“. საგულისხმოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ მაქვემდებარებელ სუფიქსებს საყრდენად აქვთ უკვე შემასმენლის კონკრეტული დროის ფორმები, ისევე როგორც ეს გვექონდა მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემთხვევაში. არც ამჯერად ხდება საჭირო დამოკიდებული წინადადების შემასმენლის დროის საძიებლად მთავარი წინადადების დროის გარკვევა. გვაქვს:

I. ახლანდელი დრო – **წერადო** „წერს“, **წერადო’-ჭ** „თუ წერს“, **წერადო’-ჭერ** „რომ წერდეს.“

II. მომავალი დრო – **დაწერადო** „დაწერს“, **დაწერადო’-ჭ** „თუ დაწერს“, **დაწერადო’-ჭერ** „რომ დაწერდეს.“

III. წარსული დრო – **დაწერადიქ** „დაწერა“, **დაწერადინო’-ჭ** „თუ დაწერა“, **დაწერადინო’-ჭერ** „რომ დაეწერა“.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, პირობითი დაქვემდებარებულის ფორმის გადმოსაცემად სუფიქსები -ჭ და -ჭერ ყოველგვარი ცვლილების გარეშე დაერთვის ზმნის ახლანდელი დროის მზა ფორმებს. ერთადერთი სხვაობა ამ მხრივ ფუძის ბოლოში გადატანილი მახვილი ქმნის.

მაგალითად:

ა) -ჭ-სუფიქსიანი პირობითი დამოკიდებული წინადადება.

1. **საუბუჟ ამბუჟ ხაჟა ლეჟე’-ჭ** შუჟ, **სე დაშახ ხატათ, ტასოხ** „მეტი ამბის გაგება **გინდათ-თუ** თქვენ, ჩემს დას ჰკითხეთ, ტასოს.“

(მიქელაძე 2014 – 283)

2. **ნანას დაგალობადო’-ჭ** სოხ, **ის საქმ უეჭველათ ჰალ თაგმოს** „დედა **დამავალებს-თუ**, მაგ საქმეს უეჭველად გავაკეთებ.“

3. **წესიერ ხელფას თელო’-ჰ, ჰალო ვეწე ვოლვალ შახტე მუშებად** „წესიერ ხელფასს იძლევიან-თუ, უნდა დაიწყო შახტში მუშაობა.“

4. **თამროს გაკვეთილი ჰალ ღამინო’-ჰ, მალაზიი ჰაჭოს მადვ ეცა** „თამარმა გაკვეთილები ისწავლა-თუ, მალაზიაში გავეზავნი ჰურის საყიდლად.“

5. **ფსარელაქ ამბუდ ჰამენ ხადუნო’-ჰ, ნახ დელანდოლუთვამნ** „გუშინდელი ამბავი ვინმემ გაიგო-თუ, ხალხი დაგვცინებს.“

ბ) **-ჰერ-სუფიქსიანი ჰირობითი დამოკიდებული წიანდადება:**

1. **ბადერ ბაკონმაქრქ აჰო თეტსლა’-ჰერ, ეჰათნ ცო** **შეძლებლარ დადას ო ჰალო ეცარ** „ბავში აივნიდან ვარდებოდა-რომ, მაშინაც არ შეიძლებოდა ის ხელში აეყვანა მამას.“ (მიქელაძე 2014 – 201)

2. **ლაზე ამჩლუდ დისუ’-ჰერ, გენკეე ღაზე მოსავალ** **მარინმარათვამნ** „კარგი ამინდები დარჩებოდეს-რომ, გენახი კარგ მოსავალს მოგვცემდა.“

3. **ვოჰ მოჰ მენა ვოტუ’-ჰერ, ოჯუს ვოწორ ლე ბიძი, ლე ნანგაშო** „ბიჭი გოგოს სათხოვნელად მიდიოდა-რომ, ის გაიყოლებდა ბიძას, ან დედიმას.“ (მიქელაძე 2014 – 25)

4. **ვამ ჩულიჩო ათავ ას დროჰ დინო’-ჰერ, ლაჟიჟე** **ჰაჭბინბარათვამ ნახ ჟაბტ ცჰლ** „ჩვენს მაკე ძროხას ბოროლა დროზე მოეგო-რომ, მთაში გავეზავნილით სხვების ძროხებთან ერთად.“

5. **ივნეგო კაძიკოქ მოყ ვაჟკაცობ ხილნო’-ჰერ, იშტ ცოჰანან** **ღაჩაგროდვომაკერ** „ივანეს ცოტა მაინც ვაჟკაცობა ჰქონოდა-რომ, ასე ვერაფერ დაჩაგრაგდა.“

-ჩე-სუფიქსიან ფორმებს დისონანსი შეაქვთ პირობითი დამოკიდებული წინადადების ზემოთ განხილულ მწყობრ სისტემაში. აქ ის ქმნის გამონაკლისს, რადგან მთელი სისტემა პირობითი დამოკიდებული წინადადებისა შემასმენლის სამივე დროის ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავებულ ფორმებს ეყრდნობა, -ჩე სუფიქსის შემთხვევაში კი საყრდენს სრული ასპექტის ერთადერთი, დროის მიხედვით განურჩეველი ფორმა წარმოადგენს. მას არც საგანგებო ინტონაციური მოდელი უკავშირდება, რადგან შემასმენლის ფუძეზე მისი დართვისას. მახვილი ტრადიციულ პირველ ხმოვანზე რჩება. ყველა ასპექტით -ჩე-სუფიქსიანი პირობითი დამოკიდებული წინადადება განსხვავებულია ამავე ფუნქციის -ჰ და -ჰერ-სუფიქსებიანი წინადადებებისაგან.

ვფიქრობთ, -ჩე-სუფიქსიანი ფორმების პირობითი დამოკიდებული წინადადების სფეროში შემოჭრა დროისა და პირობითი დამოკიდებული წინადადებების გარკვეულმა ფუნქციურ-შინაარსობრივმა მსგავსებამ განაპირობა. აღნიშნული თვალსაზრისით არც ის უნდა იყოს მნიშვნელობას მოკლებული, რომ დროისა და პირობით დამოკიდებულ წინადადებებს აქვთ საერთო კითხვა **მაცა?** „როდის?“

იგივე ვითარება დასტურდება წოვათუშურში -ჩეჰერ-სუფიქსიანი პირობითი დამოკიდებული წინადადების შემთხვევაშიც. როგორც ეს ზევით აღინიშნა მსჯელობაში, შემასმენელზე ცალკე დართული -ჰერ სუფიქსი არ არღვევს პირობითი დამოკიდებული წინადადების ძირითად მორფოლოგიურ მოდელს. ამჯერად მასთან დაკავშირებული გამონაკლისი მისი -ჩე-სუფიქსთან კავშირით უნდა აიხსნებოდეს.

გვაქვს, მაგალითად:

ა) -ჩე-სუფიქსიანი პირობითი დამოკიდებული წინადადება.

1. **ბადრი ჰალ ხით-ჩე, ტათუე დახსნადორ მშობლიე, ცო ხით-ჩე მს ლათგილ დაჯდორ მშობლიე** „ბავშვებს იზოვიდნენ-თუ, ფულით იხსნიდნენ მშობლები, ვერ იზოვიდნენ-თუ, მოჯჯამაგირე-ებად ზრდიდნენ მშობლები.“ (მიქელაძე 2011 – 119)

2. **შემთხვევით თხა სო დაჰ გადო-ჩე, ცჰაგეჰ მა ვითლესო ოსი, გერლისო** „შემთხვევით დღეს მე მოგვედი-თუ, მარტ არ დამტოვო, მეშინიაო.“ (მიქელაძე 2011 – 195)

3. **იჯუნ უმ ხილ-ჩე, ას ეჯუმ დადეგო უხ ალოს?** „ამას რამე მოუვიდა-თუ, მე ამის მამას რა ვუთხრა?“ (მიქელაძე 2014 – 118)

4. **გიბალო გუმრგაყლარო მოჰ, მოწონადადო-ჩე ჰო, ჩუ მოყმოთაჲ** „ნახე ის გორგიშვილების ქალი, მოგეწონება-თუ, მოვიყვანოთ.“ (მიქელაძე 2014 – 216)

5. **ის კაგნო ცო მოწონადადო-ჩე სო, ბოლომცჷ ჰალ ცო ხატოს** „ეგ წიგნი არ მომეწონა-თუ მე, ბოლომდე არ წავეკითხავ.“

ბ) -ჩეჰერ-სუფიქსიანი პირობითი დამოკიდებული წინადადება.

1. **მადჟდარ ჰამას ბადო-ჩეჰერ სო, მაჯო მიდწეგ მარ** „მჭადს ვინმე მომცემდა-თუ-რომ, დიდი მიღწევა იყო.“

2. **ქიქოყ მაჰოგ მარ ვი-ჩეჰერ, მასქ ცო მოტურ ოჯხი** „ძველად გოგო გათხოვდებოდა-თუ-რომ, ცარიელი არ მიდიოდა ოჯახში.“ (მიქელაძე 2014 – 90)

3. **მარან ფინხა მოტუნაი ფსტუნო აჰო მუჟ-ჩეჰერ, ცო შეძლებლარო ო ჰალო გეოანანანო მარ ფენიხ ვახარ** „ქმრის გვერდით მიმავალი ცოლი რომ წაქცეულიყო, არ შეიძლებოდა, ასაყენებლად ქმარი მასთან მისულიყო.“ (მიქელაძე 2014 – 204)

4. ამილუმ მოსარდალ-ჩეჭერ, ბარე თეგმოწათხ ე საქმ
„ამინდები გაფუჭდებნოდა-თუ-რომ, ბარში ვაკეთებდით ამ
საქმეს.“ (მიქელაძე 2014 – 262)

5. გაწნახ უმაყ დაკავ ცადლაღლ-ჩეჭერ, ი ვად აგ-ბაბაქ მაწრწ
მოტ დაჭ ბისბაგინბარათვად დაჭ ბაგრენწ „ჩვენი ხალხი ყველა
გულით ეცდებოდეს-თუ-რომ, ამ ჩვენი მამა-პაპების ტკბილ
ენას გადავარჩენდით დაკარგვისაგან.“

ლიტერატურა

1. გიგაშვილი 2014 – ქ. გიგაშვილი, წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლოგიური პროფილი, თბ., 2014.
2. დონდუა 1949 – კ. დონდუა, დამოკიდებული წინადადების განვითარებიდან ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 37, თბ., 1949.
3. ენუქიძე 1987 – ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987.
4. კვაჭაძე 1966 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.
5. მიქელაძე 2008 – მ. მიქელაძე, ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში, ნაწ. I, ლექსიკა და ფონოლოგია, თბ., 2008.
6. მიქელაძე 2011 – მ. მიქელაძე, წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგიის საკითხები, თბ., 2011.
7. მიქელაძე 2013 – მ. მიქელაძე, წოვათუშური ზმნის მორფოლოგიის საკითხები, თბ., 2013.
8. მიქელაძე 2013 – მ. მიქელაძე, თანამედროვე წოვათუშური ენის მარტივი წინადადების სინტაქსი, თბ., 2015
9. ქუთათელაძე 1988 – ან. ქუთათელაძე, პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა, თბ., 1988.
10. ჩიქობავა 1998 – არნ. ჩიქობავა, რა თავისებურება ახასიათებს ქართული ზმნის აგებულებას, თბ., 1998.
11. ჭიკაძე 1995 – რ. ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბ., 1995.
12. ჭუმბურიძე 1986 – ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

13. ღეშეტიანი 1953 – Ю. Д. Дешериев, Бацбийскиц язык, М., 1953.
14. იაკოვლევი 1940 – Н. Ф. Яковлев, Синтаксис чеченского литературного языка, М., 1940.
15. შივი 1938 – А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М., 1938.
16. შიქელაძე 2018 – М. Mikeladze, Basic Cases in the Tsova-Tush Language, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 12, no.3, 2018, pp. 117-121.
17. ზეშკოვსკი 1956 – А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1956.

გამოყენებული წყაროები

1. შიქელაძე 2011 – შ. შიქელაძე, ა. ბერტლანი, ქ. გიგაშვილი, მ. ცისკარიშვილი, წრფივთუშური ტექსტები, ნაწილი I, თბ., 2011.
2. შიქელაძე 2014 – შ. შიქელაძე, ა. ბერტლანი, ქ. გიგაშვილი, წრფივთუშური ტექსტები, ნაწილი II, თბ., 2014.

სარჩევი

შესავალი.....	3
თავი I. შერწყმული წინადადების სინტაქსი.....	6
§1. შერწყმული წინადადების რაობა.....	6
§2. შერწყმული წინადადების ტიპები	9
§3. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი	12
§4. კავშირიანი შერწყმული წინადადება	14
§5. ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადება	25
§6. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება	35
§7. ერთგვარპირდაპირდამატებიანი შერწყმული წინადადება	41
§8. ერთგვარირიბდამატებიანი შერწყმული წინადადება	45
§9. ერთგვარუბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადება.....	49
§10. ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადება.....	51
§11. ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადება	55
§12. განსხვავებული ტიპის შერწყმული წინადადება	68
თავი II. რთული თანწყობილი წინადადების სინტაქსი.....	70
§13. რთული წინადადების რაობა და სახეები.....	70
§14. მავჯუფებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება	72
§15. მაცალკეებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება	74
§16. მაპირისპირებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება	77

§17. შიგნითი კავშირის რეგულირების თანხმობის
წინადადება..... 81

§18. უკავშირო რეგულირების თანხმობის წინადადება..... 82

თავი III. რეგულირების წინადადების სინტაქსი.....91

§19. რეგულირების წინადადების გენეზისისა და
სტრუქტურის საკითხები 91

§20. ქვემდებარეული დამოკიდებული წინადადება 99

§21. დამატებითი დამოკიდებული წინადადება..... 104

§22. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება 122

§23. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება 126

§24. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება..... 150

§25. პირობითი დამოკიდებული წინადადება 152

§26. უკავშირო რეგულირების თანხმობის წინადადება..... 154

თავი IV. რეგულირების სინტაქსური კონსტრუქციები167

§27. დამდენივე ერთგვარი და არაერთგვარი დამოკიდებული
წინადადება მთავართან..... 167

§28. თანამიმდევრული დაქვემდებარება 172

§29. შერეული სახის რეგულირების წინადადება..... 174

**თავი V. წინადადებათა ქვეწყობის არქაული სინტაქსური
კონსტრუქციები.....179**

§30. საკითხის ზოგადი მიმოხილვა 179

§31. დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება 182

§32. მიზეზისგარეშებითი დამოკიდებული წინადადება	190
§33. პირობითი დამოკიდებული წინადადება	192
ლიტერატურა.....	199
საჩუქევი	201



საგომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტარკის ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

